პარლამენტი ჯართზე ხურდავდება A2
მასხადოვი გროზნოს დაპყრობას აპირებდა A5
რეგიონული მასშტაბების ლომი A8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
ოთხშაბათი, 26 ივნისი, 2002 წელი. №24
ფასი 50 თეთრი

ძალოვანებმა იციან, ვინ არიან პიტერ შოუს გამტაცებლები

გამტაცებელთა ფოტორობოტები, რომლებიც წუხელ "ღამის კურიერმა" აჩვენა

ინგა ალავიძე

"აგრობიზნესბანკის" დირექტორი პიტერ შოუ, შესაძლოა, დღეს გაათავისუფლონ.

"24 საათისთვის" ცნობილი გახდა, რომ გატაცებული ინგლისელის იძულებითი ადგილსამყოფელი და გამტაცებელთა ვინაობაც სამართალდამცველებმა უკვე დაადგინეს.

იმასაც ამბობენ, რომ გატაცებიდან ზუსტად ერთი კვირის თავზე, მძევლადაყვანილის გასათავისუფლებლად შსს-ს სპეცოპერაცია უნდა ჩაეტარებინა, მაგრამ ოპერაცია "სკოტლენდ იარდის" კრიმინალისტების რეკომენდაციით გადაიდო.

გამტაცებლები საფუძვლიანად არიან შეიარაღებულები და უბრალო შეცდომამაც შეიძლება, ტრაგიკული შედეგი მოიტანოს, – ასეთი იყო უცხოელ და ქართველ კანონდამცველთა საბოლოო შეთანხმება.

"პიტერ შოუს გამტაცებლებისთვის ეს არ არის გატაცების პირველი შემთხვევა. ეს არის ცივსისხლიან და დაუნდობელ ბანდიტთა ჯგუფი, პროფესიონალი გამტაცებლები, რომლებიც ყველაფერზე მიდიან," – ასე შეაფასა ინგლისელის გამტაცებლები კანონდამცველმა, რომელიც აქტიურადაა ჩაბმული პიტერ შოუს გასათავისუფლებელ რაუნდებში.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, "აგრობიზნესბანკის" დირექტორი თბილისის გარეუბანში ჰყავთ გადამალული და მასზე გაძლიერებული მეთვალყურეობაა დაწესებული. გამტაცებელთა ჯგუფს მეთაურობს დამნაშავეთა სამყაროში საკმაოდ ცნობილი კრიმინალი.

"თუ როგორ დადგინდა გამტაცებელთა ვინაობა, ეს ზესაიდუმლოებაა. ამ ოპერაციაში ჩაბმულია არცთუ დიდი, მაგრამ საკმაოდ სერიოზული აგენტურა," – აცხადებს ჩვენი ინფორმატორი პოლიციელი, რომლის თქმითაც, სახლი, სადაც ამჟამად იმყოფება პიტერ შოუ, ძალოვანებს უმკაცრეს კონტროლზე ჰყავთ აყვანილი. მოწმდება სახლში შემსვლელ-გამომსვლელთა ვინაობა და ისიც კი, თუ ვისთან და რატომ იმყოფებოდნენ ისინი.

იგივე ინფორმაციით, გამტაცებელთაგან ორი ამჟამად თბილისში არ იმყოფება. მათი მარშრუტისა და საქმიანობის დადგენის მიზნით გუშინ თბილისის რამდენიმე პოლიციის უფროსს კრიმინალთა ნაკვალევზე სიარული რეგიონებშიც მოუწია.

"დღე და ღამე ვმუშაობთ, შედგენილი გვაქვს უზარმაზარი გეგმა, სქემები, ვაჯერებთ თითოეულ დეტალს, უბრალო შეცდომაც კი ოპერაციის ჩაგდების ტოლფასია," – ასეთია ძალოვანთა სამუშაო განწყობილება.

ერთი სიტყვით, სამართალდამცველებმა იციან, ვინ გაიტაცა პიტერ შოუ.

კანონშემოქმედთა კორპუსში კანონის მცოდნეთა დეფიციტია A2
ნატო "GO HOME" A3
მთავრობას პარლამენტის კარში გოლი გააქვს A4
სიახლე ორჯონიკიძეზე თავდასხმის საქმეში A5
მალე თბილისში მხოლოდ პასპორტიანი ცხოველები ირბენენ A6
სკოტლენდ იარდი ქართველ სამართალდამცველებს ამოწმებს A7
ყოველი მეორე მოზარდი სკოლის რეკეტის მსხვერპლი ხდება A7
კურნიკოვას შემცვლელი მოუძებნეს B2
თურქები ხანგრძლივ "ბაირამზე" ოცნებობენ B4
ხვალ ახალგაზრდული ხელოვნების ფესტივალი გაიხსნება B5

ამინდი

თბილისი	33
ქუთაისი	32
ბათუმი	28
სოხუმი	29
ფოთი	29
თელავი	30
ზუგდიდი	29
გორი	28

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.2180
ევრო	2.1428
ფუნტი სტერლინგი	3.3274
რუბლი	0.0704

თბილისს ოფიციალურად დაფიქსირებულზე ნაკლებ გაზს აწვდიან

კონტროლის პალატა "თბილგაზსა" და "საქგაზს" შორის "არამართლებრივ კავშირს" ადასტურებს

სოფიკო ოხანაშვილი

კონტროლის პალატის თავმჯდომარე ადასტურებს ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელთა ვარაუდს იმის თაობაზე, რომ შესაძლოა, თბილისი გაცილებით ნაკლებ გაზს იღებს, ვიდრე ეს ოფიციალურადაა დაფიქსირებული. ამ ვერსიის დადასტურება ნიშნავს იმას, რომ გარიგებაში მონაწილე მხარეები გაზის იმპორტიდან ორმაგ შემოსავალს იღებენ. საბოლოოდ, ზარალდება საზოგადოება, რომელსაც, ფაქტობრივად, ორჯერ უხდება გაზის საფასურის გადახდა. თანაც, მას არავინ აძლევს იმის გარანტიას, რომ თბილისს გაზის მოწოდება არ შეუწყდება.

პირველად ამ ვერსიაზე ანტიკორუფციული ბიურო ალაპარაკდა. ამის თაობაზე "24 საათი" უკვე იუწყებოდა. ბიუროს დირექტორის ვლადიმერ უგულავას თქმით, **"ანტიკორუფციული ბიუროს სქემის მიხედვით, "თბილგაზის" გაზგანაწილების სისტემაში გაზი გაცილებით ნაკლები შემოდის, ვიდრე ეს ოფიციალურადაა აღრიცხული. ბიუჯეტი გაზის საფასურს მაინც ანაზღაურებს, რადგან დედაქალაქში გაზის შეწყვეტა სოციალურ მღელვარებას გამოიწვევს. ჩვენ ვეყრდნობით "თბილგაზის" მიერ მოწოდებულ ოფიციალურ ინფორმაციას, სადაც მხოლოდ ტექნოლოგიური დანახარჯები 60 პროცენტს აღემატება. ტექნოლოგიური დანაკარგის ასეთი ზრდა გვაძლევს იმის ფიქრის საფუძველს, რომ ეს სქემა მუშაობს".**

გაგრძელება A4 გვერდზე

„პირველ რიგში, აუცილებელია, თავი დაადგიოთ კორუფციას„

ეკა კვესიტაძე

ვაშინგტონიდან

ტერორიზმთან ბრძოლა, ამავე კონტექსტში იასირ არაფატის მოშორება და პალესტინის შესაძლო ახალი მთავრობის მხარდაჭერა, გუშინ ვაშინგტონში მთავარ თემად იქცა. ტელევიზიით სპეციალური მოხსენებით გამოვიდა ჯორჯ ბუში, ხოლო უშიშროების საბჭოს მდივანმა კონდოლიზა რაისმა საგანგებო ბრიფინგი გამართა ჟურნალისტებისთვის.

სახელმწიფო დეპარტამენტში კი სახელმწიფო მდივნის კოლინ პაუელის მთავარმა წარმომადგენელმა **რიჩარდ ბაუჩერმა** შეხვედრა გამართა უცხოელ ჟურნალისტებთან და კიდევ ერთხელ განმარტა ტერორიზმთან ბრძოლის მნიშვნელობა მსოფლიოსთვის.

გთავაზობთ ინტერვიუს რიჩარდ ბაუჩერთან.

გაგრძელება A3 გვერდზე

კანონშემოქმედთა კორპუსში კანონის მცოდნეთა დეფიციტია

გიორგი ასანიშვილი

მრავალ უარყოფით მხარესთან ერთად, საქართველოს პარლამენტი, ეტყობა, კანონის სიღრმისეულად მცოდნეთა დეფიციტსაც განიცდის: როგორც ირკვევა, გასულ პარასკევს საგაზაფხულო სესია კონსტიტუციის დარღვევით, დროზე ადრე დახურულა და ეს პროცედურა, თურმე, ზეგ, 28 ივნისს უნდა განხორციელებულიყო.

გაგრძელება A2 გვერდზე

გერმანია ფინალშია!

მიხაელ ბალაკი - ერთადერთი გოლის ავტორი

REUTERS

კანონშემოქმედთა კორპუსში კანონის მცოდნეთა დეფიციტია

არასაჯარო დებატები ბესო გულაბვილის ფოტო

პირველი გვერდიდან

დარღვევის ფაქტი მხოლოდ მას შემდეგ აღმოაჩინეს, რაც, პრეზიდენტ შევარდნაძის ინიციატივით, პარლამენტის რიგგარეშე სხდომა დაინიშნა.

ამან ზოგიერთ დეპუტატს გაუჩინა კითხვა - თუკი საგაზაფხულო სესიის დამთავრების ნიშნად, უკვე სახელმწიფო ჰიმნიც კი მოვისმინეთ, მაშინ რატომ ვატარებთ რიგგარეშე სხდომას და არა რიგგარეშე სესიას? ძიების პროცესში პარლამენტარებმა კონსტიტუცია გადაფურცლეს და როდესაც 61-ე მუხლს მიადგნენ, თავადაც დარწმუნდნენ, რომ ქვეყნის ძირითად კანონს სახელმწიფო კანცელარიაში უფრო კარგად იცნობენ, ვიდრე უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში: კონსტიტუციაში გარკვევით წერია, რომ "საგაზაფხულო სესია იხსნება თებერვლის პირველ სამშაბათს და იხურება ივნისის ბოლო პარასკევს". ასე რომ, გასულ კვირას დეპუტატები ცოტათი აჩქარდნენ და ჰიმნი ნაადრევად დააგუგუნეს.

ამისთვის, შესაძლოა, ყურადღება არც არავის მიექცია, რომ არა ერთი გარემოება: რიგგარეშე სხდომა ტარდება წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგით, ისევე, როგორც რიგგარეშე სესია, ოღონდ, პირველისგან განსხვავებით, ამ უკანასკნელს შეიძლება სხვა საკითხებიც დაემატოს.

ადვილი მისახვედრია, თუ რატომ გამოიწვია ამ, ერთი შეხედვით უმნიშვნელო, ნიუანსმა გუშინდელ სხდომაზე დიდი აჟიოტაჟი - რიგ ოპოზიციურ ფრაქციებს პრეზიდენტის მიერ შეთავაზებული "მენიუ" არ მოეწონათ და მასში ცვლილებების შეტანა მოინდომეს. ეს კი შეუძლებელი აღმოჩნდა იმის გამო, რომ სწორედ რიგგარეშე სხდომა ტარდებოდა და არა რიგგარეშე სესია. ამიტომ ოცნებადვე დარჩა "ტრადიციონალისტის", "დემოკრატებისა" და რიგი სხვა ოპოზიციური ფრაქციების სურვილი, მათთვის უინტერესო საკითხებზე მსჯელობის ნაცვლად, უფრო მწვავე თემები განეხილათ - თუნდაც, მთავრობის ანგარიში 2002 წლის პირველი ოთხი თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

როდესაც მიხვდა, რომ საკონსტიტუციო დავა წაგებული ჰქონდა, ოპოზიცია შეეცადა, პარლამენტის სუსტი წერტილი გამოეყენებინა და, კვორუმის "ხელოვნური დეფიციტის" შექმნით, ჩაეშალა სხდომა: დარბაზში მყოფი რიგი დეპუტატები სპეციალურად არ გადიოდნენ რეგისტრაციას და ამით, თითქოს, მიზანსაც მიაღწიეს, მაგრამ არც მეორე მხარე იჯდა გულხელდაკრეფით.

"რამდენიმე წუთით შემოდით დარბაზში, გაიარეთ რეგისტრაცია და მერე, სადაც გინდათ, იქ მიბრძანდით!" - სხდომის წამყვანი გიგი წერეთლის ამ საკმაოდ ორიგინალურმა მოწოდებამ ბოლოს მაინც გაჭრა და პირველ საათზე დაწყებულ სხდომაზე კვორუმის არსებობა ოთხის ნახევრისთვის, როგორც იქნა, დაფიქსირდა. ამის შემდეგ დარბაზი უმალ დაცარიელდა და საგადასახადო ცვლილებებზე მსჯელობის მოსურნენი თითზე ჩამოსათვლელნიღა აღმოჩნდნენ.

თუმცა, მთლად იმედგადაწურული არც ოპოზიცია დარჩენილა: მათთვის სასურველი საკითხების განხილვას, უკვე რიგგარეშე სესიაზე, პარლამენტი ივლისის დასაწყისში შეუდგება. თუმცა, საკითხავია, აუხდება კი მას ეს იმედი - საეჭვოა, პროსამთავრობო ფრაქციების წევრები გაგანია ზაფხულში პარლამენტში იმისთვის გამოცხადდნენ, რომ ხელისუფლების კრიტიკა და ლანძღვა-გინება ისმინონ. ასე რომ, რიგგარეშე სესიაზე კვორუმის მოგროვებაზე ფიქრი ამჯერად უკვე ოპოზიციას მოუწევს.

„რელიგია პოლიტიკის გვერდით, მაგრამ არა პოლიტიკაზე მაღლა„

ეკა ბაძაღუა

" ჩვენთვის ყოვლად მიუღებელია კობა დავითაშვილის განცხადება. იგი რელიგიის შესახებ კანონის მიღების წინააღმდეგ გამოდის, "- განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გენერალურმა მდივანმა ბაჩუკი ქარდავამ.

"ინიციატივით უნდა გამოვიდეს ჩვენი საზოგადოების ჯანსაღი ნაწილი. კანონი დაუყონებლივ უნდა იქნეს მიღებული. ეს კი საშუალებას მოგვცემს, სამუდამოდ გადაწყდეს ეს საკითხი და საბოლოოდ მორჩეს ამ თემაზე საუბარი. ჩვენთვის სასტიკად მიუღებელია, ქართველი დედა შვილის გადარჩენაზე (სისხლის გადასხმაზე) ამბობდეს უარს, ანდა ქართველი კაცი — ჯარში წასვლაზე, როცა ეს ქვეყნისთვის აუცილებელია,"- აცხადებს ქარდავა. ეროვნულ-დემოკრატთა აზრით, არასამთავრობო ორგანიზაციები და გარკვეული პოლიტიკური ძალები ლობირებას უწევენ ამა თუ იმ დაჯგუფებებს. **"ედპ გულგრილი ვერ დარჩება ამ საკითხის მიმართ. ჩვენს ქვეყანაში ბევრს საუბრობენ ადამიანის უფლებების დაცვაზე. ეს კი არ უნდა მოხდეს ცალმხრივად. პროზევიტიზმმა ფარული სახე მიიღო. ქვეყანაში, სადაც მძიმე სოციალური მდგომარეობაა, ადვილად ხდება ყველაფერი. განსაკუთრებით მძიმე ფორმა პროზევიტიზმისა, სამწუხაროდ, მოზარდებთან მიმართებაში ვლინდება,"**- განაცხადა ედპ-ს გენერალურმა მდივანმა.

"ედპ ვერ გაჩუმდება ვერც ერთ საკითხზე, რომელიც დედა-ეკლესიას შეეხება. ჩვენი გვერდში დგომა 2002 წლის 16 ივნისის განცხადებაში უწმინდესმა და უმეტარესმაც დაადასტურა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეკლესიის ძლიერება ქვეყნის ძლიერებაა,"- ამბობს ქარდავა.

"ეკლესია ზნეობრიობის კუთხით პოლიტიკას უნდა აკონტროლებდეს. უნდა იდგეს პოლიტიკის გვერდით, მაგრამ არა პოლიტიკაზე მაღლა, თუნდაც პოლიტიკის მიწიერების გამო,"- დასძენს ბაჩუკი ქარდავა.

პარლამენტი ჯარითზე ხურდავდება...

თამარ ხორბალაძე

გუშინდელმა დღემ პარლამენტში კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ პრეზიდენტმა და სახელმწიფო მინისტრმა მშვენივრად აითვისეს საკანონმდებლო ხელისუფლების მართვის ხელოვნება. ანუ მოძებნეს ის გასაღები, რომლითაც ნებისმიერი ფრაქციის კარის შეღება შეიძლება. ამ გასაღებს ხალხის ენაზე პარლამენტარებთან კულუარებში მორიგება და მათთვის "საკანონმდებლო ლუკმების" გადაგდება ჰქვია.

სახელმწიფო მინისტრ ავთანდილ ჯორბენაძეს გუშინ საქართველოს პარლამენტში მისვლა, პარლამენტართა დაჟინებული მოთხოვნის გამო, მაინც მოუხდა. ეს იყო თითქმის ერთადერთი ხილული კომპრომისი, რომელზე წასვლაც მთავრობამ საჭიროდ მიიჩნია, იმ აშკარად არაპოპულარული ნაბიჯების დაკანონების სანაცვლოდ, რომლებიც გუშინდელი რიგგარეშე სხდომის (და არა საგანგებო სესიის) დღის წესრიგში იყო წარმოდგენილი. შეგახსენებთ, რომ გუშინ პარლამენტი საგადასახადო ცვლილებებს, კერძოდ, საგადასახადო შეღავათების გაუქმებას, კონტროლის მექანიზმების გამკაცრებას და რამდენიმე სხვა ეკონომიკურპროფილიან კანონს განიხილავდა. გუშინ მთავრობას პარლამენტში "საქმე ისე ჰქონდა დაყენებული", რომ მეწარმეთა აშკარად შემზღუდველ ცვლილებებს აქტიური წინააღმდეგობა არც "მრეწველებისგან" მოჰყოლია, არც "ახლებისგან", აღარაფერს ვამბობთ "სოციალისტებზე"...

ამ ფრაქციების პოზიციას განსაკუთრებულად იმიტომ აღვნიშნავთ, რომ მათში სამრეწველო გამოცდილების მქონე ბევრ ადამიანს მოიძიებთ. განსაკუთრებით საინტერესო მრეწველთა "შემრიგებლური" მიდგომა გახლდათ. მათ საკუთარი უარყოფითი პოზიცია, ხმამაღლა, მხოლოდ ქონების დაყადაღების ახალ, აბსოლუტურად დისკრიმინაციულ წესთან დაკავშირებით გამოთქვეს. ეს წესი ამ პროცესში საგადასახადო ინსპექტორის უფლებებს მეტისმეტად ზრდიდა და მას ყადაღის დადების უფლებას სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე აძლევდა. საგადასახადო ცვლილებების მხარდაჭერის შესახებ, "მრეწველმა" ზურაბ ტყემალაძემ მაქსიმალურად მოკლე კომენტარი გააკეთა: **"მთავრობამ წარმოდგენილ კანონპროექტში "მრეწველთა" წინადადებების უმრავლესობა გაითვალისწინა"**.

მთავრობა თვალყურს ადევნებს გარიგების პირობების შესრულებას ბესო გულაბვილის ფოტო

საპარლამენტო კულუარებში გუშინ საკმაოდ ბევრს საუბრობდნენ იმ ცალკეულ დათმობებზე, რომელზე წასვლაც მოუხდა მთავრობას, ცალკეული ფრაქციების დასაყოლიებლად. ამ "მცირე" ან "არც ისე მცირე" ლუკმების ფასად, მთავრობამ მიიღო კანონპროექტები, რომლებიც ოფიციალურად "სავალუტო ფონდის მოთხოვნის" სახელით შემოიტანა. თავად ის ფაქტი, რომ გუშინდელი სხდომა, სერიოზული დაგვიანებით, მაგრამ მაინც შედგა, კიდევ ერთხელ ადასტურებს პარლამენტზე პრეზიდენტისა და სახელმწიფო მინისტრის მზარდი გავლენის არსებობას.

ის აჟიოტაჟი, რომელიც გუშინდელი სხდომის "რიგგარეშე სხდომად" თუ "საგანგებო სესიად" მონათვლის ირგვლივ გაიმართა და რომელმაც ჟურნალისტებში მხიარული განწყობა წარმოშვა, უფრო მეტი მნიშვნელობის გახლდათ, ვიდრე ვიღაცის პრეტენზიული ახირება.

დღევანდელი საპარლამენტო რეალობიდან გამომდინარე, გასაკვირი არ იყო, რომ სხდომის გამართვის წინააღმდეგ, ძირითადად, მხოლოდ "დემოკრატები", "ნაციონალები" და "ტრადიციონალისტები" გამოდიოდნენ. ხოლო როცა მათმა პროტესტმა არ გაჭრა, ისინი პარლამენტართა მხრიდან სხდომის გამართვაში პირად დაინტერესებაზე, ანუ გარიგებების ერთ-ერთ სერიოზულ ობიექტზე ალაპარაკდნენ.

"24 საათთან" საუბარში "დემოკრატმა" ვასილ მაღლაფერიძემ განაცხადა, რომ პარლამენტში სერიოზულად იყვნენ დაინტერესებულნი ჯართის გატანის აკრძალვის გაუქმებით და ეს გახდა კიდეც რიგგარეშე სხდომის გამართვის ერთ-ერთი მთავარი საფუძველი. შეგახსენებთ, რომ ეს ინიციატივა, ისევ და ისევ "სავალუტო ფონდის მოთხოვნის" მოტივით, ეკონომიკის მინისტრმა ბოლო თვის მანძილზე პარლამენტში მეორედ შეიტანა. მაღლაფერიძე აცხადებს, რომ იმ სამ ტერმინალს, რომლებიც, ინიციატივის თანახმად, ბათუმში, ფოთსა და თბილისში უნდა შეიქმნას, უკვე ჰყავს კონკრეტული "პატრონები" როგორც პარლამენტში, ისე აღმასრულებელ ხელისუფლებაში. მისი განცხადებით, მთავრობის მიერ "ჩადებული" ეს ინტერესი საკმარისი აღმოჩნდა პარლამენტართა გარკვეული ნაწილის ხმების მოსაპოვებლად.

საბოლოო ჯამში, გუშინ პარლამენტში ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც მოსალოდნელი იყო. საკანონმდებლო ორგანოს მთავრობისთვის სიურპრიზები ამჯერადაც არ მოუწყვია.

მთავარ ვერსიად ტერაქტისთვის მზადება სახელდება

გიორგი ასანიშვილი

გუშინ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში გამართულ სხდომაზე, ვაზიანის სამხედრო ნაწილში მომხდარი იარაღის დატაცების და ნატახტართან იარაღის დაკავების ფაქტებზე იმსჯელეს. საკომიტეტო მოსმენაში, რომელიც დახურულ კარს მიღმა ჩატარდა, მონაწილეობდნენ სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია და თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე, აგრეთვე, ამ უწყებათა სხვა ხელმძღვანელი პირები.

საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბითიაშვილი ამ ორ შემთხვევას ერთმანეთთან არ აკავშირებს და იმასაც აღნიშნავს, რომ მოსმენის დროს არც კონკრეტულ დამნაშავეთა გვარების ირგვლივ ყოფილა საუბარი. იგი თავისი კომიტეტის ფუნქციას იმაში ხედავს, რომ თვალყური მიადევნოს გამოძიების პროცესის ობიექტურად წარმართვას, რათა ვაზიანსა და ნატახტარში დაფიქსირებულ საგანგაშო ფაქტებს, შესაბამისი უწყებების მხრიდან სათანადო რეაგირება მოჰყვეს.

"კომიტეტი შეეცდება, რომ სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან რეაქცია, რაც შეიძლება მწვავე იყოს. ჯოხი ცალკეულ ასმეთაურებზე და სხვა მეისრეებზე არ უნდა გადატყდეს. ჩვენ წკიპზე ვდგავართ - ან ძალოვან უწყებებში რეალური ცვლილებები დაიწყება, ან ქვეყანა კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდება. თუ ყველაფერს თვითდინებაზე მივუშვებთ, შეიძლება კიდევ უფრო უარესი მოხდეს," - აცხადებს ირაკლი ბათიაშვილი, რომელიც არ უარყოფს, რომ საკომიტეტო განხილვისას საუბარი იყო, აგრეთვე, იარაღის გადატანაში ეჭვმიტანილი უშიშროების სამინისტროს თანამშრომლის, თავდაცვის მინისტრის რეკომენდაციით დაწინაურების თაობაზეც, მაგრამ თავს იკავებს იმის კომენტირებისგან, თუ რა შეფასება მიეცა ამ ფაქტს.

სახელმწიფო მინისტრი ვალერი ხაბურძანია კი აცხადებს, რომ ახალი დეტალები არსებობს როგორც ერთ, ისე მეორე საქმეში, თუმცა ამ დეტალებს არ ახმაურებს. სამაგიეროდ, მინისტრი არ მალავს იმ ვერსიებს, რომლებზეც ამჟამად გამოძიება მუშაობს. ასეთი ვერსია სამია. პირველი და მთავარი - ეს იყო ტერაქტისთვის მზადება, მეორე - იარაღი მესამე ქვეყანაში უნდა გაეტანათ და მესამე - ნავარაუდევი იყო გარკვეული მიზნებისთვის მისი პანკისის ხეობაში გამოყენება.

ხაბურძანიას მტკიცებით, უფრო სწრაფად ვაზიანის საქმის გამოძიება მიმდინარეობს და მინისტრი იმედოვნებს, რომ, ამ შემთხვევასთან დაკავშირებით, მალე ყველაფერს ნათელი მოეფინება.

შალვა ნათელაშვილი:

„ჩვენ, დაახლოებით, მგლები ვართ...„

ლეიბორისტები "ოლიგარქიული რევანშისა" და "ხათუნიზმის" წინააღმდეგ

ვერიკო თევზაძე

ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი, შევარდნაძის სისტემას თბილისში ხალხისა და ლეიბორისტების წინააღმდეგ ოლიგარქიულ რევანშში ამხელს: "ამ ეტაპზე კანცელარიის, ნაციონალური მოძრაობისა და ზოდელავას ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა. ისინი მგლების დანახვაზე გაერთიანდნენ - ჩვენ, ლეიბორისტები, დაახლოებით, მგლები ვართ..."

ნათელაშვილი დარწმუნებულია, რომ "ნაციონალებმა" წინასწარ იცოდნენ, რა შედეგიც მოჰყვებოდა მათ მიერ სარჩელის შეტანას. რატომ აძლევდა ხელს "ნაციონალურ მოძრაობას" არჩევნების შედეგების გაუქმება? – ამ შეკითხვაზე ნათელაშვილი პასუხობს: **"ისინი თავზარდაცემულები არიან, პირველ ადგილზე რომ ვერ გავიდნენ. შევარდნაძეს ვერ უპატაკეს, რომ სრულად ჩაენაცვლებოდნენ. თანაც, ყველაზე უკეთ თვითონ იციან, საკრებულოში რისი გამკეთებლებიც არიან... აბა, სხვა რა უნდა ვიფიქრო, როგორ შეიძლება, ასე ბავშვივით შემცდარიყო "სამართლის მამად" აღიარებული საპაკაშვილი, ანდა "ადვოკატთა უხუცესი" — კობა დავითაშვილი. მათ ხომ ჯიბეებში 5-6 დიპლომი უდევთ, ამერიკასა და ევროპაში მიღებული?.."**

შალვა ნათელაშვილმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ათი დღის წინათ, დავითაშვილმა დაურეკა და უთხრა, სარჩელი უკან გამოგვაქვსო. მოტყუებულ ნათელაშვილს საარჩევნო კომისიის კეთილსინდისიერებაშიც ეპარება ეჭვი: **"იქ, სადაც ხათუნიზმის სინდრომია, წინასწარ ვიცი, როგორ გადაითვლიან ხმებს."**

ვისაც ჟვანია-სააკაშვილის, ზოდელავას და შევარდნაძის ალიანსში ეჭვი ეპარება, მათ

შალვა ნათელაშვილი მრისხანებს მარიკა ამერელავბვილის ფოტო

შალვა ნათელაშვილი რამდენიმე დღის წინანდელ დანიშვნის ფაქტს ხატოვნად შეახსენებს: **"შევარდნაძემ ჟვანია-სააკაშვილის სისხლისა და სულის ნაწილი, რეზო ადამია, მსოფლიო მესაიდუმლედ დანიშნა".**

"24 საათის" შეკითხვაზე – თუკი ასეთი დაბალი წარმოდგენის ბრძანდებოდით "ნაციონალურ მოძრაობაზე", რატომ დაუჭირეთ მხარი მისი ლიდერის კანდიდატურას საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე? – ნათელაშვილმა გვიპასუხა: **"უკეთ რომ გამოჩნდეს სააკაშვილის და მისი პოლიტიკური გაერთიანების ნამდვილი სახე".** ჩვენს შემხვედრ კითხვაზე - რა პასუხს აძლევთ ხალხს, რომელსაც ასე ხშირად ახსენებთ, - ასეთი პასუხი მივიღეთ: **"არა უშავს, საკრებულოს თავმჯდომარეს ერთი ხმა აქვს..."**

ლეიბორისტული პარტიის ლიდერის აზრით, ჟვანია-სააკაშვილისა და ზოდელავას ალიანსი შევარდნაძის სისტემის დემონტაჟის დასაწყისია: **"დღევანდელ საქართველოში ორი ალტერნატივაა – ან შევარდნაძის სისტემა, ან ლეიბორისტული პარტია... ღმერთმა ნუ ქნას, რომ საკრებულოში დაბრუნდნენ ზოდელავას მიერ პრივატიზებული დეპუტატები, რომლებმაც ხელს გააყოლეს რესტორნები, სუპერმარკეტები და სასტუმროები...`**

ნათელაშვილის აზრით, არჩევნების გაყალბების ფაქტზე საქმე უნდა აღძრას პროკურატურამ.

შრომის პარტიის თავმჯდომარე დარწმუნებულია, რომ მომავალში მისი პოლიტიკური გაერთიანება მოგვევლინება მმართველ ძალად. შალვა ნათელაშვილის ვარაუდით, საქართველოში პოლიტიკური პროცესების არადემოკრატიულად განვითარება მოსახლეობის მოთმინების ფიალას აავსებს, რასაც შედეგად სახალხო მღელვარება მოჰყვება.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიტო შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია.ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჯაოშვილი.

ნატო „Go Home!„

"ზესტ-ეფორტის" დასკვნითი დღე

საქინფორმი

ქობა ლიკლიკაძე

"რადიო თავისუფლება"

გთხოვთ, ნუ აღგაშფოთებთ სათაურში ატანილი ეს სიტყვები, რადგან იგი არ გამოხატავს საქართველოს ოფიციალურ პოზიციას; არამედ ნებაყოფლობით დაქირავებულ იმ რამდენიმე ახალგაზრდას ეკუთვნის, რომლებმაც, ჟურნალისტების თვალწინ, სამშაბათს, დამაჯარებლად გაითამაშეს აღგზნებული ბრბოს როლი და ამისთვის ნატოს მრავალეროვნული სწავლების ხელმძღვანელობისგან ფულადი ჯილდოც მიიღეს.

Cooperative Best Effort 2002"-მეორე მრავალეროვნული სამშვიდობო სწავლება საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც პირვანდელზე უფრო ნაკლებმასშტაბური და მოკრძალებული გახლდათ, დასასრულს უახლოვდება. 17 ივნისს დაწყებული სწავლებები, რომლებმაც საქართველოს სამხედრო ძალები, იმედია, კიდევ უფრო დააახლოვა დასავლური სამხედრო სისტემის სტანდარტებს, 28 ივნისს საზეიმოდ დაიხურება.

დარჩენილ დროში ნატოსა და პარტნიორი ქვეყნის ოთხასამდე მონაწილეს რამდენიმე საჩვენებელი ეპიზოდის დემონსტრირება მოუწევთ. ერთ-ერთი მათგანი, რომელსაც, სცენარის მიხედვით, კონფლიქტურ ვითარებაში წესრიგის დამყარება ეწოდება, თეატრალიზებული შოუა და იგი სწავლების ხელმძღვანელობამ სწორედ 25 მაისს, მედიის დღეს დაამთხვია.

თუმცა, მანამდე ასევე ვირტუალურად, გაერთიანებულმა სამშვიდობო კონტინგენტმა უკვე დაიკავა პოზიციები წარმოსახულ ეთნიკურ კონფლიქტში და ცდილობს ერთმანეთს დააშორიშოროს მოკონფლიქტე მხარეები.

ბუნებრივია, სამშვიდობო ძალების მონაწილეობა კონფლიქტში ჩაბმულ მხარეთაგან ერთ-ერთს არ სიამოვნებს. განაწყენებულ მხარეს, წარმოდგენილი ეპიზოდის თანახმად, ასევე ვირტუალური ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები განასახიერებდნენ. თავად სტატისტები სავსებით რეალური ადამიანები, აფხაზეთიდან ლტოლვილი ახალგაზრდები იყვნენ, რომლებსაც აშკარად გამოადგათ რუხის საპროტესტო აქციებზე მიღებული გამოცდილება და, იმდენად დამაჯერებლად ითამაშეს ეს როლი, ზოგიერთ მომენტში "თამაში" ხელჩართულ ბრძოლაშიც გადაიზარდა.

სააგენტო "პრაიმ-ნიუსის" ინფორმაციით, სამხედრო მოსამსახურეებმა, რომლებიც "პირობითად ადგილობრივი მოსახლეობის" პიკეტის განდევნას ცდილობდნენ, სავსებით რეალური "პასუხი" მიიღეს. შეხლა-შემოხლაში კი რამდენიმე სტატისტი და სამხედრო მოსამსახურე მსუბუქადაც დაზიანდა.

საბოლოოდ კი ყველაფერი მშვიდობიანად, ხელის ჩამორთმევითა და სხვადასხვა ენაზე წარმოთქმული მადლობით დასრულდა.

„პირველ რიგში, აუცილებელია, თავი დააღწიოთ კორუფციას„

რიჩარდ ბაუჩერი

REUTERS

პირველი გვერდიდან

- 11 სექტემბრის შემდეგ კავკასიის მნიშვნელობა გაიზარდა. თუმცა, ფინასური და სამხედრო დახმარების გარდა, თეთრი სახლის პრიორიტეტად რჩება, დემოკრატიის განვითარებაში, თავისუფალი პრესის და ადამიანის უფლებების დაცვაში დაეხმაროს ამ ქვეყნებს. როგორ აპირებს ამერიკის ადმინისტრაცია ამის განხორციელებას?

- ჩვენ თავიდანვე ხაზი გავუსვით იმ ფაქტს, რომ ტერორიზმთან ბრძოლა, პირველ რიგში, ადამიანის უფლებების დაცვისთვის ბრძოლას გულისხმობს. ადამიანებმა თავი სასოწარკვეთილად რომ არ იგრძნონ და აგრესია რომ არ გამოამჟღავნონ, მათ სახელმწიფოსგან დაცულობის განცდა სჭირდებათ. ადამიანის უფლებების დაცვა კი სახელმწიფოს ეხმარება, შეინარჩუნოს სტაბილურობა და საზოგადოებას განვითარების საშუალება მისცეს.

საქართველოსთან ჩვენ სასარგებლო სამხედრო თანამშრომლობა ჩამოგვიყალიბდა. წრთვნისა და აღჭურვის პროგრამა ითვალისწინებს, რომ საქართველოს ჰყავდეს კარგად მომზადებული ჯარი და, რაც მთავარია, დაცული ჰქონდეს საზღვრები. ბუნებრივია, ადამიანის უფლებების დაცვა და ქვეყნის შიგნით სტაბილურობის შენარჩუნება, ასევე ძალინ მნიშვნელოვანია ჩვენთვის.

კონგრესში განიხილება კანონპროექტი დამატებითი გრანტების შესახებ, რომლის დამტკიცების შემთხვევაში, რამდენიმე ქვეყანა, მათ შორის საქართველო, დამატებით ფინანსურ დახმარებას მიიღებს.

- მაგრამ, წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა, ისევე როგორც გაზრდილი ფინანსური დახმარება, ყველა პრობლემას ვერ გადაწყვეტს, საქართველომ უკვე მიიღო მილიონობით დოლარი, რომელიც უშედეგოდ დაიკარგა.

- რა თქმა უნდა, პირველ რიგში, აუცილებელია, თავი დააღწიოთ კორუფციას, შექმნათ დემოკრატიული ინსტიტუტები, ხელი შუწყოთ განათლებას და გაატაროთ რეფორმები

- შევრდნაძე უარს ამბობს რეფორმების გატარებაზე. სახელმწიფო დეპარტამენტში ხომ არ არის ერთგვარი იმედგაცრუება მის საშინაო პოლიტიკასთან დაკავშირებით.

- ჩვენ არ ვაპირებთ განვსაჯოთ შევარდნაძის საშინაო პოლიტიკა. მე შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ კმაყოფილი ვართ იმ დახმარებით, რომელიც შევარდნაძემ საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში აღმოგვიჩინა.

- მაგრამ თქვენ აცხადებთ, რომ კორუფციასთან ბრძოლა ტერორიზმთან ბრძოლის ნაწილია?

- კორუფცია ძალინ მნიშვნელოვანი პრობლემაა და ამიტომ ჩვენ ამ საკითხზე შევარდნაძესთან და მთელ მის მთავრობასთან ვმუშაობთ.

- სახელმწიფო დეპარტამენტმა განცხადა, რომ მხარს უჭერს რუსი სამშვიდობოების აფხაზეთში დარჩენას. მაშინ, როცა წლების განმავლობაში კონფლიქტის ზონაში არანაირი დადებითი ძვრა არ ყოფილა. გაქვთ თუ არა არგუმენტი, რომელიც რეგიონში რუსი სამშვიდობოების დარჩენას ამართლებს. ხომ არ არის ეს გადაწყვეტილება ბუშისა და პუტინის შეთანხმების ნაწილი?

- აქ არანაირ არგუმენტზე არ არის ლაპარაკი. ჩვენ, უბრალოდ, გვინდა რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების მოგვარებას ხელი შევუწყოთ.

- რუსი სამშვიდობოების აფხაზეთში დარჩენა ურთიერთობის მოგვარებას ხელს შეუწყობს?

- ჩვენ ამის დიდი იმედი გვაქვს.

სომხეთის პრეტენზიებს საზღვარი არ უჩანს

ზაზა წულაძე

სომხეთის ხელისუფლებამ, პირველად ოფიციალურ დონეზე, ღიად მოითხოვა საქართველოს რეგიონის - სამცხე-ჯავახეთის სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაციის პროგრამების შემუშავებაში ჩართვა. სომეხ პარლამენტართა ჯგუფმა, რომელსაც პარლამენტის სპიკერის მოადგილე ტიგრან ტოროსიანი ხელმძღვანელობდა, ეს პოზიცია ერევანში დასრულებულ საქართველო-სომხეთის საპარლამენტთაშორისო კომისიის სხდომაზე გააჟღერა.

ერევანში საქართველო-სომხეთის საპარლამენტთაშორისო კომისიის სხდომა, ამ კომისიის არსებობის ისტორიაში, მეოთხედ გაიმართა. უკანასკნელად სომეხი და ქართველი პარლამენტარები ერთმანეთს 1999 წლის მარტში შეხვდნენ. ოფიციალურ დონეზე ურთიერთობაში სამწლიან პაუზას ორივე ქვეყანაში გამართული არჩევნებითა და, განსაკუთრებით, ამ საპარლამენტთაშორისო კომისიის თანათავმჯდომარის, იური ბახშიანის მკვლელობით ხსნიან (დეპუტატი ბახშიანი სომხეთის პარლამენტში გახორციელებული ცნობილი ტერორისტული აქტის დროს დაიღუპა), თუმცა არაოფიციალურ დონეზე, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ოდნავი გაცივების ტენდენციაზეც საუბრობენ, რაზეც 13 ივნისს თბილისში სომხეთ-საქართველოს სახელმწიფოთაშორისი კომისიის სხდომის გადადებაც მეტყველებს. ამ შეხვედრის გადადების ინიციატორად სომხური მხარე გამოვიდა.

ერევნის შეხვედრამ აჩვენა, რომ სომხეთს, რომელიც გარესამყაროსთან მხოლოდ ჩვენს ქვეყანაზე გამავალი გზებით არის დაკავშირებული, საქართველოს მისამართით, თურმე უამრავი პრეტენზია დაუგროვდა. ერევანში ჩასული ქართული საპარლამენტო დელეგაციისთვის, სრული სიურპრიზი გამოდგა კომისიის სამუშაო დღის წესრიგში "სამცხე-ჯავახეთის საკითხის" შეტანა. **"დღის წესრიგში ეს საკითხი არ უნდა ყოფილიყო, სომხებმა ეს საკუთარი სურვილით გააკეთეს და იქ ჩასულები ფაქტის წინაშე დაგვაყენეს,"** – გვითხრა საპარლამენტთაშორისო კომისიის მდივანმა დავით ლაცუზბაიამ.

სომხეთში ერთობლივ კომუნიკეში დაფიქსირებული ასეთი დებულებაც უკვე წარმატებად მიიჩნიეს. გაზეთ "აზგ"-ისთვის მიცემულ ინტერვიუში სომხეთის პარლამენტის სპიკერის მოადგილე ტიგრან ტოროსიანი აცხადებს: **"უკვე სასიხარულოა ის ფაქტი, რომ საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია სომხური მხარის ამ წინადადებას გაგებით მოეკიდა".**

სამცხე-ჯავახეთის საკითხზე მსჯელობისას, უფრო შორს წავიდა სომხეთის მეცნიერების, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდობის საპარლამენტო კომიტეტის წევრი, დეპუატატი ჰენრიხ გრიგორიანი. მან კომისიის სხდომაზე სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანამანათლებლო სკოლებში სომხეთის განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სახელმძღვანელოებით სწავლების საკითხიც კი დააყენა.

სომხურმა მხარემ ასევე მოითხოვა, საქართველოს ტერიტორიაზე სატრანზიტო ტარიფების იმ ნიშნულამდე დაწევა, რითაც აზერბაიჯანი სარგებლობს. დღეისათვის, აზერბაიჯანს ტვირთების გადაზიდვისას ქართული მხარე 50-პროცენტიანი შეღავათით ემსახურება, მაშინ, როცა სომხეთს ასეთი სახის შეღავათი მხოლოდ 24 პროცენტით აქვს განსაზღვრული.

"ჩვენ სომხურ მხარეს ადრე შევთავაზეთ, რომ შეღავათს იმ შემთხვევაში გავზრდიდით, თუ ისინი ტვირთბრუნვის რაოდენობას გაზრდიდნენ. ამაზე სომხეთი დაგვთანხმდა, თუმცა შემდეგ ტვირთბრუნვამ უფრო იკლო, რაც იმან გამოიწვია, რომ სომხეთის რკინიგზის დეპარამენტმა ტვირთების გადაზიდვის მომსახურება გააძვირა. მე სომეხ პარლამენტარებს პირდაპირ განვუცხადე, რომ მათი პოზიცია გაუგებარია," – გვითხრა საქართველოს პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ ანზორ აბრალავამ. ამის მიუხედავად, ქართული დელაგაციის ხელმძღვანელს, პარლამენტის სპიკერის მოადგილეს ვახტანგ ყოლბაიას რამდენჯერმე მოუხდა, აეხსნა, მათ შორის, სომხეთის პრეზიდენტ რობერტ კოჩარიანთან შეხვედრაზე, რომ **"სომხეთისა და აზერბაიჯანისთვის განსაზღვრულ სატრანზიტო ტარიფებში განსხვავება სუფთა ეკონომიკური პრობლემაა და არა პოლიტიკური. ეს საკითხი საქართველოსა და სომხეთის სახელმწიფოთაშორისო კომისიის სხდომაზე განიხილება".**

სომხური მხარის სრულიად მოულოდნელ ორ ინიციატივას ქართული მხარე ზედმიწევნით ცივად შეხვდა. სომეხი პარლამენტარები გამოვიდნენ კატეგორიული მოთხოვნით, რომ საქართველომ სასწრაფოდ გახსნას რკინიგზის მაგისტრალი, რომელიც აფხაზეთზე გადის, რათა სომხეთმა შეძლოს რუსეთიდან ტვირთების რკინიგზის საშუალებით მიღება. მათივე წინადადებით, სომხეთს აინტერესებს სოფელ სადახლოში, საქართველოსა და სომხეთის სახელმწიფო საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე, თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა.

"ფაქტია, რომ ყარაბაღის ომის შემდეგ სომხები ნებისმიერ მოლაპარაკებაზე გამარჯვებულის პოზიციიდან საუბრობენ, ეს, გარკვეულწილად, ამ შეხვედრაზეც იგრძნობდა. სომხეთის მხრიდან პრეტენზიების მოზღვავება, ბუნებრივია, ჩვენი ხელისუფლების სისუსტითაც არის გამოწვეული. ჩვენს ურთიერთობაში, ალბათ, კვლავაც იქნება გარკვეული რთული მომენტები, მაგრამ მე სომხეთის ხელისუფლებაში მყოფი კონსტრუქციული აზროვნების ადამიანების მჯერა და საქართველოსა და სომხეთს შორის ურთიერთობებში რაიმე სერიოზულ გართულებას ნამდვილად არ ველოდები," – აცხადებს ანზორ აბრალავა.

ავიძბამ თბილისში აფხაზი ბავშვები მოინახულა

თბილისში ჯოენის სახელობის ბავშვთა კარდიოქირურგიის ცენტრში ორი აფხაზი ბავშვი წევს. ერთს გულის მანკის ოპერაცია უკვე გაუკეთეს, მეორეს კი ოპერაციისთვის ახლა ამზადებენ. გუშინ პატარები თავიანთმა ჯანდაცვის მინისტრმა ლუდმილა ავიძბამ მოინახულა და მათი მდგომარეობით ძალიან კმაყოფილიც დარჩა.

ქართველი ექიმებისადმი მადლიერების გრძნობას პატარა პაციენტების მშობლებიც გამოთქვამდნენ. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო მათ სახელმწიფო პროგრამით სრულიად უსასყიდლოდ მკურნალობს. უახლოეს მომავალში მოსალოდნელია კიდევ ოთხი ასეთი ბავშვის ჩამოყვანა და ოპერაციის გაკეთება.

ლუდმილა ავიძბა თავის ყოფილ დედაქალაქში დილის 11 საათზე ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო კომისიის დელეგაციასთან ერთად ჩამოფრინდა და კარდიოქირურგიის ცენტრის გარდა, ჯანდაცვის მართვისა და საოჯახო მედიცინის ცენტრებიც მოინახულა.

სოხუმში გაფრენამდე იგი ნახევარი საათით შეხვდა სახელმწიფო მინისტრს ავთანდილ ჯორბენაძეს. დახურულ შეხვედრას ჯანდაცვის მინისტრი ამირან გამყრელიძე და მისი პირველი მოადგილე მარინა ღუდუშაურიც ესწრებოდნენ. საუბარი შეეხებოდა გალის ტერიტორიაზე ჯანდაცვის ერთობლივი პროექტების განხორციელებას, რომლის დაფინანსებას საქართველოს მხარე კისრულობს. ეს არის გალის რაიონის ჯანდაცვის სისტემის მთლიანი ინფრასტრუქტურის აღდგენის პროექტი, რომელიც, წინასწარი გათვლებით, 6 მილიონი დოლარი დაჯდება.

შეგახსენებთ, რომ თბილისის დაფინანსებით გალის ტერიტორიაზე უკვე მოქმედებს ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების პროგრამა, ხოლო დიაბეტით დაავადებულთა ინსულინით უფასოდ მომარაგების პროგრამა აფხაზეთის მთელ ტერიტორიას მოიცავს.

ახალ პროექტზე მუშაობა კარგა ხანია მიმდინარეობს და ახლა დეტალების დაზუსტება ხდება. შესაბამისი წინადადებები მხარეებმა ერთმანეთს ორ კვირაში უნდა წარუდგინონ. თუმცა პროექტის სრულყოფილად განხორციელებისთვის მთავარი მაინც სტაბილური პოლიტიკური ვითარებაა, რაც ექიმებზე დამოკიდებული არ არის.

სოხუმის მთავრობის ჯანდაცვის მინისტრი ლუდმილა ავიძბა

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

გაურკვეველია, რა ენაზე ისწავლიან გალის ქართული სკოლების მოსწავლეები

ვერიკო თევზაძე

გუშინ გაეროს თბილისის წარმომადგენლობაში დახურულ კარს მიღმა გაიმართა ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო კომისიის მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა.

აფხაზურ დელეგაციაში იყვნენ ვლადისლავ არძინბას თანაშემწე ასტამურ ტანია, ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო კომისიის მდივანი ლეონიდ ლაკერბაია და ეკონომიკის მინისტრი ბესლან კუბრავა. ქართულ მხარეს წარმოადგენდნენ განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი მალხაზ კაკაბაძე და განათლების მინისტრი ალექსანდრე კარტოზია.

შვიდსაათიან შეხვედრაზე მსჯელობდნენ ჯანდაცვის, ეკონომიკისა და განათლების საკითხებზე. მხარეები შეთანხმდნენ გულით დაავადებული ბავშვებისათვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევაზე, ისაუბრეს ტელეკომუნიკაციების და ელექტროხაზების აღდგენაზე. გამოითქვა სურვილი, რომ "ვეფხისტყაოსანი" ითარგმნოს აფხაზურ ენაზე.

შეხვედრაზე უნდა გადაწყვეტილიყო, დაიწყება თუ არა ახალ სასწავლო წელს გალის რაიონის ქართულ სკოლებში სწავლება ქართულ ენაზე (რუსულ სკოლებში ქართულს ცალკე საგნად შეისწავლიან). აფხაზური მხარე ამ ინიციატივას კომპრომისულს უწოდებს და თითქოს მზადა არის, დათანხმდეს, მაგრამ ამ ეტაპზე საკითხი საბოლოოდ არ გადაწყვეტილა. მათი ვარაუდით, სექტემბრამდე გაჭირდება ქართული სახელმძღვანელოების დაბეჭდვა და სხვა ორგანიზაციული საკითხების მოგვარება.

"24 საათი" დაუკავშირდა განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრს მალხაზ კაკაბაძეს. ბატონ კაკაბაძის აზრით, შეხვედრას, რასაკვირველია, დადებითი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მან, გარკვეულწილად, ხელი შეუწყო ქართველებისა და აფხაზების დაახლოებას. მიღწეულ იქნა რამდენიმე სახის შეთანხმება, თუმცა, როგორც მინისტრი ბრძანებს, კლავ გაურკვეველი რჩება, რა ენაზე ისწავლიან მოსწავლეები გალის რაიონის ქართულ სკოლებში.

მალხაზ კაკაბაძის თქმით, დაახლოებით ორ კვირაში ამ თემაზე გაიმართება კონსულტაციები. 20 ივლისისათვის ქართულ-აფხაზურმა მხარემ საბოლოო შეთანხმებას უნდა მიაღწიოს.

„ტრასეკა„ ავღანეთის ჰუმანიტარული ტვირთების მოლოდინში

ამ ტვირთების მოზიდვის სურვილმა „ტრასეკა„ კონკურენტუნარიანი გახადა

გვანცა კვინიკაძე

ავღანეთისთვის განკუთვნილი მილიონობით ტონა ჰუმანიტარული ტვირთი, რომელსაც "ტრასეკას" დერეფანი და, შესაბამისად, საქართველოს სატრანსპორტო ქსელიც, უკვე გაზაფხულის ბოლოს ელოდა, ჯერაც არ გამოჩენილა. არადა, ამ ტვირთების მოსაზიდად, "ტრასეკას" წევრი თოთხმეტი ქვეყანა იძულებული გახდა, დერეფანში მოქმედი ტარიფები მნიშვნელოვნად შეემცირებინა, რაც მისი არსებობის მანძილზე მიუღწეველ ამოცანად იყო მიჩნეული. თავისი არაკონკურენტული სატარიფო პოლიტიკის გამო კი, "ტრასეკა" მნიშვნელოვან ტვირთნაკადებს კარგავდა რუსეთსა და თურქეთ-ირანზე გამავალი ალტერნატიული სატრანსპორტო დერეფნების სასარგებლოდ.



საქართველოში ფიქრობენ, რომ "ტრასეკას" დერეფნით ავღანეთისთვის განკუთვნილი ჰუმანიტარული ტვირთების დაგვიანება, მაღალი ტარიფების აღარ შეიძლება იყოს განპირობებული. ეს შეფერხება, უფრო, დონორ ორგანიზაციებში მიმდინარე ფორმალური პროცედურების ბრალია. ის პროდუქცია (ძირითადად, ხორბალი და ფქვილი), რაც გადაუდებელი დახმარებისთვის იყო საჭირო, ყაზახეთში შეიძინეს და ავღანეთმა უზბეკეთის გავლით უკვე მიიღო.

"ტრასეკას" მთავრობათაშორისი კომისიის საქართველოს ეროვნული მდივნის, **გოგი გოგიაშვილის** განცხადებით, "ტრასეკას" პროექტის მონაწილე ქვეყნებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ დერეფანი კონკურენტუნარიანი გამხდარიყო, ალტერნატიულ, ჩრდილოეთისა (რუსეთის) და სამხრეთის (თურქეთ-ირანის) სატრანსპორტო დერეფნებთან შედარებით. "ტრასეკას" დერეფნის ტრანსპორტის მინისტრთა ბოლო შეხვედრაზე, რომელიც მარტში გაიმართა, ქვეყნები სასწრაფოდ და უმტკივნეულოდ შეთანხმდნენ ტარიფების მნიშვნელოვან შემცირებაზე. შემცირდა როგორც საპორტო და საბორნე, ასევე სარკინიგზო ტარიფები. საქართველოს ტრანსპორტის მინისტრმა მნიშვნელოვან მიღწევად დაასახელა ის ფაქტი, რომ ამ ლიბერალიზაციის წყალობით, ფოთისა და ბათუმის პორტებიდან ე.წ. ერთეულოვანი კონტეინერის ცენტრალური აზიის მიმართულებით გადაზიდვის ტარიფი, დაახლოებით, 1640 დოლარი გახდა, რაც ადრე მოქმედ ფასებთან შედარებით თითქმის 1000 დოლარით ნაკლებია. ასევე მნიშვნელოვნად - 50 პროცენტით - შემცირდა საქართველოს რკინიგზით გადაზიდვის ტარიფები. "საქართველოს რკინიგზა" ავღანეთისთვის განკუთვნილ ჰუმანიტარულ ტვირთებს, საბაზისოსთან შედარებით, 50 პროცენტით ნაკლები ტარიფით მოემსახურება. ამის გათვალისწინებით, ერთეულოვანი კონტეინერის გადატანა ფოთის პორტიდან აზერბაიჯანის საზღვრამდე გადამზიდავებს 99 დოლარი დაუჯდებათ.

ექსპერტთა მიერ ჩატარებული ანალიზის თანახმად, ტარიფების ასეთი მნიშვნელოვანი შემცირების წყალობით, "ტრასეკას" დერეფნით, ცენტრალური აზიის მიმართულებით, ტვირთების გადაზიდვა გაცილებით იაფი დაჯდება, ვიდრე ბრესტის, კალინინგრადის, ნოვოროსიისკისა და თვით ირანის ერთ-ერთი უძლიერესი - ბანდერ-აბასის პორტიდან.

რა რეაქცია ჰქონდათ კონკურენტ დერეფნებს "ტრასეკას" ფარგლებში ტარიფების ლიბერალიზაციაზე, ჯერჯერობით, უცნობია. თუმცა, არ იქნება გასაკვირი, რომ მათაც შესაბამისი გადაწყვეტილება მიეღოთ, მით უმეტეს, რომ რუსეთი საკმაოდ ხშირად მიმართავს სარკინიგზო ტარიფების დაწევის პრაქტიკას. ცნობილია, რომ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი, წლების განმავლობაში, გაცილებით მოქნილ სატარიფო პოლიტიკას ახორციელებს, ვიდრე "ტრასეკას" წევრი ქვეყნები. რუსეთი ცალკეული ქვეყნების ტვირთის მისაზიდად მათ ინდივიდუალურ, შეღავათიან ტარიფებსაც კი სთავაზობს. რკინიგზის გარდა, რუსეთის ნავსადგურებიც, მაგალითად, ნოვოროსიისკი ხშირად სთავაზობს ზოგიერთ (მშრალი ტვირთების, მადნის) გადამზიდავ კომპანიას განსაკუთრებით შეღავათიან ტარიფებს.

იგივე ეხება სამხრეთის სატრანსპორტო დერეფანსაც, რომელიც სარკინიგზო მაგისტრალების სისუსტის გამო, აქცენტს საავტომობილო ტრანსპორტზე აკეთებს. თურქმა და ირანელმა ავტოგადამზიდავებმა შესანიშნავად ისარგებლეს იმ მოუწესრიგებლობითა და კორუფციით, რაც საქართველოს ავტომაგისტრალზეა გამეფებული. ცნობილი და, ამავე დროს, აბსურდული ფაქტია, რომ საქართველოს 450 კილომეტრიანი მაგისტრალის გავლას, სხვადასხვა ხელოვნურად გართულებული პროცედურის გამო, სატვირთო ავტომანქანა 3-4 დღეს ანდომებს. ასეთ სიტუაციაში გასაკვირი არ არის, რომ საავტომობილო გადამზიდავები ტვირთის გადატანას თურქეთისა და ირანის გავლით ამჯობინებენ.

როგორც ჩანს, ის, თუ რომელი დერეფანი როგორ ტარიფს შესთავაზებს ჰუმანიტარული ტვირთების მფლობელებს, უშუალოდ გადამზიდავი კომპანიების გამოვლენისთვის გამართულ ტენდერებზე გაირკვევა. გოგიაშვილის აზრით, ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ "ტრასეკას" დერეფნის გადამზიდავმა კომპანიებმა სერიოზული კონტაქტები დაამყარეს დონორ ორგანიზაციებთან და მათ ე.წ. "შორთ ლისთებშიც" მოხვდნენ.

გოგიაშვილის აზრით, "ტრასეკას" დერეფანი მზად არის ჰუმანიტარული ტვირთების მიღებისა და მომსახურებისთვის, მაგრამ ეს, ჯერჯერობით, თეორიული მზადყოფნაა. დერეფნის ნაკლიც და ღირსებებიც თვალნათლივ ამ ტვირთების გადაზიდვის პროცესში გამოჩნდება.

„ვექტრა„ მრავლდება

ავტოკომპანია Adam Opel AG-ი, რომელიც ამერიკული General Motors-ის ევროპული ფილიალია, ავტომობილ "ვექტრას" წარმოების შემცირებას არ აპირებს. არადა, რამდენიმე ხნის წინ გერმანული გაზეთი ამ ცნობას "ულანდ ბუკარტის" წარმომადგენლის ინფორმაციაზე დაყრდნობით ავრცელებდა. "ბუკარტი" გაყიდვასა და მარკეტინგზე აგებს პასუხს. "ვექტრას" პრობლემების შესახებ პრესაში ადრეც იბეჭდებოდა. თუმცა, Opel-ი ამ ხმებს ყოველთვის უარყოფდა. კომპანიის წარმომადგენლების ცნობით, 2002 წელს დაგეგმილია 150 ათასი "ვექტრას" გამოშვება, შემდეგ წელს კი – 320 ათასის. პრობლემა რომ არ არსებობს, ამაზე მეტყველებს ისიც, რომ Opel-მა ახლახან ახალ მოდელზე დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში 40 ათასი შეკვეთა მიიღო, მხოლოდ გერმანიაში კი 16 ათასი ახალი მანქანა შეუკვეთეს. წლის ბოლოსთვის Opel-ი დღეში 650 "ვექტრას" ნაცვლად, 870-ის წარმოებას აპირებს.

Nasdaq-ს ასე 11 სექტემბერსაც არ გასჭირვებია

კვირის დასაწყისში მსოფლიო ბაზარზე ფინანსური მაჩვენებლები საგრძნობლად დაეცა. ინვესტორებს ეს ცუდი ამბავი ერთდროულად ლონდონიდან, პარიზიდან, ფრანკფურტიდან და ნიუ-იორკიდან შეატყობინეს. ფინანსური პესიმიზმი გაამძაფრა დოლარზე ფასის დაწევამაც – ამ ეტაპზე ევრო და დოლარი გვერდიგვერდ მიაბიჯებენ. ამ პრეცედენტის დაფიქსირების შემდეგ ანალიტიკოსები, რომლებიც ამერიკული ეკონომიკის გამოცოცხლებას დროებით მოვლენად მიიჩნევდნენ, ამ მოსაზრების ჭეშმარიტებაში კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ. Nasdaq-ის ინდექსი, რომელიც მაღალტექნოლოგიურ ბაზარზე მოღვაწე კომპანიების მდგომარეობას ასახავს, იმაზე დაბლაც კი დაეცა, რაც 11 სექტემბრის ტერაქტის შემდგომ პირველ ხანებში იყო.

US Airways-ი გაკოტრების ზღვარზე

ამერიკული ავიახაზების წარმომადგენლების განცხადებით, კომპანია კრედიტორებისათვის ვალების გადავადებას აპირებს. ეს გასაკვირი არც არის – ტერაქტების შემდეგ კომპანია ფინანსური კრიზისის პირისპირ აღმოჩნდა, რადგან მკვეთრად დაეცა მგზავრების რიცხვი. კრიზისი დღესაც გრძელდება. სწორედ ამიტომ US Airways-ი ვალების (საერთო მოცულობა 1.3 მილიარდი დოლარი) გაქვითვას, პატიებას ან გადავადებას ითხოვს. ეს თხოვნა აქციონერების და კრედიტორების გასაგონად ისმის. მათ გარდა, ავიაკომპანია პროფკავშირების თანაგრძნობის მოპოვებასაც ცდილობს. კომპანიის წარმომადგენლის განცხადებით, US Airways-ს იმედი აქვს, რომ პარტნიორები "რესტრუქტურიზაციის გეგმაში მონაწილეობას აუცილებლად მიიღებენ". გარდა ამისა, ავიაკომპანია აღიარებს, რომ არ არის გამორიცხული დეფოლტის საფრთხის წინაშეც აღმოჩნდეს.

შეგახსენებთ, რომ წინათ US Airways-ი 1 მილიარდი დოლარის ვალისთვის სამთავრობო გარანტიას ითხოვდა. ფინანსური პრობლემების დაძლევის მიზნით, კომპანიამ ტერაქტების შემდეგ 11 ათასი თანამშრომელი გაათავისუფლა. ახლახან ცნობილი გახდა სიდიდით მეორე ამერიკული ავიაკომპანიის United Airlines-ის პრობლემების შესახებაც. ეს კომპანია სამთავრობო გარანტიას 2 მილიარდ დოლარიანი ვალისთვის ითხოვს. ზოგიერთი მონაცემით, 2001 წელს ავიაგადაზიდვების ინდუსტრიამ 7 მილიარდი დოლარი დაკარგა.

ენერგორესურსებზე იმსჯელებენ

თურქეთში, ქალაქ სტამბოლში დღეს დაიწყო და ორ დღეს გაგრძელდება კემბრიჯის ენერგეტიკის ცენტრის მიერ ორგანიზებული კონფერენცია თემაზე: „შავი ზღვის ქვეყნების ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის შესახებ". საქართველოს მხრიდან კონფერენციაში მონაწილეობს ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა.

კონფერენცია ყოველწლიურად იმართება, წლევანდელი კი მეხუთეა. ამჯერად იქ შავი და კასპიის ზღვების ენერგეტიკულ რესურსთა კვლევისა და ენერგობაზარზე ბრძოლის პრობლემებზე იმსჯელებენ, განიხილავენ ელექტროენერგეტიკის, ნავთობისა და გაზის საკითხებს (მედია-ნიუსი).

თბილისს ოფიციალურად დაფიქსირებულზე ნაკლებ გაზს აწვდიან

პირველი გვერდიდან

ამ ვერსიას ახლა უკვე კონტროლის პალატაც ადასტურებს. **"თბილგაზისა" და "საქგაზის" შემოწმებისას შეკრებილ მასალებზე დაყრდნობით, დამტკიცდა მათ შორის არასამართლებრივი კავშირის არსებობა, რითაც საბოლოდ ზარალდება ჩვეულებრივი მომხმარებელი. ჩვენს მიერ მოძიებული მასალები გადავგზავნეთ შსს საგამოძიებო დეპარტამენტში. ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება. რა სახის დარღვევაც კი შეიძლება აღინიშნოს, თითქმის ყველა სახის დარღვევა დავაფიქსირეთ და გადავეცით შსს-ს საგამოძიებო დეპარტამენტს. ამ საკითხს ბევრი გამოძიება არ სჭირდება, ყველაფერი ისედაც ნათელია,"** – "24 საათთან" საუბარში განაცხადა სულხან მოლაშვილმა.

ვახტანგ ცაავა

ლეონიდ დეიკალო

"მიღებული გაზის 50-60 პროცენტი აღირიცხება დანაკარგებში, რაც არარეალურია და არავითარი ეკონომიკური გამართლება არა აქვს, ეს კი სს "თბილგაზში" არსებულ განუკითხაობაზე მეტყველებს. კერძოდ, 2000 წლის ბოლო ოთხ თვეში სს "თბილგაზს" სარეალიზაციოდ შესყიდული ჰქონდა 35.217,0 ათასი კუბ.მ. ბუნებრივი აირი, საიდანაც რეალიზაციაში აღრიცხულია 61,9 პროცენტით ნაკლები. მათ შორის, ზენორმატიული შეადგენდა 52,9 პროცენტს, რაც შეუძლებელია, რეალურად მივიჩნიოთ და გაზსადენების ტექნიკურ გაუმართაობას დავაბრალოთ," – 2002 წლის 14 ივნისს გამართულ უშიშროების სხდომაზე განაცხადა საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარემ სულხან მოლაშვილმა.

კონტროლის პალატის ინფორმაციით, სარევიზიო პერიოდში "თბილგაზმა," ხელმძღვანელობის ყოვლად გაუმართლებელი ქმედებით, შემოსავლების სახით დაკარგა და იზარალა 15877,8 ათასი ლარი, რის გამოც ვერ უზრუნველყო მიღებული ბუნებრივი აირის ღირებულების სრულად გადახდა და მომწოდებლისადმი დავალიანებამ 34,0 მილიონ ლარს გადააჭარბა.

კონტროლის პალატაში იმაზეც საუბრობენ, რომ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს **"თანამდებობის პირთა ხელშეწყობით, მიზანდასახულად მიმდინარეობს "თბილგაზის" დაკაბალება."**

პალატის ინფორმაციით, აუცილებელია გაზის სექტორის რეალური და ეფექტური რეფორმა, რაც საჯაროობისა და გამჭვირვალობის პირობებში უნდა გახორციელდეს. **"გაზის სექტორი უნდა გათავისუფლდეს შემთხვევითი პირებისა და დაჯგუფებისაგან, რომლებიც ბუნებრივი აირის ბიზნესს, ძირითადად, სახელმწიფო ფინანსური სახსრების პირადი სარგებლობისათვის გადასაქაჩავად იყენებენ,"** – ასეთი გამოსავალი მოიძებნა კონტროლის პალატაში, თუმცა კონკრეტული პიროვნებების დასახელებისაგან ამ უწყების ხელმძღვანელებმა თავი შეიკავეს.

რაც შეეხება "თბილგაზს", ამ კომპანიაში აცხადებენ, რომ მიღებული გაზის 60-70 პროცენტი დანაკარგებში ირიცხება. ამის მიზეზად "თბილგაზი" ტექნიკურ გაუმართაობას ასახელებს. ეს ვერსია საეჭვოდ და ეკონომიკურად გაუმართლებლად მიაჩნიათ კონტროლის პალატაში.

გაზმომარაგების საკითხს სწავლობენ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტშიც. ამ უწყებაში მომზადებული ინფორმაციის თანახმად, **"საკონტროლო აღრიცხვის სისტემის არარსებობის გამო, ფაქტობრივად, შეუძლებელია, დადგინდეს რეალურად რა ოდენობის ბუნებრივი აირი მიეწოდება "თბილგაზის" მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების ფილიალებს. შეუძლებელია, გაიმიჯნოს აირის დატაცება მისი ტექნოლოგიური დანაკარგებისგან."** სხვათა შორის, ენერგეტიკის მარეგულირებელმა კომისიამ "თბილგაზს" ტექნოლოგიური დანაკარგების სიდიდე 15 პროცენტამდე დაუდგინა.

გუშინ მთელი დღის განმავლობაში ვცდილობდით "საქგაზისა" და "თბილგაზის" ხელმძღვანელობასთან დაკავშირებას, რათა მათ კომენტარი გაეკეთებინათ კონტროლის პალატის თავმჯდომარის სკანდალურ განცხადებაზე, თუმცა უშედეგოდ, რადგან, როგორც კომპანიების პრეს-სამსახურებში გვითხრეს, "საქგაზისა" და "თბილგაზის" მმართველები - ლეონიდ დეიკალო და ვახტანგ ცაავა - მთელი დღის განმავლობაში სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ.

მთავრობას პარლამენტის კარში გოლი გააქვს

გიორგი კალანდაძე

გუშინ პარლამენტმა საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შეიტანა, რომლის დებულებებიც არც ერთ დეპუტატს არ მოსწონს. უბრალოდ, კანცელარიის დერეფნებიდან გამოსულმა დეპუტატებმა კარგად გაიგეს, რომ დღეს, მთავრობის ეკონომიკური გუნდის მხარდაჭერით, ხვალ აუცილებლად მიიღებენ დივიდენდებს. ფინანსთა სამინისტროსთან დაახლოებული წყაროს ცნობით, განსაკუთრებით აქტიური კონსულტაციები საგადასახადო ცვლილებებთან დაკავშირებით გადეპუტატებულ "ყოფილ" ბიზნესმენებთან გაიმართა.

რას დაუჭირა მხარი პარლამენტმა?

უპირველესად, მან იხსნა მთავრობის ეკონომიკური გუნდი საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრიტიკისაგან, რასაც აუცილებლად ექნებოდა ადგილი პარლამენტის მიერ საგადასახადო ცვლილებების მიუღებლობის შემთხვევაში. 12 ივლისს, ვაშინგტონში, სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭოზე, საქართველოსთვის საფინანსო პროგრამის აღდგენის საკითხის განხილვას აუცილებლად შეუშლიდა ხელს იმ რამდენიმე ვალდებულების შეუსრულებლობა, რაც საქართველოს მთავრობას ჰქონდა აღებული. მათგან უმთავრესია 2002 წლის ექვსი თვის საბიუჯეტო მაჩვენებლების შესრულება, საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანა, რომელსაც დასაბეგრი ბაზა 35 მილიონი ლარით უნდა გაეზარდა და ფერადი ლითონების ჯართის ექსპორტზე შეზღუდვის მოხსნა, რაც პარლამენტმა, ოფიციალური ვერსიით, რამდენიმე თვის წინათ ბრინჯაოს ქანდაკებების დასაცავად მიიღო.

ყველაზე ზუსტად პარლამენტართა დიდი ნაწილის განწყობა ფრაქცია "აღორძინების" დეპუტატმა სანდრო ბრეგაძემ გამოხატა. მისი მოთხოვნით, სხდომა უნდა გადაიდოს, რადგან დღის წესრიგში შეტანილი საკითხების, მათ შორის, ფერადი ლითონების ჯართის სახით ექსპორტის აკრძალვა-გაუქმების, საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტის შინაარსს ფრაქციათა დიდი ნაწილი არ იცნობს და ვინც იცნობს, არ ეთანხმება. **„კანონების სწრაფი ტემპით მიღება, პარლამენტის გარდა, ქვეყანასაც ღუპავს"**, - დასძინა ბრეგაძემ.

მიუხედავად ამისა, პარლამენტმა მთავრობის მიერ წარდგენილი ყველა საკითხი დაამტკიცა. ამით დეპუტატებმა გააუქმეს 20 მარტს მათ მიერვე მიღებული საგადასახადო ცვლილებებიც. კერძოდ, ახალი შესწორების ამოქმედებიდან არასასოფლო-სამეურნეო მიწის გადასახადი კვლავ 24 თეთრი იქნება 15 თეთრის ნაცვლად. იგივე ბედი ეწია სამ სხვა ცვლილებასაც.

დეპუტატებმა ასევე გააუქმეს შეღავათები მოგების, სოციალურ და ქონების გადასახადზე იმ საწარმოებს, სადაც დასაქმებულთა 70 პროცენტი ინვალიდები არიან. გარდა ამისა, დამატებული ღირებულების გადასახადის შეღავათი გაუქმდა: საფოსტო მარკების იმპორტსა და მიწოდებაზე, სასტუმროთა მომსახურებაზე, საექსპორტო პროდუქციისათვის იმპორტირებულ ნედლეულსა და ტარა-შესაფუთ მასალაზე.

გუშინ პარლამენტმა თავის კიდევ ერთ "მიღწევაზე" თქვა უარი – გაუქმდა შეზღუდვა ფერადი ლითონების ჯართის სახით ექსპორტზე. **"თუ პარლამენტი ამ წინადადებას მხარს არ დაუჭერს, ჩემს თავს დაკავებულ თანამდებობაზე ვერ ვხედავ"**, - განაცხადა კენჭისყრამდე ერთი დღით ადრე ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრმა გია გაჩეჩილაძემ. ამ მოტივით, თუ ფრაქციებისთვის გაცილებით მომგებიანი მიზეზის გამო, ამიერიდან ფერადი ლითონების ჯართის სახით საქართველოდან გატანა ნებადართულია. სხვათა შორის, თავის დროზე ამ აკრძალვის შემოღება საკმაოდ გაუგებარი იყო, რადგან ნებისმიერს შეეძლო ფერადი ლითონების ჯართი ზოდად გადაედნო და ისე გაეტანა საქართველოდან.

მასხადოვი გროზნოს დაპყრობას აპირებდა - დამნაშავე ისევ საქართველოა?

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმმა გაანადგურა პრეზიდენტ მასხადოვის საბრძოლო შტაბი და ხელთ იგდო მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია მასხადოვის კავშირებისა და გეგმების შესახებ.

25 ივნისს ჩეჩნები, პრეზიდენტ მასხადოვის მეთაურობით, გროზნოზე და გუდერმესზე თავდასხმას და ამ ქალაქების ხელში ჩაგდებას გეგმავდნენ. ჩეჩნები ოპერაციაში ათასამდე მებრძოლის ჩართვას აპირებდნენ. რუსეთის ფედერალურმა ჯარებმა ეს განზრახვა ჩაშალეს.

რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა მოსკოვში, გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მისი სამინისტროს სპეციალური დანიშნულების რაზმმა მთიან ჩეჩნეთში შეძლო პრეზიდენტ მასხადოვის სამხედრო შტაბის განადგურება. შტაბზე თავდასხმისას, რუსებმა მოსპეს მასხადოვთან დაახლოებული რამდენიმე ჩეჩენი მებრძოლი და ხელში ჩაიგდეს მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია, რომელიც ააშკარავებს მასხადოვის გეგმებსა და საზღვარგარეთთან კავშირებს.

სერგეი ივანოვის ცნობით, მასხადოვის შტაბი თავდაცვის სამინისტროს "პროფესიონალურად მომზადებულმა რაზმმა", შედარებით მცირე ძალებით, გაანადგურა.

რუსეთის საინფორმაციო საშუალებების ცნობით, სერგეი ივანოვმა წარმოადგინა ტყვიებით დაცხრილული რუკა, რომელზეც თავად მასხადოვის ხელით იყო მონიშნული რუსეთის ფედერალური ჯარების გადაადგილების მარშრუტი. მასხადოვის შტაბში აღმოჩნდა 500 ჩეჩენის გვარი, რომლებიც მასხადოვის რაზმებს უნდა გაენადგურებინათ რუსებთან თანამშრომლობის გამო. სიკვდილმისჯილთა შორის იყვნენ ჩეჩნეთის რაიონების ადმინისტრაციის მოქმედი მეთაურები, ჩეჩენი მილიციელები და ზოგიერთი ღვთისმსახურიც კი.

ივანოვის თქმით, შტაბში აღმოჩნდა მასხადოვსა და საერთაშორისო ტერორისტებს შორის კავშირის დამადასტურებელი საბუთები. მათში მითითებულია ის თანხები, რომლებსაც ჩეჩენი მებრძოლები კატარიდან, თურქეთიდან, იორდანიიდან, პაკისტანიდან და გერმანიიდან იღებდნენ. მთელი მიღებული ინფორმაცია გადაეცემა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს.

"მასხადოვთან მოლაპარაკებებს მხოლოდ პროკურორი გამართავს," – ამბობს ივანოვი და აღნიშნავს: მასხადოვის შტაბში აღმოჩენილი დოკუმენტაცია აშკარად მიუთითებს, რომ მასთან მოლაპარაკება უაზრობაა.

ერთი შეხედვით, ივანოვის მიერ გავრცელებული ინფორმაცია რუსეთის ფედერალური ძალების მოქმედებათა ეფექტურობას ადასტურებს. მაგრამ, მეორე მხრივ, ამ ამბის გახმაურება კიდევ ერთხელ აბათილებს რუსეთის პრეზიდენტისა და მთავრობის მიერ არაერთხელ გაკეთებულ განცხადებას, რომ ჩეჩნეთის ანტიტერორისტული ოპერაცია თითქმის უკვე დასრულებულია. ჩეჩნების მიერ გროზნოს შტურმზე ფიქრიც კი, ადასტურებს, რომ მასხადოვისა და მისი მომხრეების ძალები ჯერ არ დასუსტებულა და ჩეჩნური წინააღმდეგობაც კვლავ გაგრძელდება.

მასხადოვის შტაბში აღმოჩენილმა საბუთებმა წარმოაჩინეს, რომ ჩეჩენი პრეზიდენტი ცდილობს, კავშირი შეკრას რუსლან გელაევთან, რომელიც, რუსეთის თავდაცვის მინისტრის ხელთ არსებული მონაცემებით, პანკისის ხეობას აფარებს თავს. გელაევთან ერთად მასხადოვი ჩრდილოეთ კავკასიაში "დამოუკიდებელი ისლამური სახელმწიფოს" შექმნის გეგმებზე მუშაობს.

ივანოვმა აღნიშნა, რომ მას აწვდიან "დოკუმენტების დასტებს", რომლებიც პანკისის ხეობაში ჩეჩენი მებრძოლების მოქმედებებს ეხება. დოკუმენტები ცხადყოფენ, რომ საქართველოდან ჩეჩნეთში მიედინება **"ფულისა და იარაღის უწყვეტი ნაკადი, რომელიც რუსეთის მოქალაქეების მკვლელობისთვისაა განკუთვნილი."** საქართველოს ამ ფაქტებიდან დასკვნები არ გამოაქვს. ადრე თუ გვიან **"შეიარაღებული მებრძოლების უმართავ მასებს შეუძლიათ, იარაღი მეორე მხარეს მიაბრუნონ,** – აღნიშნა მინისტრმა. მისი აზრით, ეს ვითარება საქართველოს უნდა აღელვებდეს, რადგან ამერიკელების მიერ გაწვრთნილი ქართული სპეცდანიშნულების რაზმები მხოლოდ ერთი-ორი წლის შემდეგ იქნებიან მზად ტერორისტებთან საბრძოლველად.

„ან არაფატი, ან სახელმწიფო„ - ბუშმა პალესტინელ არაბებს ულტიმატუმი წაუყენა

პრეზიდენტმა ბუშმა პალესტინელებს ხელმძღვანელობის შეცვლისა და ტერორისტების ალაგმვისკენ მოუწოდა.

ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი იმდენად რთული ხასიათისაა, რომ ყოველგვარი დიპლომატიური ინიციატივა თავიდანვე წარუმატებლობისთვისაა განწირული.

შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა, დიდი ხნის მოლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, ჩამოაყალიბა თავისი ადმინისტრაციის ხედვა ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოგვარების თაობაზე. თეთრ სახლში სიტყვით გამოსვლისას, ბუშმა პალესტინელებს ხელმძღვანელობის შეცვლისკენ მოუწოდა. მიუხედავად იმისა, რომ გვარი პირდაპირ არ დაუსახელებია, ყველასთვის აშკარა გახდა, რომ ბუში გულისხმობდა იასირ არაფატს.

ფაქტობრივად, ბუშმა ულტიმატუმი წაუყენა პალესტინელებს: ან იასირ არაფატი თანამდებობას დატოვებს, თავის გუნდთან ერთად, ან პალესტინელები საკუთარ სახელმწიფოზე ვერც კი იოცნებებენ. როგორც მოსალოდნელი იყო, ბუშის გეგმა ისრაელისთვის უფრო მომგებიანი გამოდგა, ვიდრე — პალესტინელებისთვის. ეს ამ გამოსვლაზე რეაქციამაც კარგად აჩვენა. თუ პალესტინელები ამერიკის პრეზიდენტის მიმართ თავიანთ რისხვას ვერ მალავდნენ, გულმოცემულმა ებრაელებმა დრო არ დაკარგეს და პალესტინის კიდევ ერთ ქალაქში, ჰებრონში შეიჭრნენ.

ჰებრონი უკვე მეშვიდე ქალაქი გახდა რამალას, ჯენინის, თულქარმის, ბეთლემის, ნაბლუსისა და კალკილიის შემდეგ, რომელიც ისრაელის არმიამ დაიპყრო. მთელ იუდეასა და სამარიაში მხოლოდ ერთი პალესტინელი ქალაქი გადაურჩა ებრაელთა ოკუპაციას – იერიქონი. დაახლოებით 700 ათასი პალესტინელი სახლებშია გამოკეტილი ოკუპირებულ ქალაქებში კომენდანტის საათის მოქმედების გამო. პალესტინის ლიდერის, არაფატის შტაბბინა რამალაში კვლავ ალყაშემორტყმულია.

როგორც 21 ივნისის სამხედრო პოლიტიკური კაბინეტის სხდომაზე გადაწყვიტა ისრაელის მთავრობამ, ებრაელი ჯარისკაცები პალესტინურ ქალაქებს მანამ არ დატოვებენ, სანამ ტერორისტული აქტები საბოლოოდ არ შეწყდება. ისრაელის თავდაცვის არმია "ცახალმა" მთავრობის მითითებით დაიწყო სამხედრო ოპერაცია "გადამწყვეტი გზა", რომელის უახლოეს ხანებში არ დასრულდება.

რა გავლენას მოახდენს ბუშის გამოსვლა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოგვარებაზე? ბუში პირველი ამერიკელი პრეზიდენტია, რომელმაც პალესტინელების სახელმწიფოს შექმნის იდეა ოფიციალურად მოიწონა. ამავე დროს ბუში არ ენდობა პალესტინელების ხელმძღვანელობას და აშკარად უჭერს მხარს ისრაელის უსაფრთხოებას. მის მიერ არაფატის წინააღმდეგ აშკარა გალაშქრება ახალი მნიშვნელოვანი ნაბიჯია, მაგრამ ძნელი სათქმელია, რომ ეს ნაბიჯი რეგიონში მშვიდობის დამყარებას შეუწყობს ხელს. პალესტინელები უკვე გადავიდნენ რაციონალური პოლიტიკის ზღვარს და ტერორისტული მოქმედება მათთვის ლამის უკვე ცხოვრების წესს წარმოადგენს.

ძნელი სავარაუდოა, რომ არაფატმა ბუშის მითითებით თანამდებობა დატოვოს. მით უმეტეს, რომ იგი არჩევნების შედეგად მოვიდა ხელისუფლებაში. თანაც, ჯერჯერობით, არ ჩანს ის ლიდერი, ვინც ღიად დათანხმდებოდა არაფატის შეცვლას და ხელისუფლებაში საკუთარ, არაკორუმპირებულ და ეფექტურ გუნდს მოიყვანდა. არაფატის სანაცვლოდ სახელმწიფოებრიობისა და ჰუმანიტარული დახმარების დაპირება პალესტინელებისთვის, რომლებიც ისრაელის ზიზღით არიან აღვსილნი, არც ისე მიმზიდველი უნდა იყოს.

მსოფლიო ბანკი აზერბაიჯანში ნავთობპროექტებს დააფინანსებს

მსოფლიო ბანკი ბრიტანული ნავთობო-საგაზო კორპორაცია "ბრიტიშ პეტროლეუმისთვის" კრედიტის გამოყოფას აპირებს, რომელიც აზერბაიჯანში ნავთობპროექტებსა და ახალი ნავთობსადენის მშენებლობას მოხმარდება. ვენაში ნავთობის ექსპორტიორ სახელმწიფოთა ორგანიზაციის (ოპეკ) გენერალური სამდივნოს ინფორმაციით, კრედიტის თანხა 500 მლნ. დოლარს შეადგენს. გარდა ამისა, მსოფლიო ბანკი სპეციალური ფონდების შექმნას აპირებს, რომლებიც მოხმარდება "ბრითიშ პეტროლეუმის" ნავთობრეზერვების გაფართოებასა და ტრანსკავკასიური მილსადენის მშენებლობას. ფონდები დაახლოებით 3 მლრდ. დოლარს შეადგენს. ("რია ნოვოსტი")

წყალდიდობა რუსეთის სამხრეთ რეგიონებში

რუსეთის ფედერაციის საგანგებო მდგომარეობათა სამინისტროს ინფორმაციით, რუსეთის სამხრეთ ნაწილის 9 რეგიონში წყალდიდობამ საერთო ჯამში დააზარალა 52 რაიონი და 219 დასახლებული პუნქტი, 3000-ზე მეტი სამოსახლო დაინგრა. წყალდიდობამ 59 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, 100 უგზოუკვლოდ დაიკარგა. წინასწარი შეფასებით ზარალმა 2208 რუსული რუბლი შეადგინა.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის წარმომადგენელმა სამხრეთ ფედერალურ ოლქში ვიქტორ კაზანცევმა განაცხადა, რომ წყლის დონემ მდინარეებში იკლო და შეიმჩნევა მისი შემდგომი დაწევის ტენდენცია. კაზანცევმა დაასახელა კატასტროფის მიზეზები – ბუნებრივი ფაქტორები, წყალმეურნეობის სამსახურის საერთო სისტემის მოუმზადებლობა, მოსახლეობამ დროულად არ მიიღო შეტყობინება შტორმის შესახებ და უკანონო სამოსახლოების დიდი რიცხვი.

ადიღედან მიღებული ინფორმაცია არ ემთხვევა კაზანცევის მონაცემებს. იქ სამშაბათს წყალდიდობამ პიკს მიაღწია. დაიწყო მოსახლეობის ევაკუაცია. სინოპტიკოსებმა შესაძლო წვიმების შესახებ კიდევ რამდენიმე რეგიონი გააფრთხილეს. (Газета.Ru)

ქავკასიის ამბები

რეფერენდუმი აზერბაიჯანში

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას 24 აგვისტოს რეფერენდუმის ჩატარების შესახებ. რეფერენდუმის მეშვეობით, უნდა გაირკვეს ხალხის დამოკიდებულება კონსტიტუციაში, პრეზიდენტისა და პარლემენტის წევრების არჩევის წესში, ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით. დღემდე პრეზიდენტს ამომრჩეველთა ხმების ორი მესამედით ირჩევდნენ პრეზიდენტის არჩევის რეფერენდუმზე გამოტანილ წესში ცვლილების თანახმად, ამისათვის საკმარისი იქნება ხმათა 50 პროცენტს პლუს ერთი ხმა.

კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა იმით ახსნა, რომ აზერბაიჯანის კონსტიტუცია 7 წლის წინ იქნა მიღებული, 2001 წელს კი აზერბაიჯანი ევროსაბჭოში გაწევრინდა და საჭირო გახდა ქვეყნის ძირითადი კანონის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. (CNA)

სიახლე ორჯონიკიძეზე თავდასხმის საქმეში

20 ივნისს იოსებ ორჯონიკიძეზე — მოსკოვის ვიცე-მერზე, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელზე — განხორციელებულ თავდასხმაში ეჭვმიტანილი ორი ჩეჩენი დააკავეს. ეს ინფორმაცია "ინტერფაქსმა" სამართალდამცავი ორგანოების სარწმუნო წყაროებიდან მიიღო. მათი ინფორმაციით, ორივე დაკავებული ეროვნებით ჩეჩენია. გარდა ამისა, უკვე დადგენილია იმ პირთა წრე, რომლებსაც ჩადენილ დანაშაულთან შეიძლება ჰქონოდა კავშირი. ეჭვმიტანილთა რაოდენობა დაახლოებით ათია.

ორჯონიკიძეზე განხორციელებული თავდასხმის შედეგად დაიჭრა მისი დაცვის თანამშრომელი. თავდასხმის ადგილთან ახლოს ნაპოვნია BMW-ს ტიპის აფეთქებული მანქანა და ცნობილი ბიზნესმენის უმარ ჯაბრაილოვის ნათესავის ცხედარი. უმარ ჯაბრაილოვი ამ ინციდენტთან თავისი ნათესავების კავშირს უარყოფს. ბიზნესმენის ვარაუდით, მისი ნათესავის ცხედარი დანაშაულის ადგილზე განგებ აღმოჩნდა. არსებობს ინფორმაცია, რომ სამართალდამცავებმა აღმოაჩინეს ტყვია, რომლითაც სალავათ ჯაბრაილოვი იყო მოკლული. ჯერ არ არის დადგენილი, იყო თუ არა ეს ტყვია ორჯონიკიძის დაცვის წევრის, ალექსანდრე გოლიკოვის იარაღიდან ნასროლი. გამოძიება უმარ ჯაბრაილოვის პიროვნებითაც დაინტერესდა.

"ინტერფაქსმა" ამ ინფორმაციის ოფიციალური დადასტურება ვერ მიიღო. მოსკოვის პროკურატურამ კომენტარის გაკეთებაზე უარი განაცხადა. ("ინრეფაქსი")

ყველაზე მეტი ამერიკული დახმარება სომხეთსა და საქართველოს მიეწოდება

"მედია-პრესის" ცნობით, შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა მონაცემები კავკასიისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოებისათვის ბოლო ათი წლის განმავლობაში გაწეული დახმარების შესახებ.

1992 წლის შემდეგ ამერიკის მთავრობამ დაახლოებით 1 მილიარდ 336 მილიონი დოლარი გამოუყო სომხეთს, ხოლო დახმარების სხვა ფორმებით 218 მილიონი დოლარი მიაწოდა. ამრიგად, სომხეთისათვის საერთო დახმარებამ 1 მილიარდ 554 მილიონი დოლარი შეადგინა.

ამავე პერიოდში აზერბაიჯანმა მიიღო მხოლოდ 335 მილიონი დოლარი სამთავრობო და 115 მილიონი დოლარი არასამთავრობო წყაროებიდან, სულ 450 მილიონი დოლარი.

საქართველოს გამოეყო 1 მილიარდ 100 მილიონი სახელმწიფო დახმარება და კიდევ 408 მილიონი დოლარის სხვა სახის დახმარებები, რამაც სულ 1 მილიარდ 508 მილიონი დოლარი შეადგინა.

ცენტრალური აზიის სახელმწიფოებისათვის ამერიკელების მიერ გაწეული დახმარება შედარებით მოკრძალებულია და ერთი მილიარდი დოლარიდან 250 მილიონ დოლარამდე მერყეობს.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 2000 წელს ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებმა ყველაზე მეტი საერთაშორისო დახმარება მიიღეს. ფაქტობრივად, თითოეულ ყოფილ საბჭოთა მოქალაქეზე დახმარების ოდენობამ 20 დოლარი შეადგინა.

საერთაშორისო ამბები

კატასტროფა ტანზანიაში

ორშაბათს ტანზანიის ცენტრალურ ნაწილში, სამგზავრო და სატვირთო მატარებლების შეჯახების შედგეად, დაიღუპა ორასი, ხოლო დაშავდა ასობით ადამიანი. სამგზავრო მატარებელში 1000-მდე მგზავრი იმყოფებოდა. სამგზავრო მატარებელი აღმართში ადიოდა, მაგრამ, მექანიკური პრობლემების შედეგად, დაგორდა და სატვირთო მატარებელს შეეჯახა. კატასტროფის ადგილზე მივიდა ტანზანიის პრემიერ-მინისტრი ფრედერიკ სუმაი. ტანზანიაში ორდღიანი გლოვა გამოცხადდა. (Reuters)

ალბანეთს ახალი პრეზიდენტი ჰყავს

ორშაბათს ალბანეთის პარლამენტმა ქვეყნის ახალ პრეზიდენტად ალფრედ მოისია აირჩია. 134 დეპუტატიდან 97-მა მოისიას კანდიდატურას დაუჭირა მხარი. კვირას მმართველმა სოციალისტურმა პარტიამ და მთავარმა ოპოზიციურმა დემოკრატიულმა პარტიამ, რომლებიც უკვე ათი წლის განმავლობაში დაუძინებელი მტრები იყვნენ, შუღლის დავიწყება და მოისიას კანდიდატურის მხარდაჭერა გადაწყვიტეს.

მოისია 1991-1992 წლებში, ალბანეთის გარდამავალი მთავრობის პერიოდში, თავდაცვის მინისტრი იყო იგი. პრეზიდენტად არჩევამდე ალბანეთის ატლანტიკურ ასოციაციას ხელმძღვანელობდა, რომელიც ალბანეთის ნატო-ში გაწევრიანებისთვის აუცილებელი რეფორმების გატარებაზე მუშაობდა. (Associated Press)

ესპანეთი არასასურველ პოლიტიკურ პარტიებს აკრძალავს

სამშაბათს ესპანეთის პარლამენტმა უნდა მიიღოს კანონი, რომელიც იმ პოლიტიკურ პარტიებს აკრძალავს, რომლებიც ქვეყანაში არსებული დემოკრატიული ინსტიტუტების რადიკალურ შეცვლას მოითხოვენ. კანონის მიღების შემთხვევაში მთავრობას მიეცემა კანონიერი უფლება, აკრძალოს ნებისმიერი ჯგუფი, რომელიც ტერორიზმის მხარდაჭერაშია ეჭვმიტანილი. პარტია "ბატასუნა", რომელიც ბასკების სეპარატისტული შეიარაღებული დაჯგუფების "ეტას" პოლიტიკურ ფრთას წარმოადგენს, სავარაუდოდ, კანონგარეშე გამოცხადებულ პარტიათა სიაში პირველი იქნება. ამით ესპანეთის მთავრობა იმედოვნებს ბასკი სეპარატისტების იმ 30-წლიანი ძალადობისთვის ბოლოს მოღებას, რომელსაც 800 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლებმა და პოლიტიკოსებმა შეშფოთება გამოხატეს კანონპროექტთან დაკავშირებით. მათ მიაჩნიათ, რომ კანონის მიღებით მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბება. (BBC)

ირანის საჩუქარს მომავალ კვირაში გაანაწილებენ

ეთერ მამულაშვილი

მიწისძვრით დაზარალებული თბილისის მოსახლეობისთვის რამდენიმე დღეში ჰუმანიტარული დახმარების ახალი ტვირთის განაწილება დაიწყება. ეს ტვირთი ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ თეირანში მომხდარ მიწისძვრამდე, რამდენიმე დღით ადრე, გამოგზავნა.

ჰუმანიტარული ტვირთი, რომელსაც საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება გაანაწილებს, მოიცავს 200 ცალ სამაშველო კარავს თავისი აღჭურვილობით, 1000 ცალ პლედს და 40 ტონა საკვებ პროდუქტს, მათ შორის კონსერვები, ბრინჯი, ზეთი, ჩაი, შაქარი, ფქვილი და ბურღულეული. **"ტვირთის განაწილებას ჯერჯერობით ვერ ვახერხებთ, რადგან პროდუქტი დაუფასოებელია და თანხების გამოყოფა წერილობით ვთხოვეთ თბილისის მერს, ვანო ზოდელავას. პასუხი ამ დღეებში იქნება და იმედი გვაქვს, საჭირო ფინანსებსაც მივიღებთ, რის შემდეგაც ტვირთის დარიგებას დავიწყებთ,"** - თქვა წითელი ჯვრის საზოგადოების პრეზიდენტმა, ნანა ყეინიშვილმა.

წითელი ჯვრის საზოგადოებაში აცხადებენ, რომ ირანიდან მიღებული ტვირთი ყველას ვერ შეხვდება. **"მიწისძვრით დაზარალებულები ბევრნი არიან, ტვირთი კი ცოტაა. ჩვენი კომისია ამ დღეებში გადაწყვეტს, ვის რა შეხვდება. შეიძლება, ერთი რომელიმე უბანი ან რაიონი ავიღოთ, ან ყველაზე მეტად დაზარალებულები შევარჩიოთ,"** – ამბობს ნანა ყეინიშვილი.

ჰუმანიტარული ტვირთი წითელი ჯვრის საზოგადოების საწყობიდან განაწილდება.

თბილისს, 12 წლის განმავლობაში, საფრთხე ყოველ წუთს ელოდა

ნანა ქადაგიშვილი

ერთწლიანი ბრძოლის შემდეგ, ქალაქის სანიტარულმა ინსპექციამ შპს "გამთიშველის" საწყობში შესვლის ნებართვა მიიღო. როგორც ინსპექციის ხელმძღვანელი ჯულული ახვლედიანი აცხადებს, აქ შხამიანი ნივთიერება, კალიუმის ციანიდი ინახება.

ეს საწარმო ფონიჭალაში მდებარეობს და 12 წელია, აღარ ფუნქციონირებს. იგი ადრე საიუველირო საწარმო იყო და კალიუმის ციანიდი წარმოებისთვის სჭირდებოდათ. შპს-ს გაჩერების შემდეგ საწყობში 2,100 კგ. გამოუყენებელი კალიუმის ციანიდი დარჩა და დღემდე ინახება. ამის შესახებ სანიტარულმა ინსპექციამ შარშან შეიტყო. საწარმოს დირექტორს, გოგნიაშვილს ეს ნივთიერება ერთ-ერთი რუსული საწარმოსთვის უნდა მიეყიდა და საქართველოს ჰიგიენური ნორმირების სახელმწიფო დეპარტამენტს სთხოვა ნებართვა. დეპარტამენტმა მას ამისი უფლება არ მისცა, რადგან გოგნიაშვილმა სათანადო დოკუმენტები ვერ წარადგინა.

საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ კანონის თანახმად, საწარმოს ხელმძღვანელს უნდა ჰქონოდა საწყობის პასპორტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შხამიანი ნივთიერების შენახვის უფლება არ ჰქონდა. ამიტომ თბილისის სანიტარულმა ინსპექციამ კრწანისი-მთაწმინდის რაიონის სასამართლოს რამდენჯერმე სთხოვა "გამთიშველი" საწყობის შემოწმების ნებართვა, მაგრამ სასამართლოსგან უარი მიიღო, რადგან გოგნიაშვილი შემოწმების წინააღმდეგი იყო. საწარმოს ხელმძღვანელს უნდოდა, საწყობის პასპორტი თვითონვე აეღო, მაგრამ ავადმყოფობამ შეუშალა ხელი.

სანიტარულ ინსპექციას კრწანისი-მთაწმინდის რაიონის სასამართლოში რომ არაფერი გამოუვიდა, ახლა საოლქო სასამართლოს მიმართა. ამ უკანასკნელმა მისი მოთხოვნა დააკმაყოფილა და ამ კვირის ბოლოს ინსპექცია "გამთიშველის" 12 წლის წინათ დალუქულ საწყობს შეამოწმებს.

"კალიუმის ციანიდი ძალზე საშიში ქიმიური ნივთიერებაა. საწყობი ვინმემ რომ დააყაჩაღოს და ეს ნივთიერება მტკვარში გადაყაროს, მთელი თბილისი მოიწამლება. კალიუმის ციანიდის რამდენიმე გრამიც კი მასობრივ მოწამვლას გამოიწვევს. ამიტომ აუცილებლად უნდა ვნახოთ, რა პირობებში ინახება. თუ გოგნიაშვილი ამ ნივთიერებას გაყიდის, უკეთესიც იქნება, მისი საწარმო მაინც აღარ ამუშავდება და საწყობში ტყუილად ინახავს. ოღონდ, გაყიდვამდე ჯერ ჩვენ უნდა შევამოწმოთ და სათანადო მოწმობა გავცეთ," – ამბობს მთაწმინდა-კრწანისის რაიონის სანიტარული ინსპექციის მთავარი ექიმი, ქეთევან ავალიანი.

ვისაც არ ეზარება, ყველა იურისტი ვერ გახდება

მედია-ნიუსი. იურიდიული განათლების ერთიანი სისტემის შექმნას ითვალისწინებს იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებული კონცეფცია იურიდიული განათლების რეფორმის შესახებ.

„კონცეფციას აქვს სამი ძირითადი პრინციპი: სასწავლო პროცესის უწყვეტობა, მისაღები გამოცდებისა და იურისტის კვალიფიკაციის მინიჭების ერთიანი სისტემა“, - თქვა კოტე კუბლაშვილმა.

უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული, კონცეფციის თანახმად, ვეღარ მიიღებს იურისტის კვალიფიკაციას; მას მიეცემა დოკუმენტი, რომ გაიარა საუნივერსიტეტო იურიდიული კურსი. კურსდამთავრებულს, კვალიფიკაციის მიღებისთვის, მოუწევს ერთიანი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება, რომელსაც რომელიმე სახელმწიფო სტრუქტურასთან შექმნილი კომისია ჩაიბარებს.

კუბლაშვილის თქმით, **„ამჟამად, საქართველოში 200-ზე მეტი უმაღლესი სასწავლებელია, რომელიც ყოველწლიურად 5.000-მდე დიპლომიან იურისტს უშვებს. რეფორმის შემდეგ სასწავლებლების რეიტინგი მათი კურსდამთავრებულების მიერ საკვალიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარების მიხედვით შეიქმნება“.**

მოსამართლეობის, გამომძიებლობისა და პროკურორობის მსურველმა იურისტმა უნდა გაიაროს იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესაბამისი ორწლიანი კურსი (იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ ჯერჯერობით მხოლოდ კანონპროექტი არსებობს).

„ჩვენს მიერ შემუშავებული კონცეფციის ალტერნატიული ვარიანტი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ მოამზადა. კონცეფციებს შორის პრინციპული სხვაობა არ არის. ჩვენ ვაპირებთ მათ შეჯერებას, ამის შემდეგ იურიდიული განათლების შესახებ კანონპროექტის შემუშავებაზე დავიწყებთ მუშაობას “, - თქვა მინისტრის მოადგილემ.

მიწისძვრის შემდეგ ერთ კარავში 9 ოჯახი ცხოვრობს

ქეთი ქადაგიშვილი

უკვე მესამე თვეა, მიწისძვრის შემდეგ რატევანისა და მუხრანის ქუჩების მცხოვრები 18 ოჯახი საკუთარი სახლების გვერდით მოწყობილ კარვებში ათენ-აღამებს. **"კარვებშიც ისევე წვიმს, როგორც გარეთ, მზიან ამინდში კი გაუსაძლისად ცხელა. ბავშვები ამ სიცხეში კარავში როგორ ვამყოფოთ, სულ მთლად დაგვიავადდებიან. ქვეწარმავლების გამოჩენისაც გვეშინია. გასულ ზაფხულს მრავლად იყვნენ, ამისგან არც წელს ვართ დაზღვეულნი. თუმცა, სიცხეს თუ გადავურჩით, ზამთარში რაღა გვეშველება, ჩვენი ბედი არავის ადარდებს",** - ჩივიან კარვის მობინადრეები.

გაუსაძლისი პირობებით გაწამებული მოსახლეობა ორთვენახევრის განმავლობაში ხელისუფლებისგან დროებით თავშესაფარსა და მათი ბინების ადგილზე ახალი საცხოვრებელი სახლების აშენებას ითხოვს. რამდენიმე დღის წინათ მუხრანის ქუჩა გადაკეტეს, მაგრამ მათთვის ყურადღება არავის მიუქცევია.

მიწისძვრის შემდეგ კარვის მობინადრეებმა მხოლოდ ერთ ოჯახზე თითო შეზლონგი და თბილი სათბური, ერთი თვის წინათ კი, ფულადი დახმარება 50-50 ლარი მიიღეს. გაეროს მეშვეობით, რაიონის გამგეობა პურსაც ხშირ-ხშირად აწვდიდა, მაგრამ ახლა ეს დახმარებაც შეწყდა. რაიონის ხელმძღვანელობა ხანდახან საკუთარი ხარჯებითაც ეხმარება, რაც ზოგიერთი პროდუქტის მიწოდებაში გამოიხატება. თუმცა, დაზარალებულებს, გამგეობის მიერ მიწოდებულ მაკარონსა და ზეთზე მეტად, ახლა თავშესაფარი სჭირდებათ. **"ასეთ პირობებში არსებობა აღარ შეგვიძლია. სად დავიძინოთ, სად ვჭამოთ ან სად დავიბანოთ, ამაზე არავინ ფიქრობს. ორ კარავში 18 ოჯახის ერთად ცხოვრება შეიძლება? ერთ საწოლზე რამდენიმე ადამიანს გვძინავს. დახმარების სათხოვნელად მისულებს, მერიიდან მიწისძვრით დაზარალებულთა ფონდში გვაგზავნიან, ფონდიდან კი - კვლავ მერიაში, აღარ ვიცით, ვის მივმართოთ",** - ამბობენ დაზარალებულები.

დაზარალებულთა კარავი ლევან ხერხეულიძის ფოტო

როგორც მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთა სალიკვიდაციო ფონდის თავმჯდომარემ, გიგა ბათიაშვილმა გვითხრა, ფონდმა უკვე დაიწყო მიწისძვრით დაზარალებულთათვის დროებითი თავშესაფრების გამოძებნა, ძირითადად, ადგილობრივ, გლდანი-ნაძალადევის რაიონში. ხოლო მათთვის სახლების მშენებლობას როდის დაიწყებენ, არავინ იცის. უბინაოდ დარჩენილ მოსახლეობას ეშინია, რომ ხელისუფლება მათ სამუდამოდ ამ თავშესაფრებში დატოვებს.

იტალიაში წავალ, მასწ!

საქართველოდან ბავშვებიც გარბიან

მაკა ჯაიანი

ერთი კვირაა, თბილისის ზღვაზე მცხოვრები დევნილი, ოთხიდან თხუთმეტ წლამდე ასაკის 72 ბავშვი ვორონინის ქუჩაზე მდებარე თბილისის მოზარდთა სახლში ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას გადის. 3500 დოლარად შეფასებულ ამ ერთთვიან პროექტს საქართველოში ეუთოს წარმომადგენლობა აფინანსებს. იქამდე, ვიდრე ეს ტანდემი შედგებოდა, ერთი კვირის განმავლობაში "სახლი" საკუთარი სახსრებით პატრონობდა პატარებს. **"ჩვენ მიწისძვრის მეორე დღესვე ავედით ზღვაზე და დევნილებს ის შევთავაზეთ, რისი გაკეთებაც შეგვეძლო: დღის განმავლობაში ბავშვების წამოყვანა, ორჯერადი კვებით მათი უზრუნველყოფა და სარეაბილიტაციო პროგრამის ჩატარება. აღმოჩნდა, რომ სწორედ ეს სჭირდებოდათ და მუშაობას შევუდექით. 17 ივნისიდან ამ პროგრამას უკვე ეუთო აფინანსებს,"** - ყვება თბილისის მოზარდთა სახლის დირექტორი ნანა დოლიაშვილი.

დევნილი ბავშვები გოგიტა ბუხაიძის ფოტო

თბილისის ზღვიდან ბავშვები ყოველ დილით სპეციალურ ავტობუსს ჩამოჰყავს. იმავე ავტობუსით ბრუნდებიან ისინი უკან. შუალედში კი, ანუ მთელი დღის განმავლობაში, საკმაოდ დატვირთულები არიან. გუნდური თუ სამაგიდო თამაშები, თერაპიული ხატვა თავისუფალ და სხვადასხვა თემაზე, ხელსაქმე, ძერწვა, ქარგვა, მძივების აწყობა - ყველაფერი ეს მათ ყურადღებას, ნებისყოფას, წარმოსახვის და სხვა უნარს ავითარებს. მათ მდგომარეობაში მყოფი ბავშვებისთვის ასეთი წვრთნა აუცილებელია. ბევრს ხომ ელემენტარული ჩვევები არა აქვს, არ იციან, როგორ ითამაშონ, გაერთონ. ოცნებებიც კი საქმიანი აქვთ. **"ამაში გასაკვირი არაფერია,** - განმარტავს ფსიქოლოგი მანანა დათუაშვილი, - **ამ ბავშვების მდგომარეობა მძიმეა. ისინი შორს, ქალაქისგან იზოლირებულად ცხოვრობენ. კოლექტიურ ცენტრში ცხოვრება კი ძალიან თრგუნავს ბავშვს. იქ სულ სხვა პირობებია, სხვა დამოკიდებულებები."**

დევნილ ბავშვებს ბევრი რამ აკლიათ. პირველ ყოვლისა, მშობლების ყურადღება, რომლებიც ლუკმა პურის შოვნით არიან დაკავებულნი და მათთვის, ფაქტობრივად, არ სცალიათ. **"არადა, ბავშვისთვის ძირითადი ოჯახია, ის ურთიერთობები, რომელიც ნორმალურ პირობებში უნდა ჰქონდეს. ჩვეულებრივ, ბებიები შვილიშვილებს უამრავ რამეს ასწავლიან, ამ ბავშვებს კი ამის საშუალებაც არა აქვთ. მათი უმრავლესობა აქაა დაბადებული. უფროსი ასაკის ბავშვებს თითქმის არაფერი ახსოვთ, სტრესულ მდგომარეობაში მყოფი მშობლების გარდა. მათი მშობლების, ბებია-ბაბუების ფსიქოლოგიური მდგომარეობა ძალზე მძიმეა და ეს პატარებზეც მოქმედებს. იცით, მათი უმრავლესობა რას ხატავს? სახლს. მყუდრო, ლამაზად მოწყობილ სახლს, ოჯახს - მშობლებს, და-ძმას, ლამაზ ავეჯს და ნახატებს კედლებზე. იმას, რაც ყველაზე მეტად აკლიათ,"** - ამბობს მანანა დათუაშვილი.

ფსიქოლოგების აზრით, ათვისების უნარი დევნილ ბავშვებს დაქვეითებული არა აქვთ, მაგრამ ფსიქოლოგიური პრობლემები ბევრში შეიმჩნევა. ზოგი აპათიურია, დუნე, წამლილი ემოციებით, გრძნობების გამოხატვა არ შეუძლია; სხვები, პირიქით - ჰიპერენერგიულები არიან, კედლებზე დაცოცავენ. მთლიანობაში, ესენი არიან ნორმალური ბავშვები, რომელთაც სჭირდებათ ადამიანი, მათთვის რომ მოიცლის. ეს ბავშვები განსხვავდებიან იმ დევნილი ბავშვებისგან, ვისაც თავზე ნორმალური ჭერი აქვს აქვს საშუალება, ისწავლოს და საზოგადოების სრულფასოვანი წევრი გახდეს. ამ ბავშვებს სხვა ემოციები აწუხებთ. ნანა დოლიაშვილი: **"თბილისში სხვა გაჭირვებული ბავშვებიც არიან და ჩვენ დევნილ ბავშვებთან მათ ინტეგრირებას ვცდილობთ. ვერ წარმოიდგენთ, გრძნობების როგორი ნორმალიზება ხდება დევნილებში, როცა ხედავენ, რომ მათთვის ნაცნობი პრობლემები სხვა ბავშვებსაც აქვთ."**

"რა მინდა სახლში, იქ სიბნელე და სიცივეა," - უთქვამს მასწავლებლისთვის ავტობუსში ჩასაჯდომად გამზადებულ დევნილ პატარას. სამშობლო დღეს მათში მხოლოდ ასეთ ასოციაციებს იწვევს და ისინიც აქედან შორს წასვლაზე ოცნებობენ. მოუსმინეთ. 12 წლის ზაზა: **"აქ ძალიან კარგია, მასწ. მე მინდა, რომ აქ ინგლისურზე ვიარო, მერე იტალიაში წავალ, მასწ, ან გერმანიაში, ვიმუშავებ."** 12 წლის სერგო: **"ყველაზე უფრო მინდა, ინგლისური ვისწავლო. დედაჩემის ნათესავმა ისწავლა და ახლა თურქეთში მიდის სამუშაოდ. მერე ერთი წლით ამერიკაში წავა. მეც ვისწავლიდი და წავიდოდი."** 11 წლის ლაშა: **"მე ვოცნებობ ინგლისურზე... პარიზში მინდა წასვლა. ლამაზია იქაურობა, თან, როცა გავიზრდები, უნდა ვიმუშაო..."** ჯერ არაფერზე ოცნებობს 6 წლის მათე. რაც შეეხება 4 წლის რებეკას, მისი ოცნება ცოტა შორს მიდის:

"მე მინდა, ჩემს სოფელში წავიდე. გალში. იქ ჩემი ძმები არიან, დანიელი და მათე. ჩემი ბებიაც იქ არის, ჩურჩხელებს აკეთებს, თხილს, ყველს. ჩემი სოფელი ლამაზია, ლამაზი ყვავილებია, ყაყაჩოები..." რებეკას დედ-მამა თბილისში ცხოვრობს. დედა, როგორც სხვებს, მასაც დიასახლისი ჰყავს, მამა მუშაობს. ამ ერთი ციცქნა გოგონასა და მისი მეგობრების მშობლები ისევე, როგორც ბევრი სხვა ბავშვის მშობელი, დღეს ლუკმა პურისთვის შრომობს, წელებზე ფეხს იდგამს და შვილებს იტალიისთვის, გერმანიისთვის, თურქეთისთვის, ამერიკისთვის, საფრანგეთისთვის ამზადებს - იქ მაინც იგრძნონ თავი ადამიანებად. საქართველოდან ბავშვებიც კი გარბიან. ასე ეკადრება ქვეყანას, რომელსაც სადღაც, ლილოსკენ მიმავალ გზაზეღა შემორჩა გახუნებული ლოზუნგი წარწერით - **"გვახსოვდეს აფხაზეთი!",** დამოუკიდებელი საქართველოსთვის დეკლარირებული დემოკრატიული პრინციპები კი საქაღალდეში დაულპა.

მალე თბილისში მხოლოდ პასპორტიანი ცხოველები ირბენენ

ქეთი ქადაგიშვილი

მრავალწლიანი ბრძოლის მიუხედავად, შესაბამისმა სახელმწიფო უწყებებმა დედაქალაქში მაწანწალა ცხოველების პრობლემა ვერ მოაგვარეს. ცოფისა და დაკბენის შემთხვევებიც არ კლებულობს. პრობლემას არც მაწანწალა ცხოველების წინააღმდეგ ღონისძიებების გამკაცრების შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულებებმა უშველა.

დედაქალაქის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, პრობლემის მოგვარებაზე ახლებური და ცივილური ფორმით ეზრუნა. ისან-სამგორის რაიონში, აეროპორტთან ახლოს გამოყოფილ ნაკვეთში, მაწანწალა ცხოველებისთვის სპეციალური თავშესაფარი მოეწყობა. სამომავლოდ კი იქ მაწანწალა ცხოველებისთვის დროებითი სამყოფელი იქნება. მაწანწალა ცხოველთა წინააღმდეგ მებრძოლ უწყებებს იმედი აქვთ, რომ უახლოეს მომავალში თბილისში მხოლოდ პირადობისა და ცოფის საწინააღმდეგო აცრის დამადასტურებელი მოწმობით აღჭურვილი პატრონიანი ძაღლები დარჩებიან. მაწანწალები კი, მათ შორის საცხოვრებელ სახლებსა და ამა თუ იმ დაწესებულების შენობებს შეკედლებული ცხოველები, აღარ იარსებებენ. სანიტარული ზედამხედველობის სამსახურის ინსპექციის ხელმძღვანელის ჯუღული ახვლედიანის თქმით, ქუჩიდან აყვანის შემდეგ ცხოველებს ვოლიერებში მოათავსებენ. თავშესაფარში ვეტსამკურნალო კაბინეტი და კრემატორიუმიც მოეწყობა. ცხოველს გამოკვლევას ჩაუტარებენ და, თუ რაიმე დაავადება არ აღმოაჩნდა, ცხოველთა დამცველ არასამთავრობო ორგანიზაციებს მისი "გაოჯახების" უფლებაც აქვთ. სხვა შემთხვევაში ცხოველს დააძინებენ და კრემაციით გააქრობენ.

ახვლედიანის თქმით, სამომავლოდ მაწანწალა ცხოველების დაჭერის მეთოდიც დაიხვეწება. მათ დროებით გასათიში სპეციალური იარაღით დაიჭერენ. მანამდე კი ძაღლმჭერი ბრიგადები ცხოველების ქუჩიდან აყვანასა და განადგურებას ძველი, გამოცდილი ხერხებით განაგრძობენ. იმ ხერხებით, რომელთა ნახვის შემდეგ თვითონ კეთილმოწყობის სამსახურის თანამშომლებს რამდენიმე ღამე ტკბილად აღარ სძინავთ. ძაღლმჭერი ბრიგადები მაწანწალა ცხოველებს სპეციალური ბასრი იარაღით იჭერენ, შემდეგ გლდანის ნაგავსაყრელზე მოწყობილ ბეიკერის ორმოში დენით ხოცავენ და მარხავენ. თუ დენი არ არის, ქვებითა და ხელკეტებით უსწორდებიან. **"ცხოველთა განადგურების ხილვა საშინელ შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა, ჩვენი ეკონომიკური შესაძლებლობები ცივილურად მოქმედების საშუალებას არ გვაძლევს",** - ამბობს კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის ექსპლუატაციის უფროსი კარლო ჩოთირიძე.

მაწანწალა ცხოველების წინააღმდეგ შემუშავებულ გეგმას, კეთილმოწყობისა და სანიტარული სამსახურებისგან განსხვავებით, ცხოველთა დამცველი არასამთავრობო უწყებები ნამდვილად არ იწონებენ. ისინი ითხოვენ, რომ მაწანწალა ცხოველებს აყვანის შემდეგ ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ჩაუტარონ და კვლავ ადგილზე დააბრუნონ. ან სახელმწიფომ მათთვის მუდმივი თავშესაფრების გახსნაზე იზრუნოს. ცხოველების ასეთი მასობრივი ჟლეტა ქალაქს კარგს არაფერს მოუტანს, მათი მოსპობის შემდეგ ქუჩები ვირთაგვებით გაივსებაო, - გვაფრთხილებენ არასამთავრობოები.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

სასამართლო ლევან ბერძენიშვილს ეპითეტებს ვერ აცვლევინებს

ხათუნა ჭანგირაშვილი

"ვანოები"... "გაუმაძღარი მაფიოზები" ... "გურული მაფიის წევრები"...

ეს საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის ის სიტყვებია, რომლებმაც ეკონომიკის ყოფილი მინისტრი ვანო ჩხარტიშვილი საოლქო სასამართლოს კარზე მიიყვანა და ამ ფრაზების ავტორისგან თავისი პატივისა და ღირსების დასაცავად ერთი მილიონი ლარი და პრესის საშუალებით ბოდიშის მოხდა მოითხოვა.

თუმცა, საოლქო სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლოდ ჩათვალა და საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორს, ბოდიშის მოხდასთან ერთად, ერთი მილიონი ლარის გადახდაც ააცილა. საოლქოს ამ გადაწყვეტილებით უკმაყოფილო ვანო ჩხარტიშვილმა საკასაციო სარჩელი უზენაესში აფრინა და მხოლოდ ბოდიშის მოხდის მოთხოვნით დაკმაყოფილდა.

გუშინ უზენაეს სასამართლოში მოსარჩელე-მოპასუხე მხარეები საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების ლოგიკურობა-ალოგიკურობაში არწმუნებდნენ ერთმანეთს. გადაწყვეტილებით უკმაყოფილო მომჩივანის ადვოკატი სასამართლო კოლეგიას თავგამოდებით უმტკიცებდა, რომ ჩხარტიშვილს არაფერი მოუპარავს, არც იპარავს და არც არასდროს მოიპარავს, რომ იგი ცილისწამებისთვის შეურაცხყოფილად თვლის თავს. ცილისმწამებელს არავითარი მტკიცებულება არ გააჩნია იმის დასამტკიცებლად, რომ ჩხარტიშვილი ქურდია და "ყველაზე მეტი მოიპარა". საოლქო სასამართლოს მოტივები ყოფილი მინისტრის სარჩელის არდაკმაყოფილების თაობაზე ჩხარტიშვილის ადვოკატმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა და არასამართლებრივი შეფასება მისცა. მოპასუხე მხარე კი არგუმენტების, სამოქალაქო კოდექსისა და ევროსაბჭოს კონვენციის მეათე მუხლის მოშველიებით, საოლქოს გადაწყვეტილების სისწორეს ასაბუთებდა და მის ძალაში დატოვებას ითხოვდა.

"ბერძენიშვილმა თავისი მოსაზრებები გამოხატა ჩხარტიშვილის მიმართ. ეს ყველაფერი კრიტიკის ფარგლებში მოხდა. კრიტიკის უფლება კი ნებისმიერ მოქალაქეს აქვს, ისევე, როგორც თავისუფალი სიტყვის უფლება. პოლემიკიდან გამომდინარე მსჯელობის დროს ბერძენიშვილმა განაცხადა, რომ ჩხარტიშვილმა ყველაზე მეტი მოიპარა. ეს განცხადება გარკვეული მონაცემების საფუძველზე გაკეთდა და საფუძველი ჰქონდა. ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის ამსახველ დეკლარაციებში ჩხარტიშვილს მითითებული არ ჰქონდა ის ქონება, რაც მას ეკუთვნის, მაშინ, როცა მიუთითებდა იმ ქონებაზე, რაც მას არ ეკუთვნოდა. ჩვენი აზრით, ადამიანი რაღაცას მალავს და ფარავს მაშინ, როცა თავის დანაშაულში დარწმუნებულია", - განუცხადა სასამართლოს ლევან ბერძენიშვილის ადვოკატმა კახა ასლანიშვილმა და თავისი დაცვის ქვეშ მყოფის ფრაზები მოსაზრებების თვალსაზრისით განიხილა.

თუმცა, უზენაესმა სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო მოპასუხე მხარის არგუმენტირებული მსჯელობა მოსაზრებების გამოთქმის თავისუფლებასთან დაკავშირებით და სამსაათიანი თათბირის შემდეგ ეკონომიკის ყოფილი მინისტრის სარჩელი დააკმაყოფილა.

სასამართლომ ლევან ბერძენიშვილის მიერ ჩხარტიშვილის მიმართ გამოთქმული მოსაზრებები მტკიცებულებებით გაუმყარებელად მიიჩნია და საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორს პრესის საშუალებით ნათქვამი ფრაზების პრესის საშუალებითვე უარყოფა დააკისრა.

"რადგან სასამართლომ ჩემი სიტყვების უარყოფა დამავალა, აქვე უარვყოფ. ახლა ვაცხადებ, რომ ჩხარტიშვილზე მეტს სხვები იპარავენ. თუ ჩემი მოსაზრებები ფაქტებად ითვლება, კორუმპირებულის მხილების საფუძველზე რატომ არ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე? მრცხვენია, რომ ჭანტურიას უწყება ამ გადაწყვეტილებას იღებს. თუმცა, როგორც ჩანს, ჩხარტიშვილზე მეტ ფულს მართლაც იპარავენ.

მე იმას მაინც ვერ დავმალავ, რომ ვანო ჩხარტიშვილი იყო, არის და იქნება კორუმპირებული", - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ლევან ბერძენიშვილმა, რომელიც თვლის, რომ უზენაესმა სასამართლომ მას სიტყვის თავისუფლება მოპარა.

მე, ძამა, მორალურად კმაყოფილი ვარ...

"ვანო ჩხარტიშვილი იყო, არის და იქნება კორუმპირებული"

იური ლოგოდინის ფოტო

ვრესინგი

სასამართლომ სამართალი დაიცვა

ხათუნა გიგაური

სასამართლომ გააკეთა ის, რაც უნდა გაეკეთებინა. თუმცა, ქართულ რეალობაში გამოვლენილი სამართლიანობა შეიძლება სასიამოვნო გაკვირვების საგნად იქცეს. სწორედ ასეთ სიურპრიზთა რიცხვს შეიძლება მიეწეროს საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, არასრულწლოვანი პატიმარი, უკანონო პატიმრობის შემდეგ, სასამართლოს დარბაზიდანვე გაათავისუფლეს. მაგრამ სამართლიანობის ზეიმამდე 15 წლის იმედა ნატროშვილმა უსამართლობის მთელი სიმძიმე იწვნია.

"24 საათი" ამ საქმის შესახებ არაერთხელ წერდა რუბრიკა "პრესინგში".

სამი თვის წინ, 115-ე და 71-ე სკოლებს შორის მომხდარ ჩხუბს სამი ბავშვის დაჭრა და ერთის სიკვდილი მოჰყვა. იმავე დღეს სამართალდამცველებმა დააკავეს მკვლელობაში ეჭვმიტანილი 15 წლის იმედა ნატროშვილი. მისი ბრალეულობის მტკიცებულებად პოლიციაში ასე ადვილად მოსაპოვებელი აღიარება იქცა.

მოგვიანებით, როცა საქმეში დამოუკიდებელი ადვოკატები ჩაერთნენ, მათ პოლიციელთა და პროკურატურის გამომძიებელთა გარდა, სასამართლოს მხრიდანაც აღმოაჩინეს დარღვევები. შესაბამისად, ისინი ითხოვდნენ, რომ გლდანი-ნაძალადევის პროკურატურას, რომელიც გამოძიებას აწარმოებდა, ეს საქმე აცილებოდა.

გარდა იმისა, რომ იმედა ნატროშვილი ისე დააკავეს, რომ ის ეჭვმიტანილად არ ითვლებოდა, მას აღიარება ცემა-წამებით გამოსძალეს, დაარღვიეს ეჭვმიტანილად ცნობის, წინასწარი დაკავებისა და ბრალის წარდგენის ვადები, არ განუმარტეს ეჭვმიტანილის უფლებები, არ უზრუნველყვეს დაცვით, გადამალეს ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც მის წამებას ადასტურებდა, საოლქო სასამართლოს მოსამართლემ მისი პატიმრობის ვადა ბრალდებულის მხარის პროცესზე დაუსწრებლად გადაწყვიტა – ეს გახლავთ ადვოკატების ყველა ის პრეტენზია, რომელთა თითქმის აღიარებადაც ჩაითვალა გენერალური პროკურატურის მხრიდან გამოძიების გლდანი-ნაძალადევის პროკურატურისთვის აცილება. საქმე გამოსაძიებლად თბილისის პროკურატურას გადაეცა, საოლქო სასამართლოს კი მეორედ მოუხდა ნატროშვილისთვის პატიმრობის ვადის გაგრძელების თაობაზე მსჯელობა.

ადვოკატების მოთხოვნით, სასამართლოში რამდენიმე მოწმე დაიკითხა, რის შემდეგაც გაირკვა, რომ ნატროშვილი სინამდვილეში არა საღამოს ათ საათზე, არამედ ხუთ საათზე დააკავეს. საერთოდ, საქმეში, დაკავების ოქმი არ მოიპოვება. არადა, სწორედ დაკავების ოქმის შედგენიდან იწყება პატიმრობის ვადის ათვლა. აქედან გამომდინარე, იმედა ნატროშვილის შემთხვევაში, შესაბამისად დარღვეულია 12, 48 და 72-საათიანი ვადები. ნატროშვილი კი უკანონო პატიმრად ითვლებოდა, რაც სასამართლომ აღიარა და კანონიდან გამომდინარე, დაუყოვნებლივ გაათავისუფლა.

"მოსამართლე ირმა ჭეიშვილმა მხარეთა განმარტებების მოსმენის შემდეგ სავსებით ობიექტური გადაწყვეტილება მიიღო, რაც, სამწუხაროდ, იშვიათია სასამართლო პრაქტიკაში. ნატროშვილის გათავისუფლება ადვოკატების ოსტატობის ხარჯზე არ მომხდარა. უბრალოდ, მის მიმართ ბრალეულობის არანაირი მტკიცებულება, რეალურად, არ არსებობს," - აცხადებენ არასრულწლოვანის ადვოკატები.

ჩვენი ინფორმაციით, ქალაქის პროკურატურამ იმედა ნატროშვილის გათავისუფლება გააპროტესტა და საჩივრის დაწერაც არ დაიზარა.

"ეს საჩივარი სრულიად უსაფუძვლოა. ბრალდების მხარე მოთხოვს, რომ ნატროშვილი ავანსად იყოს პატიმრობაში. ცდილობენ, თავიდან აიცილონ დაზარალებულის სამართლიანი გულისწყრომა და შექმნან შთაბეჭდილება, ვითომ საქმეზე ჭეშმარიტება დგინდება. ჩვენ მზად ვართ, ვითანამშრომლოთ ბრალდების მხარესთან, თუკი მისი პოზიცია დაგვარწმუნებს, რომ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას ნამდვილად ცდილობენ. ჩვენი მიზანიც სიმართლის დადგენაა," - განაცხადა ჩვენთან საუბრისას იმედა ნატროშვილის დამცველმა მალხაზ ჯანგირაშვილმა

ყოველი მეორე მოზარდი სკოლის რეკეტის მსხვერპლი ხდება

სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ პრაქტიკულად ყოველი მეორე რუსი მოზარდი ცხოვრებაში ერთხელ მაინც აწყდება სასკოლო რეკეტს. ბევრ სკოლებში ამგვარი ფაქტები იმალება, მშობლები იშვიათად მიმართავენ მილიციას, ამიტომ არც სამართალდამცავ ორგანოებს და არც საზოგადოებას არ შეუძლიათ ამ პრობლემის მოგვარება.

ერთი წლის წინ ირკუტსკში 12-13 წლის ბიჭებმა თანატოლს 13 ათასი რუბლი და 100 დოლარი მოსთხოვეს. მსხვერპლის მშობლებმა პოლიციას მიმართეს. დამნაშავეები დააკავეს და მოზარდთა დროებით იზოლატორში მოათავსეს, სადაც სასამართლოს გადაწყვეტილებით მათ ათი დღე დაჰყვეს.

ირკუტსკის სკოლის დირექტორებისთვის სიახლეს არ წარმოადგენს სკოლებში ფულადი გამოძალვის ფაქტების სიხშირე. ხანდახან ამგვარი ქმედებების მიზეზი ხდება უცხოური ფილმების გავლენა მოზარდებზე. ისინი ატერორებენ თანაკლასელებს, მოითხოვენ მათგან თანხის მოტანას. უკეთეს ვარიანტში, გამომძალველებს პედსაბჭოზე იბარებენ, უკიდურეს შემთხვევაში კი, სკოლის ადმინისტრაცია მილიციას მიმართავს.

სამართალდამცავი ორგანოების მონაცემებით, ინფორმაცია სასკოლო რეკეტის შესახებ ხშირად გვხვდება. პასუხისგება ასეთ დანაშაულზე იწყება 14 წლიდან, გამოძალვის შემთხვევები კი, უბრალოდ, ფიქსირდება მილიციაში, ამასთან, მსხვერპლის მშობლები ხშირად ამჯობინებენ ფაქტის არ გაცხადებას მილიციაში.

18 თებერვლიდან ირკუტსკის ყველა სკოლაში, სადაც მოსწავლეთა რაოდენობა 1000 აღემატება, მუშაობას შეუდგნენ სკოლის ინსპექტორები. ითვლება, რომ მილიციის წარმომადგენლის დასწრება სკოლებში ამცირებს ამგვარ შემთხვევებს და აიძულებს მოწაფეებს, კარგად დაფიქრდნენ, სანამ რამეს ჩაიდენენ.

მაგალითად, ბაშკირეთში, სადაც ეს პრობლემა ძალიან მწვავედ დგას, რეკეტის წინააღმდეგ ბრძოლა რადიკალურია. ინსპექტორები აწარმოებენ სკოლებში შემოვლებს, არწმუნებენ მოსწავლეებს, არ დაფარონ ამგვარი ფაქტები და აცნობონ უფროსებს. ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, ინსპექტორები თავიანთ თავზე იღებენ ოპერ-მუშაკების მოვალეობას და ფულის გამოძალვის ადგილზე გადიან. მილიცია დაზარალებულ ბავშვებს აძლევს დანიშნულ კუპიურებს, გამომძალველებს კი დანაშაულის ფაქტზე აკავებს.

ქრონიკალი

სკოტლენდ იარდი - ქართველ სამართალდამცველებს ამოწმებს

სოფიკო ჩხაიძე

"სკოტლენდ იარდი" გუშინ ჩაერთო გატაცებული პიტერ შოუს ძებნაში. თბილისში გუშინწინ ჩამოსული ბრიტანელი სამართალდამცველები ქართველ კოლეგებთან ერთად გააგრძელებენ გატაცებულის დაბრუნებაზე ზრუნვას. თუმცა დევიდ დუგლასი და ჯონათან კროუფორდი საქართველოში გამოძიების ახალი გეგმით არ ჩამოსულან. მართალია, ორი ინგლისელი კრიმინალისტი უშუალოდ ადამიანის გატაცების ფაქტების გამოძიების სპეციალისტები არიან, მაგრამ უკვე შემუშავებულ და წარმოებულ საგამოძიებო სქემაში მნიშვნელოვანი კორექტივების შეტანას არ აპირებენ. თუმცა ამგვარი საქმეების გამოძიების მდიდარი გამოცდილებიდან გამომდინარე, ცხადია, მათი რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება.

როგორც ცნობილია, ბრიტანელი კრიმინალისტების გამოძიებაში ჩართვის თხოვნით თვით ბრიტანეთის შს მინისტრმა მიმართა ქართველ კოლეგას. კობა ნარჩემაშვილი შემოთავაზებას მაშინვე დათანხმდა. წინაღმდეგ შემთხვევაში, ინგლისელებს ნამდვილად შეექმნებოდათ არასასიამოვნო ეჭვების საფუძველი. ჩამოსვლისთანავე ორ ინგლისელს გამოძიების ხელთ არსებული ყველა მონაცემი გააცნეს და კიდევ ერთხელ დაარწმუნეს, რომ საქართველოში მათი გატაცებული თანამემამულის გასათავისუფლებლად ყველაფერი კეთდება. ამიერიდან ისინი უშუალოდ მიადევნებენ თვალ-ყურს საგამოძიებო მოქმედებების მიმდინარეობას.

ჯერჯერობით, ქართველი სამართალდამცველები გამოძიების რეალურ შედეგებზე დეტალური საუბრისგან თავს იკავებენ. ერთადერთი, რასაც საქართველოს შს მინისტრი გულახდილად აცხადებს, ის გახლავთ, რომ პიტერ შოუსა და მისი გამტაცებლების ადგილსამყოფელი არ იცის. თუმცა ბევრ სხვა დეტალს საგულდაგულოდ და საიდუმლოდ ინახავს. მაგალითად, დღემდე ოფიციალურად არ ქვეყნდება იმ შვიდი ეჭვმიტანილის ფოტორობოტები, რომლებიც პოლიციამ შოუს გატაცებიდან ძალიან მალე შეადგინა. ფოტორობოტების ასლები, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, მხოლოდ პოლიციის განყოფილებებს და კრიმინალურ სამყაროსთან კავშირის მქონე აგენტურას გააცნეს.

ასევე, საგამოძიებო ინტერესების მოშველიებით, არაფერს ამბობენ იმის თაობაზე, მოხდა თუ არა ამ შვიდი ფოტორობოტის იდენტიფიკაცია და უკვე არსებობენ თუ არა კონკრეტული ეჭვმიტანილები. თუმცა ეჭვმიტანილთა დაკონკრეტების შემთხვევაში ფოტორობოტების საიდუმლოდ შენახვას აზრი დაეკარგებოდა.

მიუხედავად ამისა, სამართალდამცველთა მტკიცებით, დღე არ არის, რომ გატაცებასთან დაკავშირებით რაიმე სიახლე არ ჩაუვარდეს გამოძიებას ხელში, თანაც ისეთი, რომელიც პიტერ შოუს დაბრუნების შანსებს ზრდის.

რუისელ კრიმინალს არ გაუმართლა

სოფელი რუისი განთქმულია თავისი კრიმინალური ტრადიციებით. თუმცა ამჯერად, ახლაგაზრდა რუისელ კრიმინალს არ გაუმართლა და მანქანის ხელში ჩაგდების მცდელობისას მძიმედ დაშავდა.

23 წლის ლაშა მღებრიშვილი, ავტომატით შეიარაღებული დაესხა თავს ვინმე გივი საბაშვილს. იგი გადმოსვა კუთვნილი "BMV"-დან და მანქანა გაიტაცა. გატაცებული მანქანით, დიდი სიჩქარით მიმავალი მძარცველი შინდისის გზაზე კედელს შეეჯახა და ავარიის შედეგად მძიმედ დაშავდა. დაშავებული საავადმყოფოში მიიყვანეს, სადაც იგი პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება; ხოლო ავტომატი, თავისი მჭიდითა და 23 ვაზნით, ცხადია, სამართალდამცველებმა ჩამოართვეს.

ნარკოტიკი აღმოუჩინეს

ქუთაისელი ზაზა გიგაური "ქურდულ სამყაროში" საკმაოდ ცნობილი კრიმინალია. თუმცა იგი, ამჯერად, უმნიშვნელო დანაშაულისთვის დააკავეს. როგორც სამართალდამცველები იუწყებიან, თელავში დაკავებისას ზაზა გიგაურს 0,16 გრამი ჰეროინი აღმოაჩნდა.

დაქირავებული დამნაშავე

ორი თვის წინათ განხორციელებული ფართომასშტაბიანი ღონისძიების შედეგად იმერეთში აყვანილი ორი დანაშაულებრივი დაჯგუფებიდან ერთს, ეგრეთ წოდებულ "ნიკოლაძეების ბანდას", დაპატიმრებული თანამოსაქმე შეემატა. თბილისელმა პოლიციელებმა დააკავეს დედაქალაქის მაცხოვრებელი, 60 წელს მიტანებული კუკური ნორაკიძე. ორი თვის განმავლობაში მიმდინარე გამოძიებისას ბევრი რამ დადგინდა: თბილისში ნორაკიძე და 22 აპრილს დაკავებული მალხაზ ასანიძე, ნუგზარ ნიკოლაძე და ჯერ კიდევ დაუდგენელი პირი თავს დაესხნენ ნოდარ კაკაბაძის ოჯახს და ოჯახის წევრების დახოცვის მუქარით გამოსძალეს 25 ათასი დოლარი და ძვირფასი ნივთები. ახალგაზრდა ყაჩაღებმა დახმარებისთვის ნორაკიძეს 4000 ლარი გადაუხადეს.

უცხოეთი

იაპონიის ჭაშუშის სასამართლო პროცესი დახურეს

რუსეთის უზენაესი სასამართლო დახურულ რეჟიმში შეუდგა გრიგოლ პასკოს საქმის განხილვას, მას ბრალად ედება შპიონაჟი იაპონიის სასარგებლოდ. თვითონ პასკო სხდომას არ ესწრება.

სამშაბათ დილას რუსეთის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგია შეუდგა ყოფილი სამხედრო ჟურნალისტის - პასკოს ადვოკატთა და სამხედრო პროკურატურის საკასაციო საჩივრების განხილვას. ადვოკატებისა და სამხედრო პროკურატურის უკმაყოფილების საგანი გახდა წყნარი ოკეანის სამხედრო სასამართლოს მიერ გასული წლის 25 დეკემბერს გამოტანილი განაჩენი. მაშინ სასამართლომ დამნაშავედ სცნო გრიგოლ პასკო შპიონაჟის ფორმით სახელმწიფოს ღალატში და ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა ქონების კონფისკაციით.

გუშინდელი სხდომის დაწყებისას პასკოს ადვოკატებმა დააყენეს შუამდგომლობა, რომ სასამართლო ღია წესით ჩატარებულიყო. განსასჯელის დამცველმა ჰენრი რეზნიკმა სცადა სასამართლო დაერწმუნებინა, რომ ადვოკატები დაცვით სიტყვაში არ შეეხებიან საიდუმლო ცნობებს.

თავის მხრივ, ბრალმდებელმა იგორ მურაშკინმა კატეგორიულად მოითხოვა საქმის განხილვა დახურული წესით.

ნარკომაფია ხელისუფლებას ებრძვის

ნარკომაფიის "ბოევიკთა" ჯგუფმა სამშაბათ დილას რიო-დე-ჟანეიროს პრეფექტურის შენობა დაბომბა. ავტომატური იარაღიდან გაჩენილმა ცეცხლმა ასეულობით ფანჯარა ჩამსხვრია. თავდასხმის ადგილზე პოლიციამ აღმოაჩინა ორი აუფეთქებელი ყუმბარა. რიო-დე-ჟანეიროს მერმა სესარ მაიამ ბანდიტების ქმედებას ტერორისტული უწოდა და ქვეყნის პრეზიდენტს მიმართა თხოვნით, რიო-დე-ჟანეიროში გამოცხადდეს "საგანგებო მდგომარეობა", რომელიც ითვალისწინებს რიგი კონსტიტუციური უფლებებისა და გარანტიების შეზღუდვას. კერძოდ, საკანონმდებლო კრების თავისუფლების, საიდუმლო მიწერ-მოწერისა და სატელეფონო საუბრების შეზუდვას ან საერთოდ აღკვეთას.

"საგანგებო მდგომარეობის" შემოღება მოითხოვს აუცილებელ თანხმობას ეროვნული პარლამენტისაგან. ამასთან ერთად, ქალაქში, რომელიც მოიცვა ძალადობის ტალღამ, სიტუაცია დაძაბული რჩება. ბრაზილიის პრეზიდენტის ფერნანდუ ენრიკე კარდოზოს თქმით, ნარკომაფიის მოქმედებები ხელისუფლების პირდაპირი გამოწვევაა, ყველა ფარგლებს სცილდება და ხელისუფლების მხრიდან გადამწყვეტ პასუხს ითხოვს.

ელტონ ჯონს 12 მილიონი დოლარის გადახდა მოუწევს

ორშაბათს პოპ-ვარსკვლავმა ელტონ ჯონმა ბრიტანულ სასმართლოში პროცესი წააგო.

წარუმატებელი აღმოჩნდა მისი სასამართლო დავა ფინანსურ კომპანია Price Waterhouse Coopers-თან.

ელტონ ჯონმა კომპანიას მისი კუთვნილი ფულის არასწორი მართვის გამო უჩივლა.

სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა უზენაესი სასამართლოს განაჩენი, რომლის თანახმადაც მუსიკოსს უარი ეთქვა შეტანილი თანხების დაბრუნებაზე. ელტონ ჯონს სასმართლო ხარჯის - 12 მილიონი დოლარის გადახდა მოუწევს.

რეგიონული მასშტაბების ლომი

აღორძინება

დავით ზურაბიშვილი

მემედ აბაშიძის ძეგლის გახსნაზე

- "ეგენი ისპალნიტელები არიან," - ამბობდა ერთი მოძველბიჭო ტიპაჟი "აღორძინების" სარეკლამო კლიპში, რომელიც თბილისის არჩევნებისთვის იყო შერჩეული. პარტიის ლოზუნგის - "სხვები გპირდებიან, ჩვენ ვაკეთებთ!" - ასეთი ჟარგონული განსიტყვება, თბილისელ ამომრჩეველს, ავტორისეული ჩანაფიქრით, ალბათ, უფრო მიმზიდველი უნდა მოსჩვენებოდა. ეტყობა, ცნობილი პროვინციული სტერეოტიპი, რომ თბილისელები ყოველ ფეხის ნაბიჯზე აუცილებლად "ტო"-ს და "შეჩემას" გაიძახიან, რეგიონული ნომენკლატურის გულებში ჯერ კიდევ ცოცხლობს. პოლიტიკური პარტია "საქართველოს აღორძინების კავშირი" კი სწორედ რეგიონული ნომენკლატურის პარტიაა. მის სათავეში, როგორც ცნობილია, ძველი ნომენკლატურული მუშაკი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, ასლან აბაშიძე დგას, ურომლისოდაც პარტიაში სიო არ დაქრის და ხე არ კრთება... სხვათა შორის, ახალგაზრდობაში ბატონი ასლანი თვითონაც არავისზე ნაკლები ძველი ბიჭი არ იყო, არაერთ საქმის გარჩევაში მიუღია მონაწილეობა და ბათუმელ "შავებშიც" "გამკეთებელ" კაცად იცნობდნენ. ასე რომ, "ისპალნიტელობის" თაობაზე სარეკლამო კლიპი არ ტყუოდა. სხვა საკითხია, რისი გამკეთებელია დღეს ასლან აბაშიძე და ვისი "ისპალნიტელი..."

"აღორძინებასა" და მის ლიდერზე სერიოზული მსჯელობა ჭირს, რადგან აქ იმდენად ნათელია ყველაფერი, რომ მთელი ანალიზი თავისუფლად შეიძლება რამდენიმე ბანალური, ყველასთვის ცნობილი მახასიათებლით შემოიფარგლოს. ჯერ ერთი, "აღორძინება" ისეთივე პარტიაა, როგორიც "მოქალაქეთა კავშირი", ანუ ეს არის სახელისუფლო ცენტრის გარშემო შემოკრებილი ადამიანების ერთობა. ერთადერთი განმასხვავებელი ნიშანი ისაა, რომ "აღორძინების" სახელისუფლო ცენტრი ბათუმში მდებარეობს და მისი პოლიტიკური გავლენა რეგიონულ მასშტაბს არ სცილდება. მართალია, აბაშიძის პარტიას ზოგიერთ სხვა რეგიონშიც გააჩნია მეტ-ნაკლებად სერიოზული ლობი, მაგრამ რეალურად მას მხოლოდ აჭარის ავტონომიაში "მიჰყავს პარადი".

თუმცა, იმას, რასაც სხვა პოლიტიკოსთა დაპირებების სანაცვლოდ აჭარის რეგიონული ხელმძღვანელობა აკეთებს, პარადის წაყვანა აღარ ჰქვია. ძალიან მოკლედ, აბაშიძის ხელისუფლება შეიძლება დახასიათდეს, როგორც პარტიკულარისტული და ავტორიტარული რეჟიმი, რომელსაც ყველაზე მეტად უხდება ეპითეტი "სრული": სრული კლანური მმართველობა, სრული უგულებელყოფა დემოკრატიის პრინციპებისა და ადამიანის უფლებებისა, სრული კონტროლი ადგილობრივ საინფორმაციო საშუალებებზე, სრული დაუმორჩილებლობა ცენტრალური ხელისუფლებისადმი, სრული ორიენტაცია რუსეთზე და რუსეთის ინტერესებზე, სრული გამგებლობა სრულიად კორუმპირებულ სარფის საბაჟოზე და მიღებული თანხების სრული განკარგვა... ჭეშმარიტად, სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ არცერთი ქვეყნის ხელისუფლება, გინდ დემოკრატიული იყოს, გინდ ავტორიტარული, რეგიონის ასეთ ხელმძღვანელს არავითარ შემთხვევაში არ მოითმენდა. ის, რომ აჭარაში არსებობს აბაშიძის ხელისუფლება, ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ხელისუფლება არ არსებობს საქართველოში.

საქართველოს ხელისუფლებას რომ მართლაც ნომინალურად ჰქვია ხელისუფლება, ეს ჩვენს ეკონომიკასაც ეტყობა და თბილისის არჩევნებშიც კარგად გამოჩნდა. თუმცა, ისიც ცხადი გახდა, რომ ასლან აბაშიძე და "აღორძინება" შევარდნაძის კვაზიხელისუფლების ალტერნატივად აღარ აღიქმება.

არადა, იყო დრო და მომენტი, როცა ასლან აბაშიძემ თითქმის მთელი ოპოზიციური სპექტრი შემოიკრიბა და სერიოზული კონკურენციას უწევდა შევარდნაძეს და "მოქალაქეთა კავშირს". ეს იყო სულ რაღაც სამი წლის წინ, 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს. მაშინ მოხდა პოლიტიკური სიტუაციის პოლარიზება და ასლან აბაშიძე დაფიქსირდა, როგორც შევარდნაძის მთავარი ოპონენტი. ამ შემთხვევაში უძაღლო ქვეეყანაში ყეფია კატის ეფექტმა კარგად იმუშავა და "აღორძინებამ" პროტესტის ხმების უმრავლესობა მიითვალა. რომ არა "მრეწველთა" პარტიის საარჩევნო აღმასვლა და სრულიად (ისევ ეს სიტყვა!) უგვანო წინასაარჩევნო კამპანია (მაგალითად, მათ გაზეთში აბსოლუტურად სერიოზულად იწერებოდა, რომ ქართველები მეგრელებს და მეგრულ კულტურას ჩაგრავენ!), ისინი, ალბათ, მეტ ხმებსაც წაიღებდნენ.

ასლან აბაშიძის ქოლგის ქვეშ ანტიშევარდნაძული და ანტიმოქკავშირული (უფრო ანტიჟვანიური) ოპოზიციის გაერთიანება ისეთივე ხანმოკლე აღმოჩნდა, როგორც, უფრო ადრე, ბათუმელ ბაბუსთან ნომენკლატურული ინტელიგენციის კეკლუცი ფლირტი. ნომენკლატურული ინტელიგენცია აბაშიძეში პოტენციურ მარჩენალს ხედავდა, რომელიც, კომუნისტური ეპოქის საუკეთესო ტრადიციების შესაბამისად, უხვად დააფინანსებდა მათ, საჯაროდ აღვლენილი ხოტბა-დიდების სანაცვლოდ. ისინი დღევანდელ აბაშიძეში გუშინდელ შევარდნაძეს ჭვრეტდნენ, მაგრამ არ გაუმართლათ. ასლან აბაშიძე სხვანაირი პიროვნებაა. ის მარტო მლიქვნელობას კი არა, არამედ სრულ (ამ სიტყვას ვერა და ვერ ავცდი!) მორჩილებას მოითხოვს და აზრადაც არ მოსდის მლიქვნელებს საპასუხო კომპლიმენტებით უპასუხოს. ნომენკლატურულ ინტელიგენციას კი, ფულთან ერთად, "ნაჩალნიკის" ტკბილი სიტყვა და სატელევიზიო კომპლიმენტებიც არანაკლებ უყვარს.

დაახლოებით იგივე მოხდა "აღორძინების" პარტიულ ბლოკში. საპარლამენტო არჩევნების დროს, აბაშიძის პარტიას სხვადასხვა პოლიტიკური ძალები ერთადერთი მიზნით "აეკიდნენ" - ეს იყო პარლამენტში მოხვედრის გარანტია. მარტო აჭარის ხმები სავსებით საკმარისია შვიდპროცენტიანი ბარიერის გადალახვისთვის, აჭარაში კი არჩევნები, ფაქტობრივად, არ ტარდება და ასლან აბაშიძე რამდენ პროცენტსაც უნდა, იმდენს ღებულობს. სხვა მხრივ, პოლიტიკოსები ინტელიგენტებზე ნაკლებად პრეტენზიულები არ არიან და ამიტომ აბაშიძის ერთპიროვნულ დიქტატს დღემდე მხოლოდ ის ხალხი იტანს, ვისაც მის იქით გზა არა აქვს.

დღევანდელი სიტუაცია ოთხი წლის წინანდელისგან რადიკალურად განსხვავებულია. "მოქალაქეთა კავშირი", პრაქტიკულად, აღარ არსებობს, შევარდნაძის ხელისუფლების დისკრედიტაციამ ათვლის უმაღლეს წერტილს მიაღწია, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში აბაშიძის "ალტერნატივაც" კარგად გაიშიფრა. ბოლო ოთხი წელია ასლან აბაშიძე და მისი გუნდი თანამიმდევრულად ადასტურებს, რომ ისინი:

მუდამ გამოდიან რუსეთის ინტერესების დამცველებად;

მუდამ ფეხებზე იკიდებენ დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებს (მარტო პრეზიდენტის მიერ შეწყალებული და უზენაესი სასამართლოს მიერ გამართლებული თენგიზ ასანიძის შემთხვევა რად ღირს!);

მუდამ მხარს უჭერენ ყველაზე რეტროგრადულ და რეაქციულ ინიციატივებს;

რაც მთავარია, სრულიად დაიმსხვრა მითი აჭარაში გამეფებული აღმშენებლობისა და საყოველთაო კეთილდღეობის შესახებ. ბოლოს და ბოლოს ხალხი ზაფხულობით ზღვაზე მაინც ჩადის და საკუთარი თვალით ხედავს ყველაფერს. მართალია, აჭარაში გაცილებით დალაგებული სიტუაციაა იმ თვალსაზრისით, რომ ყველამ იცის ვინაა უფროსი და ვინ უმცროსი, ვისა აქვს ყველაფრის უფლება და ვის არაფრის, მაგრამ ასეთი გარკვეულობა დიდ აღფრთოვანებას ნამდვილად ვერ გამოიწვევს.

გარდა ამისა, მართლაც დღესავით არის ნათელი, რომ ასლან აბაშიძე შეიძლება პიროვნულად დაპირისპირებული იყოს შევარდნაძესთან, მაგრამ ის არ არის ანტისისტემური ძალა. მისთვის ნომენკლატურულ-კორუფციული სისტემა არათუ არ არის მიუღებელი, არამედ ეს მისი მშობლიური სისტემაა. აბაშიძის მიზანი მხოლოდ კლანების ჩანაცვლებაა, ანუ შესაკრებთა გადანაცვლება, როდესაც ჯამი არ იცვლება. შევარდნაძე და აბაშიძე ერთმანეთს ინტრიგებში და კულუარულ დიპლომატიაში ექიშპებიან და არა საჯარო პოლიტიკაში.

ერთი ღირსება ასლან აბაშიძეს ნამდვილად აქვს და მას ვერაფრით წაართმევ. ის არ თამაშობს. ის არის ის, რაც არის და არც კი ცდილობს სხვანაირად მოგაჩვენოს თავი. თუმცა, თუ ქართულ სახელმწიფოებრიობას მომავალი უწერია, აბაშიძის რეჟიმი ამ მომავალში ნამდვილად ვერ მოიაზრება. აბაშიძის და "აღორძინების" პერსპექტივა მხოლოდ ორ შემთხვევაში შეიძლება იყოს სიცოცხლისუნარიანი: თუ დღევანდელი განუკითხაობა გაგრძელდება, ან თუ თვითონ მოვა ხელისუფლებაში. რამდენად რეალურია ასეთი პერსპექტივა, თავად განსაჯეთ.

თავის დროზე, ცნობილ ინგლისელ პოეტს, ოსკარ უაილდს ჰკითხეს: თქვენი აზრით, შექსპირის ჰამლეტი მართლა გიჟი იყო თუ თავს იგიჟიანებდაო, რაზედაც უაილდმა უპასუხა: ვინც ამას სერიოზულად კითხულობს, ან თვითონაა გიჟი, ან თავს იგიჟიანებსო. ამ ანალოგიით, ვინც ასლან აბაშიძის ხელისუფლების ანტისახელმწიფოებრივ (სხვაზე არ ვლაპარაკობ!) არსს ვერ ხედავს, ან პოლიტიკურად ბრმაა, ან თავს იბრმავებს, და არა მარტო პოლიტიკურად.

კავკასიის უსაფრთხოებას რეგიონის სახელმწიფოთა მთავრობების უნიათო პოლიტიკაც უშლის ხელს, - აცხადებენ დასავლელი ექსპერტები

ვერიკო თევზაძე

ამ დღეებში პარიზში შეიკრიბა თავდაცვის აკადემიებისა და უსაფრთხოების ინსტიტუტების კონსორციუმი, პროგრამის - "პარტნიორობა მშვიდობისათვის" - ფარგლებში. კონსორციუმის მუშაობაში მონაწილეობდა მსოფლიოს 44 ქვეყნის 400-მდე წარმომადგენელი, როგორც სახელისუფლებო, ასევე აკადემიური წრეებიდან(მკვლევარები, ჟურნალისტები, მესამე სექტორში დასაქმებული პირები).

ნატოს პროგრამის ეგიდით არამარტო საჯარისო წვრთნები ტარდება, არამედ მჭიდრო კონტაქტები მყარდება იმ ადამიანებს შორის, რომელთაც გარკვეული წვლილი შეაქვთ საერთაშორისო უსაფრთხოებასა და რეგიონულ თანამშრომლობაში. საქართველოდან პარიზში წარგზავნილი იყო ხუთი წარმომადგენელი. "24 საათი" ესაუბრა ერთ-ერთ მათგანს, პოლიტოლოგ ზურაბ ჭიაბერაშვილს, ვისი ინიციატივითაც შარშან კონსორციუმის აღმასრულებელმა დირექტორატმა კავკასიის კრიზისებზე სამუშაოდ სპეციალური ჯგუფი მოამზადა.

პარიზში კავკასიურ კრიზისებზე საუბრისას, აზერბაიჯანელი და სომეხი ექსპერტების აქტიური მონაწილეობით, ყურადღება კონცენტრირებული იყო ყარაბაღის თემაზე. დასავლეთს კავკასიის რეგიონი მთლიანობაში აინტერესებს, ყარაბაღის კონფლიქტი კი ამიერკავკასიის სამივე ქვეყნის თანამშრომლობას აფერხებს. როგორც ზურაბ ჭიაბერაშვილი შენიშნავს, დასავლეთისა და შეერთებული შტატების დამოკიდებულება კავკასიაში არსებული კონფლიქტებისადმი იცვლება.

"თუ ადრე უსაფრთხოების ძირითად წყაროდ მხოლოდ გარე ფაქტორებს ასახელებდნენ, უკვე თვალში საცემი ხდება, რომ კავკასიის უსაფრთხოებას არანაკლებ უშლის ხელს ამ ქვეყნების ხელისუფალთა უნიათობა და უპასუხისმგებლობა საკუთარი მოსახლეობის წინაშე. აზერბაიჯანელებისა და სომხებისაგან განსხვავებით, საქართველოს წარმომადგენლები უფრო თამამად აკრიტიკებდნენ თავიანთ ხელისუფლებას", - განაცხადა საუბრისას ზურაბ ჭიაბერაშვილმა.

პარიზში აფხაზეთისა და ოსეთის თემაზე ცალკე ყურადღება არ გამახვილებულა, ვინაიდან ამ კონფლიქტებს საქართველოს საშინაო პრობლემად განიხილავენ. თუმცა დაფიქსირდა პოზიცია, რომ კონფლიქტები აფერხებენ ქვეყნის განვითარებას. **"ამ ეტაპზე ნატოს პროგრამა მიზნად ისახავს, გაზარდოს საქართველოს ხელისუფლების ქმედითუნარიანობა. საქართველოს უნდა ჰყავდეს 2000 გაწვრთნილი ჯარისკაცი მაინც, სხვაგვარად ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა ვერ გაიზრდება. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება საუბარი სხვა პრობლემებზე, მათ შორის, აფხაზეთსა და ოსეთზე."**

კონსორციუმი განიხილავს ყველა საკითხს, რომელიც ქვეყნის უსაფრთხოებას უკავშირდება. კონსორციუმში მოქმედებს სპეციალური სექცია, რომელიც უსაფრთხოების ეკონომიკურ და სამართლებრივ ასპექტებზე მუშაობს. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელმა რომან გოცირიძემ პარიზში გააკეთა მოხსენება, რომელშიც საუბარი იყო, თუ როგორ ანადგურებს პოლიტიკური კორუფცია პოსტსაბჭოთა სივრცეს, მათ შორის - საქართველოსაც.

ზურაბ ჭიაბერაშვილი პარიზის კონსორციუმს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და მას ვაზიანში მიმდინარე სამხედრო წვრთნებთან უშუალო კავშირში განიხილავს. **"ჩვენი მიზანია, სამხედრო საქმეები საზოგადოებისთვის გასაგებ ენაზე "ვთარგმნოთ", ანუ ქართულმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რატომ არის ჩვენთვის სასარგებლო ვაზიანში მიმდინარე სამხედრო წვრთნები. მაგალითად, ბალტიისპირეთის ქვეყნები დაინტერესებულნი არიან ნატოში გაწევრიანებით. ისინი ხვდებიან, რომ ნატო, ევროკავშირი თუ სხვა ევროსტრუქტურა, მათ საშუალებას აძლევს, განავითარონ სკუთარი პოტენციალი.**

"ჩემი მიზანი ევროკავშირში პასიურად გაწევრიანება არ არის, - ამბობს ლიტველი, - როდესაც ეს სტრუქტურა მიიღებს გადაწყვეტილებას, რომელიც მეხება მე, მინდა მქონდეს ხმის უფლება`". ჩვენც ასეთივე ინტერესი უნდა გვამოძრავებდეს.

მთავარი პრობლემა ის არის, რომ, ჯერჯერობით, ჩვენი საზოგადოება საკუთარი მთავრობის მიღებულ გადაწყვეტილებაზე ვერ ახდენს ზემოქმედებას. როდესაც დემოკრატიისა და უსაფრთხოების უშუალო კავშირზე ვსაუბრობთ, საგანგებოდ უნდა გავუსვათ ხაზი: თუ ქართული საზოგადოება თავისი ხელისუფლების მიერ გატარებულ პოლიტიკაზე ვერანაირად ვერ იმოქმედებს, შესაძლებელი ხდება, ხელისუფლებამ ქვეყნისათვის საზიანო პოლიტიკა გაატაროს, ან უფრო უარესი, არანაირი პოლიტიკა არ გაატაროს, როგორც ეს დღეს ხდება."

კონსორციუმში მოქმედებდა ქვესექცია - "ნატო და რუსეთი". ჭიაბერაშვილის განმარტებით, დასავლეთში რუსეთის შესახებ ორი თვალსაზრისია ჩამოყალიბებული. ერთნი ამბობენ, რომ პუტინის რუსეთს უნდა გარდაქმნა და ევროპული ტიპის სახელმწიფოდ ჩამოყალიბება; პესიმისტები კი შენიშნავენ, რომ რუსეთის იმპერიული ზრახვები არ ჩამცხრალა. იგი დასავლეთს დაუტკბა, რათა თავი ცივილიზებულ პარტნიორად მოაჩვენოს. სინამდვილეში რუსეთს სურს, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები(ბალტიისპირეთის სახელმწიფოების გარდა) კვლავ თავისი გავლენის ქვეშ ჰყავდეს. ამ თვალსაზრისს იზიარებს ჯეიმს თაუნის ფონდის ექსპერტი ვლადიმერ სოკორი. იგი ხაზს უსვამს, რომ ამ ქვეყნის დამოკიდებულება ყოფილი მოძმე რესპუბლიკების მიმართ ოდნავადაც არ შეცვლილა.

ჭიაბერაშვილის თქმით, დასავლელი ექსპერტებისათვის ნათელია, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში, რუსეთი თავის იმპერიულ ზრახვებს ახორციელებს ამ ქვეყნების მთავრობათა ანტიხალხური პოლიტიკის მეშვეობით. ამ მხრივ, არც საქართველოა გამონაკლისი.

www.24hours.ge 24 B

სუფთა გერმანული დასასრული

დერეკ ფოლი
იაპონია კორეიდან
სპეციალურად
"24 საათისათვის"



REUTERS

სეულში რომ გუშინ განწყობა სუფევდა, ემოციურიც აღარ ერქვა. კორეელი ფანებისთვის მატჩის პირდაპირ ტრანსლაციას სად აღარ გადასცემდნენ. როგორც ამბობენ, სპეციალური მეგაფონები იყო დამაგრებული ჩრდილოეთ კორეასთან საზღვარზეც, რათა თავიანთი წარმატების ამბავი ჩრდილოელი პოლიტიკური მტრებისთვის გაეგებინებინათ.

თუმცა, ის, რაც სტადიონზე მოხდა, პოლიტიკური პროპაგანდისთვის ნამდვილად არ გამოდგება. სამხრეთ კორეას გერმანიის დამარცხებისთვის ძალები აღარ ეყო, მარაგში კორეელებს აღარც იღბალი დარჩათ. ბალაკის გოლის წყალობით, ანგარიშით 1:0 გერმანიამ მოიგო.

ასე დასრულდა კორეული ზღაპარი. ასე ჩამოვიდა კორეა სცენიდან. თუმცა, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მათი საარაკო ამბავი სალაპარაკოდ კიდევ დიდ ხანს ეყოფათ.

მხოლოდ კორეელების დამარცხების შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ გერმანია დაბრუნდა. უფრო ზუსტად, ის მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ შეხვედრას დაუბრუნდა და ეს 1990 წლის შემდეგ პირველად მოხდა.

საინტერესოა, იყო თუ არა შესაძლებელი გერმანია-კორეის შეხვედრის სხვა შედეგით დასრულება?

რეალურად რომ ვიმსჯელოთ, სამხრეთ კორეას პირველ ნახევარში მშვენიერი შანსი ჰქონდა, როცა ლი ჩონ-სომ კარისკენ კარგად დაარტყა. თუმცა, მაშინ ოლივერ კანმა იმარჯვა. შემდეგ კი გერმანელები უკვე თვითდაჯერებით აღივსნენ და მოედანზე კონტროლი მოიპოვეს. ჩემი აზრით, მათ წლევანდელ ჩემპიონატზე საუკეთესო თამაში სწორედ გუშინდელ მატჩში აჩვენეს.

ძალზე კომფორტულად გრძნობდა თავს კრისტიან მეცელდერი, კარსტენ რამელოვი კი წინ მიიწევდა და თავისი თამაშით აშკარად საფრთხეს ქმნიდა.

რაც შეეხება კორეელებს, ისინი წინა თამაშებთან შედარებით არც ისე აქტიურობდნენ. ეს, ალბათ, რამდენიმე მიზეზის გამო მოხდა: კორეის საუკეთესო შემადგენლობა, რომელმაც ესპანეთთან ითამაშა, სამჯერ შეცვალეს. გერმანიასთან მატჩში ხუთმა კორეელმა ფეხბურთელმა დაიწყო თამაში ყვითელი ბარათით. და, რაც მთავარია, შინაგანად, ალბათ, ისინი უფრო მეტად ნერვიულობდნენ, ვიდრე ყველა სხვა შეხვედრის წინ.

რუდი ფიოლერის რაზმს კი არ სურდა, საქმე პენალტების სერიამდე მიეყვანა. ეს გამარჯვების სასწორზე დადების ტოლფასი იყო. ამიტომ გერმანელები აქტიურობდნენ, თავდასხმაზეც გადადიოდნენ და საკუთარ ნახევარსაც სულ აკონტროლებდნენ. თავიდან თითქოს კორეელმა იო სანგ-ჩულმა პრობლემები ბალაკს შეუქმნა. ეს მოულოდნელი არც იყო. ჩული სწორედ ის ფეხბურთელია, რომელმაც პორტუგალიასთან მატჩში ფიგუს განძრევის საშუალება არ მისცა. თუმცა, თანდათან ბალაკთან ერთად მთელი გერმანული ნაკრები უფრო თვითდაჯერებული გახდა. თამაში არა მხოლოდ რამელოვის მეშვეობით დაიძაბა, არამედ მეტოქეს საფრთხე შეუქმნეს ნეივილმაც, ტორსტენ ფინკმაც და ბერნდ შნაიდერმაც.

შანსი მიეცა კლოზესაც. თუმცა, ეს შანსი მის ფეხებთან მიგორდა. კლოზეს კი ჩემპიონატზე გატანილი ხუთივე გოლი თავით აქვს შესრულებული.

თუმცა, ამ ფეხბურთელის შეძენით უკვე დაინტერესდნენ "იუვენტუსი", მიუნხენის "ბაიერნი" და "რომა". სამივე გუნდმა ეს დაინტერესება ოფიციალურად დაადასტურა. "კაიზერსლაუტერნი" კი კლოზეს გაყიდვას 35 მილიონ გირვანქა სტერლინგად აპირებს.

კორეასთან მატჩში კლოზეს შანსი რამელოვმა მისცა. თუმცა, მისი შესანიშნავი პასის გამოყენება კლოზემ ვერ შეძლო. ანუ, ეს ფეხბურთელი შესანიშნავია ჰაერში და ძალზე შეუმჩნეველი – მიწაზე. საინტერესოა, წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატი კლოზესთვის ეპიტაფია აღმოჩნდება, თუ არა...

როგორც ჩანს, კლოზეს თამაშით არც ფიოლერი აღფრთოვანებულა და ამიტომ ის ოლივერ ბირჰოფით შეცვალა. შემდეგ იყო მეორე ყველაზე საშიში კორეული შეტევა. თუმცა, გერმანელებმა მისი გაუვნებელყოფა მოახერხეს...

აღსანიშნავია ისიც, რომ ფეხბურთელი, რომელმაც გერმანიას ფინალში გასვლა გაუნაღდა, მომავალ შეხვედრას გამოტოვებს – ბალაკმა ხომ მორიგი ყვითელი ბარათი კორეასთან მატჩში მიიღო.

მოკლედ, გერმანიამ გამარჯვება ანგარიშით 1:0 მოიპოვა. სუფთა გერმანული დასასრულია, არა?

ჩოგბურთი

ირაკლი ლაბაძემ მეცამეტე ნომერს მოუგო

წარმატებით აიღო სტარტი უიმბლდონის კორტებზე ქართველმა ჩოგბურთელმა ირაკლი ლაბაძემ. ქართველის, რომელიც პირველად მონაწილეობს ამ ტურნირში, პირველი მეტოქე ტურნირის მეცამეტე ნომრად განთესილი, მაროკოელი იუნეს ელ აინაუი აღმოჩნდა. ლაბაზე პირველ სეტში ზედმეტად ნერვიულობდა და 4-6 დამარცხდა. მეორე სეტში დაძაბული ბრძოლა გაიმართა. სეტის ბედი ტაი-ბრეიკმა გადაწყვიტა, სადაც ქართველმა უკეთ ითამაშა და 7-6 გაიმარჯვა. სწორედ ეს სეტი გამოდგა გადამწყვეტი. ქარტთველმა ჩოგბურთელმა მესამე სეტში მეტოქის მოწოდების მოგება მოახერხა და 6-3 გაიმარჯვა. მეოთხე სეტში მაროკოელი ბოლომდე იბრძოდა, მაგრამ მაინც დამარცხდა. ლაბაძემ კვლავ ტაი-ბრეიკით, 7-6 მოიგო და მომდევნო ეტაპზე გავიდა. ქართველის მეტოქე შვეიცარიელი მიშელ კრატოჰვილი იქნება. ამ უკანასკნელმა რუსი ნიკოლაი დავიდენკო დაამარცხა.

თავიანთი შეხვედრები მოიგეს ფავორიტებმა. ამერიკელმა მაიკლ ჩანგმა სამ სეტში 6-3, 7-6(7-4) და 6-4 დაამარცხა გერმანელი ლარს ბურგსმიულერი. შეხვედრა მხოლოდ 72 წუთი გაგრძელდა. ტურნირის პირველმა ნომერმა, ავსტრალიელმა ლეიტონ ჰიუიტმა ასევე სამ სეტში 6-4, 7-5, 6-1 მოუგო შვედ იონას ბიორკმანს. მასპინძელმა, ტიმ ჰენმანმა 6-1, 6-3 და 6-2 დაამარცხა უიმბლდონის დებიუტანტი, ფრანგი ჟან ბეშელი. ჰოლანდიელმა სლუტერმა ესპანელ რობრედოს მოუგო. სამხრეთაფრიკელმა ფერეირამ კი უაღრესად დაძაბულ, ოთხსეტიან ბრძოლასი დაძლია კიდევ ერთი ესპანელის, ალბერ პორტასის წინააღმდეგობა. ანაგარიში თავისთავად მრავლისმეტყველია: 7-6(7-5), 6-3, 6-7(4-7) და 6-3. ქალთა ტურნირის პირველი სეხვედრა მოიგო მონიკა სელეშმა, რომელმაც იოლად, 37 წუთში 6-0, 6-0 დაამარცხა ესპანელი ევა ბეესი. კიმ კლისტერსმა ასევე ორ სეტში მოუგო ამერიკელ სამანტა რეევსს. შარშანდელი ტურნირის წყვილთა თანრიგის გამარჯვებულმა, ლიზა რეიმონდმა უიმბლდონის იუნიორთა ტურნირის ჩემპიონს, 21 წლის კატარინა სტებორკს მოუგო. ელენა დოკიჩმა კი 7-6, 6-4 დაამარცხა უკრაინელი ცაცია ჩოგბურთელი ტატარკოვა. იოლ გამარჯვებას მიაღწია მთავარმა ფავორიტმა ვენუს უილიამსმა. მან ინგლისელ ჯინ ოდონაჰიუს მოუგო.

დედოფალი დაავიწყდათ

ორი დღეა, რაც სტარტი აიღო უიმბლდონის ჩოგბურთელთა ტურნირმა. თუმცა, საჩოგბურთო ბატალიებზე უფრო მეტი ყურადღება დედოფლის, ელიზაბეთ მეორის ტახტზე ასვლის "ოქროს" იუბილესკენაა მიმართული. უიმბლდონის ორგანიზატორებმა, ფაქტობრივად, უყურადღებოდ დატოვეს ბრიტანელთათვის ღირსშესანიშნავი თარიღი. სტუმრებისთვის წარდგენილ ოფიციალურ პროგრამაში ეს მოვლენა ნახსენებიც კი არ არის. 25 წლის წინათ ყველაფერი სხვაგვარად იყო - მაშინდელი ტურნირის ორგანიზატორებმა გრანდიოზული ზეიმი მოაწყვეს. დედოფალმა პირადად გადასცა თასი უიმბლდონის უკანასკნელ ბრიტანელ გამარჯვებულს ვირჯინია უეიდს. მოსახლეობის კრიტიკის საპასუხოდ, განცხადება გააკეთა სრულიად ინგლისის საჩოგბურთო კლუბის წარმომადგენელმა, რომელმაც განაცხადა, რომ, ტურნირის განსაკუთრებული საერთაშორისო სტატუსის გათვალისწინებით, პროგრამაში "ოქროს იუბილესთან" დაკავშირებული არც ერთი ღონისძიება არ არის შეტანილი. თანაც, თუ ბუკინგემის სასახლის პრესსამსახურის მიერ გაკეთებული განცხადებით ვიმსჯელებთ, ელიზაბეთ მეორე არ გეგმავს ტურნირზე დასწრებას. შესაძლოა, მხოლოდ ერთ შემთხვევაში გამოჩნდეს - თუ ტიმ ჰენმანი ან რომელიმე სხვა ინგლისელი ჩოგბურთელი ფინალამდე მიაღწევს.

კურნიკოვას შემცვლელი მოუძებნეს

ჩანს, ჟურნალისტებმა, რომლებიც ცნობილ ჩოგბურთელთა ცხოვრებას და მათთან დაკავშირებულ ყველა ამბავს აშუქებენ, შემცვლელი მოუძებნეს ანა კურნიკოვას. რუს ლამაზმანს (იგი ჯერ კიდევ გასულ კვირას მსოფლიო ჩოგბურთის სახედ ითვლებოდა) შეცვლის 19 წლის სლოვაკი დანიელა ჰანტუხოვა.

ჟურნალ "ACE"-ს გამოკითხვის შედეგად სწორედ ის გახდა ჩოგბურთის დედოფალი. კურნიკოვამ მეორე ადგილზე გადაინაცვლა, მესამეზე კი ავსტრიელი ბარბარა შეტია. კიდევ ორი ჩოგბურთელი, რომლებმაც ხუთეული შეავსეს, შვეიცარიელი მიროსლავა ვავრინეჩი და ჩერნოგორიელი ელენა დოკიჩია. უმთავრესი კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც ლამაზმანებს არჩევენ, მათი ფეხების სიგრძეა. ამ მაჩვენებლით კი ჰანტუხოვას ბადალი არა ჰყავს საჩოგბურთო სამყაროში. სლოვაკს, თურმე, 110 სანტიმეტრი სიგრძის ფეხები ჰქონია, მთელი 12,5 სანტიმეტრით მეტი, ვიდრე კურნიკოვას.

თავად ჰანტუხოვა თავის უმთავრეს საზრუნავად კორტზე მიღწეულ შედეგებს თვლის და არა სილამაზეს.

ფეხების სიგრძის გარდა, კურნიკოვას ჩამოქვეითებაზე მისმა სპორტულმა შედეგებმაც იქონია გავლენა. ცნობილია, რომ რუსი ჩოგბურთელის მიმართ დღითი დღე იზრდება უკმაყოფილება სპონსორების მხრიდან. კარიერის განმავლობაში ერთეულთა თანრიგში კურნიკოვამ ხომ ვერც ერთი ტურნირი ვერ მოიგო. გუშინწინაც, უიმბლდონის პირველ დღეს, მარცხის შემდეგ, წარსულში ცნობილმა ბევრმა ჩოგბურთელმა გამოთქვა თავისი მოსაზრება რუსის თამაშთან დაკავშირებით. გაბრიელა საბატინის თქმით, გაურკვეველია, საერთოდ სურს თუ არა რაიმეს მოგება კურნიკოვას. "მას სიამოვნებს, როცა მოვლენების ცენტრშია, მაგრამ ავიწყდება, რომ ჩოგბურთელია. ჩოგბურთელი რომ არ იყოს, ალბათ, ვერც მოიპოვებდა ასეთ წარმატებას. შოუ-ბიზნესში, ჩოგბურთისგან განსხვავებით, მასზე გაცილებით უკეთესი გარეგნობის ადამიანები მოღვაწეობენ", - აღნიშნავს არგენტინელი.

თავად ანას თქმით, არავითარი საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ მას არ სურს ტურნირის მოგება, არ არსებობს. თუმცა, ფაქტი ფაქტად რჩება და სპონსორებსაც დიდად არ ანაღვლებთ ის მიზეზები, რის გამოც კურნიკოვა წარმატებას ვერ აღწევს. უიმბლდონზე მორიგი მარცხის გამო ერთ-ერთმა სპონსორმა, ამერიკულმა კომპანიამ "G&G"-მ უკვე განაცხადა, რომ აღარ გააგრძელებს კონტრაქტს ჩოგბურთელთან.

დანიელა ჰანტუხოვა

REUTERS

ახალგაზრდული თამაშები

ზაზა დოლიძე: "მსაჯების არაობიექტურობამ მედლები დაგვაკარგვინა"

მიხეილ აბაიშვილი

ორი დღის წინათ მოსკოვში დასრულებულ ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს სპორტულმა დელეგაციამ 13 მედალი (5 "ოქრო", 4 "ვერცხლი" და 4 "ბრინჯაო") და საერთო ჩათვლაში IV ადგილი დაიკავა რუსეთის ფედერაციის, უკრაინის და ბელარუსის შემდეგ. ჩემპიონები გახდნენ სამბისტები ჯარჯი ფოთელაშვილი (68 კგ. წონითი კატეგორია), მიხეილ თურქაძე (მძიმე წონა); ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდაველები დათო გეგეშიძე (85 კგ.), ზურაბ ზარაშვილი (54 კგ.) და მოჭადრაკე ნანა ძაგნიძე.

მოსკოვის თამაშებზე საქართველოს დელეგაციის გამოსვლასთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილეს, თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის სამსახურის უფროსის მოადგილეს ზაზა დოლიძეს.

ზ.დ.: - წინა ასეთივე თამაშებზე, 1998 წელს, საქართველოს სპორტული დელეგაციის მიერ ნაჩვენებ შედეგებს თუ შევადარებთ, მედლების რაოდენობის მხრივაც და ხარისხობრივადაც წელს უკეთესი შედეგი გვაქვს. ასე რომ, უკმაყოფილოები არ უნდა ვიყოთ. 5 ოქროს მედალი არც ისე ცოტაა, მით უმეტეს, რომ რამდენიმე გუნდი არათუ ოქროს, საერთოდ, მედლის გარეშე დარჩა. თანაც, ისეთი გუნდები, რომლებმაც უამრავი ფული დახარჯეს სპორტსმენთა მომზადებაზე. მაგალითად, ტაჯიკეთმა, მხოლოდ ბოლო ერთ თვეში, მოსკოვის თამაშებზე გასამგზავრებლი ნორჩი სპორტსმენების მოსამზადებლად 1,5 მილიონი დოლარი დახარჯა. კრასნოდარის მხარეს მხოლოდ სათამაშო სახეობებში გუნდების გაყვანა 800 ათასი დოლარი დაუჯდა. ამ გუნდებმა ერთი მედალიც კი ვერ მოიპოვეს. საქართველოს წარგზავნილებმა კი, რომელთა მომზადებაზეც მხოლოდ 30 ათასი ლარი დაიხარჯა, 15 მედალი მოიპოვეს. სულ საქართველოს დელეგაციის მომზადებაზე, ეკიპირებასა და მგზავრობაზე 160 ათასი ლარი დაიხარჯა. ეს თანხაც არ გამოინახებოდა, თბილისის მერიის ხელმძღვანელობა რომ არ დაგვხმარებოდა, რისთვისაც ქართული სპორტული საზოგადოებრიობის მადლობა ეკუთვნით.

"24 საათი": ***- ამ თამაშებს ქართული დელეგაციისთვის სკანდალის გარეშე არ ჩაუვლია. რა მოხდა საქართველოსა და სანკტ-პეტერბურგის ვაჟ კალათბურთელთა შეხვედრის დროს?***

ზ.დ.: - საერთოდ, არ მიყვარს მსაჯებზე საუბარი, მაგრამ ამ თამაშებში ჩვენი დელეგაციისთვის მსაჯების არაობიექტურობას და აშკარა მიკერძოებას რომ ხელი არ შეეშალა, გაცილებით უკეთესი შედეგებით დავბრუნდებოდით. ამის გამო, სულ ცოტა, 4-5 მედალი დაგვაკლდა. რაც შეეხება კალათბურთთან დაკავშირებულ კონკრეტულ შემთხვევას, ჩვენი გუნდი ძალიან კარგად იყო მომზადებული და ტურნირის ფავორიტად ითვლებოდა. ქართველმა კალათბურთელებმა ნახევარფინალამდე ყველა შეხვედრა 25-30 ქულის სხვაობით მოიგეს. ნახევარფინალში მსაჯებს ნებისმიერ ეპიზოდში ქართველების საწინააღმდეგო გადაწყვეტილება გამოჰქონდათ. შეხვედრის დასრულებამდე 30 წამით ადრე, როდესაც ჩვენები 1 ქულას აგებდნენ და უტევდნენ, პეტერბურგელებმა უხეშად დაარღვიეს თამაშის წესი და მსაჯმა, იმის ნაცვლად, რომ ქართველებისთვის ორი საჯარიმო ტყორცნის უფლება მიეცა, პირიქით, ჩვენები დააჯარიმა. ვითარება რომ უკონტროლო არ გამხდარიყო, გუნდი თამაშიდან გამოვიყვანეთ. მესამე ადგილისთვის მატჩშიც აღარ ვაპირებდით მონაწილეობას, მაგრამ ორგანიზატორების მხრიდან დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ გუნდი ვათამაშეთ და დამაჯერებელი ანგარიშით, 25-ქულიანი სხვაობით დავამარცხეთ უკრაინელები.

მსაჯების მხრიდან ანალოგიური დამოკიდებულებით დაიჩაგრნენ ჩვენი ფეხბურთელებიც და ა.შ.

"24 საათი": - ***მსაჯების განწყობაზე ხომ არ იმოქმედა ბოლო დროს რუსეთ-საქართველოს შორის დაძაბულმა პოლიტიკურმა ვითარებამ?***

ზ.დ.: - ვფიქრობ, ეს არაფერ შუაშია. უბრალოდ, რუსებს უამრავი ფული ჰქონდათ დახარჯული ამ ტურნირისთვის მზადებაში და მათი სპორტის ხელმძღვანელები ადეკვატურ შედეგს ითხოვდნენ. პირველივე დღეს რუსთათვის მშობლიურ სახეობაში – სამბოში ჩვენმა გუნდმა 2 ოქროს და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. როდესაც მასპინძლებმა დაინახეს, რომ კონკურენტუნარიანი გუნდი გვყავდა, ასეთი მეთოდებით შეეცადნენ მედლებისთვის ბრძოლაში ქართველების ჩამოცილებას. სხვა მხრივ, ტურნირზე თბილი და მეგობრული ატმოსფერო სუფევდა.

"24 საათი": ***- მოსკოვის თამაშებმა თუ გამოავლინა ისეთი სპორტსმენები, რომლებიც, თქვენი აზრით, ახლო მომავალში უფროსების ასპარეზზეც მაღალ შედეგებს მიაღწევენ?***

ზ.დ.: - რამდენიმე ასეთი სპორტსმენი გამოჩნდა. მაგალითად, სამბოში მძიმეწონოსანმა მიხეილ თურქაძემ, რომელიც სულ 78 კილოს იწონის, ფინალში თავისზე გაცილებით ზორბა, 2-მეტრიანი რუსი გოლიათი სუფთად დაამარცხა. ტრადიციულად, კარგად გამოვიდნენ ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდაველებიც. მოჭადრაკე გოგონამ ნანა ძაგნიძემ მხოლოდ ერთი პარტია დაასრულა ფრედ. ყველა დანარჩენში გაიმარჯვა და ისე გახდა ჩემპიონი. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ვერცხლისმედალოსანი ბირთვის მკვრელი მამუკა ტუღუში. დიდი ხანია, საერთაშორისო მძლეოსნურ ასპარეზზე მაღალი შედეგი არ გვქონია და ეს ყმაწვილი სწორედ იმედის მომცემია.

NBA



ჯორდანის მორიგი ცდა

ლეგენდარული მაიკლ ჯორდანი ვარჯიშს იწყებს და მომდევნო სეზონში მოედანზე დასაბრუნებლად ემზადება. ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ექვსგზის ჩემპიონი საწვრთნელი პროცესის დაწყებას ივლისის პირველ რიცხვებში აპირებს. ჯორდანი კვლავ "ვაშინგტონ-ვიზარდის" მაისურას მოირგებს და ძირითად შემადგელობაში რიჩარდ ჰემილტონი უნდა შეცვალოს. ჯორდანი, რომელიც თანამედროვე კალათბურთის ლეგენდად იქცა, დიდ რისკზე მიდის - გასულ სეზონში მისი თამაში არცთუ ისე შთამბეჭდავი გამოდგა. ჯორდანი ხშირად აგებდა ორთაბრძოლებს მასზე ფიზიკურად უფრო ძლიერ ოპონენტებთან. არავინ იცის, რა მოხდება მომავალ სეზონში. ჯორდანის წინააღმდეგ ყველა, განსაკუთრებით ლიგაში გამოჩენილი ახალი თაობის კალათბურთელები, ორმაგი ენერგიითა და მონდომებით თამაშობენ.

"ვაშინგტონ-ვიზარდი" კი არ ელოდება ჯორდანის საბოლოო გადაწყვეტილებას და დრაფტზე ძლიერი თავდამსხმელის შეძენას აპირებს. ითამაშებს თუ არა ჯორდანი - ამ კითხვაზე საბოლოო პასუხს მოსამზადებელი პერიოდის დასრულების შემდეგ, ანუ სექტემბრის პირველ რიცხვებში შევიტყობთ.

FORMULA 1

სინსლისმსმელი კულტჰარდი

"მაკლარენ-მერსედესის" პილოტი დევიდ კულტჰარდი გამოტყდა, რომ ნიურბურგინგის ტრასამ მას იმედი არ გაუმართლა. როგორც ირკვევა, კულტჰარდს აქ გამარჯვების იმედი ჰქონდა. თუმცა, არა საკუთარი ოსტატობის, არამედ კონკურენტების - მონტოიასა და შუმახერის შეჯახების იმედით. "ისინი რომ შეჯახებულიყვნენ, ნამდვილად ბედნიერი ვიქნებოდი, - განაცხადა შოტლანდიელმა, - ეს ხომ რბოლის ნაწილია. მონტოიასა და შუმახერს შორის წელს რამდენიმე ინციდენტი მოხდა". როგორც დასრულებულმა გრან-პრიმ ცხადყო, კულტჰარდის იმედი არ გამართლდა. მონტოია და შუმახერი მშვიდობიანად მივიდნენ ფინიშთან, შოტლანდიელის იმიჯი კი ამ საჯარო განცხადების გამო ოდნავ შეილახა.

ბარიკელოს პოლიტიკური გამარჯვება

ნიურბურგინგის გრან-პრი "ფერარის" ბრაზილიელმა პილოტმა ბარიკელომ მოიგო. მეორე ადგილზე მისი თანაგუნდელი მიხაელ შუმახერი გავიდა. ბარიკელომ კარიერის მანძილზე მეორე გრან-პრი მოიგო, თუმცა, ეს, შესაძლოა, არც მომხდარიყო. საქმე ისაა, რომ ამჯერად საჯინიბოს ხელმძღვანელებმა ბარიკელოს მოქმედების თავისუფლება მისცეს. ანუ, არ გასცეს ბრძანება, რომ ბარიკელოს შუმახერი გაეტარებინა. ასე მოხდა ერთი თვის წინ. ავსტრიის გრან-პრის მოგება ბრაზილიელს შეეძლო, მაგრამ მან ფინიშთან ახლოს შუმახერს დაუთმო. ამ ფაქტს დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა - იტალიური საჯინიბოს დირექტორატი ყველა ბრალდებას უარყოფს. თუმცა, როს ბრაუნმა, მკვეთრად უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის მიუხედავად, სენსაციური განცხადება გააკეთა: "ეს დიდი, გუნდური თამაშია. თითოეული წევრი, მათ შორის ბარიკელოც, გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს." ამ სიტყვებით ბრაუნმა არ გამორიცხა, რომ ბარიკელო, საჭიროების შემთხვევაში, მომავალშიც დაუთმობს პირველ პილოტს. "ფერარის" პილოტების საქციელით განსაკუთრებით აღშფოთებულია "მაკლარენის" დირექტორი რონ დენისი. "მათ მაყურებლის წინაშე იაფფასიანი წარმოდგენა მოაწყვეს. ბარიკელოსა და შუმახერის საქციელი გაკიცხვის ღირსია. თუმცა, "ფერარის" ცოტა ხანში საერთაშორისო ფედერაციის კომისიისთვის მოუწევს ანგარიშის ჩაბარება." მოკლედ, სხვა საჯინიბოები თვლიან: ნიურბურგინგის გრან-პრი რომ ბარიკელომ მოიგო, ეს მხოლოდ პოლიტიკური ნაბიჯია და საერთაშორისო ფედერაციის გულის მოსაგებადაა ორგანიზებული. "ფერარის" სპორტულმა დირექტორმა ჟან ტოდტმა კი განაცხადა, რომ ეს სიცრუეა: "პილოტებს მხოლოდ ერთი დავალება მივეცით - ბოლომდე ებრძოლათ გამარჯვებისთვის. მეტი არაფერი. რაც შეეხება ფედერაციასთან შეხვედრას, არა მგონია, იქ რაიმე განსაკუთრებული პრობლემები შეიქმნას."

რუბენს ბარიკელო

REUTERS

"ბალაკს მთელმა გერმანიამ ქუდი უნდა მოუხადოს"



1/2 ფინალი გერმანია 1:0 კორეა



გოლები: *ბალაკი (75)*
მსაჯი: *ურს მაიერი (შვეიცარია)*
სტადიონი: *სეული*
63961 მაყურებელი

შვეიცარიელმა არბიტრმა ურს მაიერმა ოთხმოცდათოთხმეტწუთიანი დაძაბული ბრძოლის შემდეგ შვებით ჩაბერა სასტვენს და აზიური მუნდიალის პირველი ფინალისტიც გამოვლინდა. დასრულდა კონკიას საოცარი თავგადასავალი მეჯლისზე. სამი სენსაციის ავტორი, მუნდიალის აღმოჩენად მიჩნეული კორეის ნაკრები ფინალს მიღმა დარჩა. გერმანელები მასპინძელთა გუნდს ბოროტი ჯადოქრის როლში მოევლინენ და საფინალოდ გამზადებული კორეელები უცერემონიოდ გამოაგდეს მსოფლიო საფეხბურთო ზეიმიდან. ამაოდ ოცნებობდნენ კორეელები იოკოჰამაში წასვლაზე. მათ ნაცვლად ამ იაპონურ ქალაქში გერმანელები ჩავლენ და ბუნდესნაკრებს მეოთხე ტიტულის მოპოვებაში დაეხმარებიან. კორეული ოდისეა კი ამით დასრულდა.

თუმცა, არა, ჯერ ყველაფერი არ დასრულებულა. კორეელებს საბოლოო სიტყვა ჯერ არ უთქვამთ. მათ ხომ კიდევ ერთი შეხვედრა აქვთ წინ - მატჩი მესამე ადგილისთვის, რომელშიც მასპინძლები აუცილებლად შეეცდებიან, ბრინჯაოს მედლებით მაინც გაახარონ ნახევარფინალში განცდილი მარცხით გულდაწყვეტილი პუბლიკა.

გერმანელები კი ზეიმობენ. აღფრთოვანებას მოუცავს ბუნდესნაკრების გულშემატკივრები, ამაყად ფრიალებს შავ-წითელ-ოქროსფერი გერმანული დროშები. ყველა მთვრალია სიხარულისგან. დიდი ბედნიერებაა, როცა გუნდი ფინალში გადის და ორმაგად საზეიმოა, როცა ასეთ წარმატებას ათწლიანი პაუზის შემდეგ აღწევს. "იტალია 90"-ის შემდეგ ხომ გერმანიის ნაკრებს ფინალი აღარ უხილავს...

არადა, ვინ წარმოიდგენდა ფიოლერის გუნდის ასეთ ტრიუმფს? ჯგუფში ჩარჩებითო, თითქმის მთელი მსოფლიო უკიჟინებდა გერმანელებს და არავის სჯეროდა ფიოლერის ფიცის - ჩემი გუნდი ბევრს მიაღწევსო. აბა, ვინ დაუჯერებდა ჰერ ფიოლერს, როცა ფიფას რეიტინგს საფრანგეთი, არგენტინა და იტალია ლიდერობდნენ და უმთავრეს ფავორიტებადაც ისინი ითვლებოდნენ! სამივე ფავორიტი დიდი ხანია სახლშია და მუნდიალს ტელევიზორში უყურებს, გერმანელები კი მეოთხე ტიტულისთვის იბრძვიან.

ხარობენ ფეხბურთელები, მაგრამ ამ ზეიმს თან სევდაც ახლავს - მიხაელ ბალაკმა მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და ფინალში არ ითამაშებს. ყველას ეცოდება ატირებული ბალაკი - მან ხომ ამდენი იშრომა წარმატების მოსაპოვებლად! კორეელებს კანის კართან მიახლოების საშუალება არ მისცა და ყვითელი ბარათიც ამიტომ უჩვენეს. ამის მიუხედავად, მაინც არ გატყდა და გამარჯვების გოლი გაიტანა. ნაკრები ფინალში გაიყვანა, თავად კი მატჩს ტრიბუნიდან უნდა უყუროს... ბალაკი ნამდვილად მატჩის გმირია და მართალია რუდი ფიოლერი, როცა მთელ გერმანიას მოუწოდებს, ქუდი მოუხადონ ამ ახალგაზრდა კაცს - მან ხომ ნაკრების გულისთვის თავი გაწირა.

რუდი ფიოლერი *(გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): "მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს სიხარულს საზღვარი არა აქვს, წარმატება მაინც მოკრძალებულად აღვნიშნეთ. ჯერ ერთი, ბიჭები ძალიან დაღლილი იყვნენ ამ დაძაბული მატჩის შემდეგ და, მეორეც, ჩვენ ხომ ბალაკის გარეშე მოგვიწევს ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლა. ეს გუნდისთვის მართლაც უდიდესი დანაკლისია.*

ბალაკის გამო გული მტკივა. მან გუნდი გადაარჩინა. კორეელი ფეხბურთელი რომ არ შეეჩერებინა, ღმერთმა იცის, რა მოხდებოდა. ბალაკმა გუნდის ინტერესებისთვის უდიდესი მსხვერპლი გაიღო. ფინალში მისმა გოლმა გაგვიყვანა, თვითონ კი...

მატჩის შემდეგ მიხაელი იმდენად უნუგეშო იყო, რომ ბავშვივით ატირდა და ძლივს დავაწყნარეთ. ძალიან ვწუხვარ ამ ბიჭის გამო. პატივისცემის ნიშნად, მას მთელმა გერმანიამ ქუდი უნდა მოუხადოს."

ოლივერ კანი *(გერმანიის ნაკრების მეკარე): "კორეელების არ მეშინოდა, რადგან მათი ყველა მატჩის ვიდეოჩანაწერი ვნახე, საიდანაც კარგად ჩანდა, რომ ეს გუნდი თამაშს კი არ უმატებდა, არამედ უკლებდა. ამიტომაც დარწმუნებული ვიყავი, რომ, თუ ბოლომდე ვიბრძოლებდით, მათი დამარცხება არ გაგვიჭირდებოდა.*

ფინალში ვისთან ვითამაშებთ, ჩემთვის სულ ერთია. ერთი კი ცხადია: ამ მუნდიალზე იმდენი უცნაურობა ხდება, სულაც არ გამიკვირდება, თუ ბრაზილიის ნაცვლად თურქეთთან მოგვიწევს ურთიერთობის გარკვევა."

გუს ჰიდინკი *(სამხრეთ კორეის მთავარი მწვრთნელი): "გერმანიის ნაკრებს ჩვენზე მეტი გამოცდილება აქვს, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა. ჩემი ფეხბურთელები გერმანელებს ისე მოკრძალებით ეთამაშებოდნენ, თითქოს ერიდებოდათ მათი.*

ცოტა არ იყოს, იმედგაცრუებული ვარ. გამარჯვების მოპოვებაც შეგვეძლო, მაგრამ, ამავე დროს, ვამაყობ ჩემი ბიჭებით. ჩვენ მართლაც ბევრს მივაღწიეთ.

წაგების მიუხედავად, ალბათ, საბოდიშო არაფერი გვაქვს, ისედაც იმაზე შორს წავედით, ვიდრე წარმოვიდგენდით. მესამე ადგილისთვის ბრძოლაც ძალიან საინტერესო და დაძაბული იქნება. ჩვენ კვლავ კორეელი გულშემატკივრის თვალწინ ვითამაშებთ და მაქსიმალურად შევეცდებით ბრინჯაოს მედლების მოპოვებას".

ბუმ კუნ ჩა *(ცნობილი კორეელი ფეხბურთელი): "ჯერ კიდევ მუნდიალის დაწყებამდე ვამბობდი, რომ გერმანელები ჩემპიონები გახდებოდნენ. ვულოცავ რუდი ფიოლერს და ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას ვუსურვებ.*

კორეის ნაკრებმა საოცრად ითამაშა. დიდი მადლობა გუს ჰიდინკს! ასეთ კარგ შედეგს კორეის ნაკრები, ალბათ, უახლოესი ოცი წლის განმავლობაში ვეღარ მიაღწევს."

REUTERS

REUTERS

REUTERS

ვინ გახდება მსოფლიო ჩემპიონი კორეა-იაპონიაში?

ვინ გახდება მსოფლიოს ჩემპიონი კორეა-იაპონიაში? ვინ გაიმარჯვებს ნახევარფინალში: ბრაზილია თუ თურქეთი? როგორი ანგარიშით დასრულდება ნახევარფინალის ძირითადი დრო?

პასუხობენ თბილისელი გულშემატკივრები

სოციოლოგიურმა სამსახურმა "დიამ" 23-25 ივნისს სპეციალურად გაზეთ "24 საათისათვის" ჩაატარა თბილსელი გულშემატკივრების სატელეფონო გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 740-მა რესპოდენტმა

ვინ გაიმარჯვებს ნახევარფინალურ მატჩში ბრაზილია-თურქეთი?

ბრაზილია-81%
თურქეთი-19%

როგორ დასრულდება ბრაზილია-თურქეთი ძირითადი დრო?

გამოკითხულთა 35 პროცენტი	
ბრაზილია	თურქეთი
2	0

გამოკითხულთა 17 პროცენტი	
ბრაზილია	თურქეთი
1	0

გამოკითხულთა 14 პროცენტი	
ბრაზილია	თურქეთი
3	1

გამოკითხულთა 14 პროცენტი	
ბრაზილია	თურქეთი
2	1

გამოკითხულთა 7 პროცენტი	
ბრაზილია	თურქეთი
3	0

გამოკითხულთა 6 პროცენტი	
თურქეთი	ბრაზილია
1	0

გამოკითხულთა 2 პროცენტი	
თურქეთი	ბრაზილია
2	1

გამოკითხულთა 3 პროცენტი	
ბრაზილია	თურქეთი
1	1

გამოკითხულთა 2 პროცენტი	
ბრაზილია	თურქეთი
0	0

ტოტალიზატორი "კოვა"

ცოცხალი

ბრაზილია - თურქეთი				16:30
კოდი	ნომინაცია	1	X	2
500	ვინ დაიწყებს თამაშს	1.90		1.90
501	1 აუტი	1.90		1.90
502	1 კუთხური	1.60		1.90
503	1 შეცვლა	1.80		1.80
504	1 გოლი	1.40		2.20
505	1 გაფრთხილება	1.90		1.60
506	კუთხურების რაოდენობა	10და ნაკლ.- 1.90	ზუსტად 11- 3.50	12და მეტი- 1.90
507	ბარათების რაოდენობა	4და ნაკლ.- 1.80	ზუსტად 5- 3.00	6და მეტი- 2.00
508	რომელ წუთზე გავა 1 გოლი	(1-30)- 1.80		(31-90)- 1.70
509	გოლების რაოდენობა *	(0-1) 2.90	(2-3) 1.80	(4-6) 2.90
510	ვინ გაიტანს *	ორივე 1.70		ერთ-ერთი 1.80
511	რონალდო *	გაიტანს 2.20		ვერ გაიტანს 1.40
512	რივალდო *	გაიტანს 2.20		ვერ გაიტანს 1.40

ჯგუფური ცოცხალი				16:30
კოდი	ნომინაცია	1	X	2
515	კუთხურები 2 თამაშში	20და ნაკლ.- 1.90	ზუსტად 0- 0.00	22და მეტი- 1.90
516	ბარათები 2 თამაშში	9და ნაკლ.- 1.90	ზუსტად 0- 0.00	11და მეტი- 1.90
517	გოლები 2 თამაშში	4და ნაკლ.- 1.70	ზუსტად 0- 0.00	5და მეტი- 1.80

მსოფლიოს ჩემპიონატი 1/2 ფინალი

კოდი	თარიღი	დრო	წყვილი	1	X	2	1X	X2	12	2.5>	ბურთ	2.5<
011	26-06-2002	16:30	ბრაზილია-თურქეთი	1.50	3.30	6.50	1.03	2.19	1.22	1.80	2.5	1.70

გასვლა

კოდი	თარიღი	დრო	წყვილი	1	2
110	26-06-2002	16:30	ბრაზილია-თურქეთი	1.20	4.00

ტოტალიზატორი "ტოტო - 2000"

მსოფლიოს ჩემპიონატი 1/2 ფინალი

თარ.	დრო	კოდი	წყვილი	1	X	2	1X	12	X2	2,5მეტ	2,5ნაკ
26/06	16:30	007	ბრაზილია - თურქეთი	1.60	3.30	5.70	1.06	1.23	2.07	1.70	1.80

გასვლა

თარ.	დრო	კოდი	წყვილი	1	2
26/06	16:30	026	ბრაზილია - თურქეთი	1.20	4.00

ისტორია ბრაზილიისკენაა

სავარაუდო შემადგენლობები:

ბრაზილია: *მარკოსი, კაფუ, ლუსიო, როკე ჟუნიორი, რობერტო კარლოსი, ედმილსონი, ჟილბერტუ სილვა, კლებერსონი, ჟუნინიო, რივალდო, რონალდო*

თურქეთი: *რუშთუ, კორკმაზი, ფათიჰი, ალპაი, თუგაი, ემრე, ბასთურქი, ერგუნი, უმით დავალა, შაში, შუქური*

ჰაატა თოთაძე

მსოფლიო ჩემპიონატზე სამი მატჩი დარჩა და სამივე ძალიან მნიშვნელოვანი. აქედან ერთ-ერთი დღეს გაიმართება და მუნდიალის მეორე ფინალისტიც გაირკვევა. წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის შედეგების გათვალისწინებით, დღევანდელი მატჩის პროგნოზირება საკმაოდ ძნელია,თუმცა მივყვეთ ისტორიის ზოგიერთ ნიუანსს.

ფეხბურთის მოყვარულებს კარგად ემახსოვრებათ 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი. ტურნირის დაწყების წინ, გულშემატკივრები უმოწყალოდ აკრიტიკებდნენ ბრაზილიელთა იმდროინდელ მწვრთნელს, კარლოს ალბერტო პერეირას. უკმაყოფილება მრავალი მიზეზით იყო გამოწვეული. მწვრთნელს უწუნებდნენ სათამაშო ტაქტიკას, ფეხბურთელების შერჩევას. სხვათა შორის, ამას ქვეყანაში ყველაზე დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. მსოფლიო ჩემპიონი რომ არ გამხდარიყო, პარეირას არავინ აპატიებდა მუნდიალს მიღმა ედმუნდოს და ვალდოს დატოვებას. კიდევ უფრო მეტად აკრიტიკებდნენ სკოლარის. მას უწუნებდნენ ტაქტიკის ხშირად შეცვლას, გუნდის ზედმეტად გაევროპულობას და, რა თქმა უნდა, ფეხბურთელთა შერჩევის კრიტერიუმებს. ბრაზილიაში დღემდე ღრმად სწამთ, რომ სკოლარიმ დიდი შეცდომა დაუშვა, როცა უარი თქვა რომარიოზე. მეოთხედფინალში ინგლისის ნაკრებთან მოპოვებული გამარჯვების გამო სკოლარის ბრაზილიაში ყველაფერი აპატიეს, თუმცა, თუკი სამხრეთამერიკელები მეხუთეჯერ ვერ მოიპოვებენ საფეხბურთო სამყაროს მეფის ტიტულს, მაშინვე ყველაფერს გაახსენებენ და პასუხსაც მოთხოვენ.

სხვათა შორის, 1994 წელსაც ბრაზილიელთათვის ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრა (როგორც სპეციალისტებმა მონათლეს) მეოთხედფინალში შედგა, ჰოლანდიის ნაკრების წინააღმდეგ. იმდროინდელი მცირე ფინალი სამხრეთამერიკელთა გამარჯვებით დასრულდა და ბრაზილიაც მსოფლიო ჩემპიონი გახდა. წლეულსაც ინგლისთან მატჩი ყველამ მცირე ფინალად მონათლა და ბრაზილიამ, მისი მოგებით, ტურნირის უპირველესი ფავორიტის სახელი მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ ბრაზილიელებს მაშინაც და ახლაც ნახევარფინალში იმ გუნდთან უწევთ დაპირისპირება, რომელსაც ერთხელ უკვე შეხვდნენ ჯგუფურ ეტაპზე. ორ ჩემპიონატს, რომელთაც ერთმანეთისგან რვა წელი აშორებთ, ბევრი საერთო მოეძებნებათ. მაშინაც ნახევარფინალში ორი "დაუპატიჟებელი სტუმარი" მოხვდა – შვედეთი და ბულგარეთი. წლეულს კი, თურქეთი და სამხრეთ კორეაა.

მოკლედ, ყველა ისტორიული ფაქტი იმაზე მიანიშნებს, რომ ბრაზილიელებმა უნდა გადალახონ თურქული ბარიერი, თუმცა ყველა სპორტსმენმა იცის, თუ რაოდენ ძნელია ერთ ტურნირზე ერთი და იმავე მეტოქის ორჯერ დამარცხება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბრაზილიელებს არ ეყოლებათ დისკვალიფიცირებული რონალდინიო, მცირე ტრავმა აწუხებს რონალდოსაც.

რაც შეეხებათ თურქებს, ისინი სულ მეორედ ასპარეზობენ ასეთი სახის შეჯიბრში. თუმცა, თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, ისევე როგორც ყველას, ამ გუნდსაც გააჩნია. ბრაზილიელების მსგავსად, თურქებიც შემტევ ფეხბურთს ანიჭებენ უპირატესობას. ამ გუნდის ყველა რგოლი თითქმის თანაბარი ძალისაა, მაშინ როცა ბრაზილიელთა ფორვარდები მცველებზე გაცილებით უკეთ გამოიყურებიან. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ტურნირის განმავლობაში ამ გუნდმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა თამაში. თურქებს თავიანთი ძალა არაერთხელ დაუმტკიცებიათ, მაგრამ ბრაზილიელებს გაორმაგებული ენერგიით შეუტევენ. ამას თურქი ჰასან შაშის ნათქვამიც ადასტურებს: "ნახევარფინალში გასვლით ძალიან კმაყოფილი ვარ, მაგრამ ორმაგად კმაყოფილი, იმიტომ, რომ ბრაზილიასთან გველოდება შეხვედრა. ამჯერად, ნამდვილად დავუმტკიცებთ ჩვენს ძალას". თურქებისთვის მთავარი პრობლემა ჰაკან შუქურია. ეს უდავოდ ნიჭიერი და თურქული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა, მუნდიალზე თავისი შესაძლებლობის ნახევარსაც ვერ ავლენს. ყველა მატჩში თანაგუნდელებმა მას ორი-სამი საგოლე მომენტი შეუქმნეს, მაგრამ ფორვარდმა ვერც ერთხელ ვერ ივარგა. არადა, მწვრთნელი მას ჯიუტად აყენებს სასტარტო შემადგენლობაში. თურქული ფეხბურთის ცოცხალ ლეგენდას სათადარიგოთა სკამზე დასმას ვინ გაუბედავს. ეგეც და შენოლ გიუნეშის თქმისა არ იყოს, ერთხელ ტურნირზე აუცილებლად გამოიჩენს თავს და ის ერთხელ იქნებ, დღეს იყოს.



რონალდო
REUTERS

თურქები ხანგრძლივ "ბაირამზე" ოცნებობენ

ქახა ფაჩუაშვილი

როცა თურქებმა კორეა-იაპონიას მიაშურეს, მათ სათვალავში თითქმის არავინ აგდებდა. თვითონ თურქული დელეგაციაც აცხადებდა, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე თავისი ქვეყნის ღირსების დასაცავად მიდიოდა. ოღონდ ისე, რომ თურქულ ფეხბურთზე აუგი არავის წამოსცდენოდა.

თურქეთის ნაკრებმა საწადელს მიაღწია. გიუნეშის შეგირდებზე აუგს ვერავინ იტყვის, მაგრამ, თუ ქვეყნის ღირსების დაცვა ესოდენ შთამბეჭდავი გამოდგებოდა, ამას თურქებიც ვერ წარმოიდგენდნენ. სტამბულში "ბაირამი" მაშინ დაიწყო, როცა თურქეთის ნაკრები ჯგუფიდან გავიდა. გულშემატკივრებმა მთელი ევროპის მასშტაბით მოილხინეს. ბერლინში კარგა გვარიანი მუშტი-კრივიც კი გამართეს, მაგრამ უმთავრესი მოვლენები მაინც სტამბულში განვითარდა.

ქალაქი საზეიმო, წითელ ფერებში გამოეწყო. რესტორნები ხალხით აივსო. ქუჩები კი მოზეიმე გულშემატკივრებით. ასეთი სახალხო ზეიმი თურქეთში რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენის აღსანიშნავად ხდება ხოლმე. ტრადიცია შუა საუკუნეებიდან მომდინარეობს (ქართლის მეფე სვიმონ პირველის დატყვევების გამოც თურქებს ერთი კვირა უბაირამიათ).

წითელი ბაირაღებით მოფენილი აივნები, დროშების ფრიალი, გაწყობილი სუფრები და ალაჰის ქება-დიდება – თურქული ტრადიციის დამახასიათებელი ნიმუშია. **"თურქებს გვიყვარს ზეიმების მოწყობა,** – ამბობს აბდულა ბელოზოღლუ, - **მცირე მიზეზიც საკმარისია, რომ ხალხი ქუჩაში გამოვიდეს. გუნდმა კი ამხელა სიხარული გვაჩუქა. ეს ნამდვილად დიდ დაფასებას იმსახურებს. მუნდიალზე წასასვლელი ფული არ მაქვს და მინდა, ჩემი ნაკრების მიმართ პატივისცემა ასე მაინც გამოვხატო. ასეთი გიჟმაჟი ბაირამი მხოლოდ ერთხელ მახსოვს, როცა "გალათასარაიმ" უეფა-ს თასი აიღო".**

ეს ამბები თურქეთის ნაკრების მეოთხედფინალში გასვლას დაემთხვა. წარმოიდგინეთ, რა ხდებოდა სტამბულში, როცა გუნდი საუკეთესო ოთხეულში აღმოჩნდა. თურქებმა საკუთარ თავს გადააჭარბეს და ამით ქვეყანა სასიამოვნო შოკში ჩააგდეს. **"ხალხს სახლში აღარ ძინავს. ყველა ნახევარფინალის მოლოდინშია,"** – ამბობს ერთ-ერთი ადგილობრივი მკვიდრი, – **ჩემპიონატი თურქეთში რომ ტარდებოდეს, ვერ გეტყვით, ეს ყველაფერი რით დამთავრდებოდა".**

თურქებს ფინალში გასვლის იმედიც აქვთ. **"გუნდმა დაამტკიცა, რომ არავიზე ნაკლებად არ თამაშობს. პირველ მატჩში ბრაზილიას მსაჯი დაეხმარა. არ მგონია, ახლაც იგივე განმეორდეს. დასაჩაგრი უკვე დაიჩაგრა. ჩვენებმა იციან, ბრაზილიას როგორ მოუგონ. თურქეთი ფინალში გასვლას იმსახურებს,"** – ამბობენ თურქი გულშემატკივრები.

ბრაზილიასთან თამაშის გამო თურქეთი სპეციალურად ემზადება. 26 ივნისი დასვენების დღედ გამოცხადდა. ქუჩებში მობილიზებულია პოლიცია. დიდი სამზადისია თურქეთის ნაკრების ბანაკშიც. გუნდმა დახურული ვარჯიში ჩაატარა. ჟურნალისტები მხოლოდ 15 წუთით დაუშვეს. შენოლ გიუნეშის განცხადებით: **"ბრაზილიასთან ნახევარფინალური მატჩი ისე არ უნდა აღვიქვათ, როგორც პირველი მარცხისთვის შურისძიება. ჩვენ მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილე ყველა გუნდს პატივს ვცემთ. მათ შორის, ბრაზილიასაც, რომლის თამაშით წინა მსოფლიო ჩემპიონატებზე აღფრთოვანებული ვიყავით. რაც შეეხება თავდასხმას, ჯერ ვერ გეტყვით, ძირითად შემადგენლობაში ვინ ითამაშებს. შუქური უკვე დიდი ხანია გუნდის ლიდერი და კაპიტანია. ილხანმა კი მეოთხედფინალში "ოქროს გოლი" გაიტანა. შეიძლება ორი ფორვარდით ვითამაშოთ".**

თურქეთის ნაკრების უკლებლივ ყველა ფეხბურთელი კი გამარჯვების შემთხვევაში თავის გადაპარსვას აპირებს.

თურქები "ბაირამობენ"
REUTERS

დაიჯესტი

ანი "პერუჯაში" რჩება

ცოტა ხნის წინათ მთელი საფეხბურთო სამყარო გააოგნა "პერუჯას" პრეზიდენტის ლუჩანო გაუჩის ემოციურმა განცხადებამ იმის შესახებ, რომ "მოღალატე" ანი მის კლუბში აღარ დაბრუნდებოდა. კორეელი ფეხბურთელის ერთადერთი დანაშაული ის იყო, რომ მან იტალია-კორეის მერვედფინალურ მატჩში "ოქროს გოლი" გაიტანა და "სკუადრა აძურა" მუნდიალიდან გამოაგდო. ლუჩანო გაუჩი აცხადებდა, რომ აღარ სურდა ფულის გადახდა იმ ფეხბურთელისთვის, რომელიც იტალიის ნაკრების ფიასკოს მიზეზი გახდა. თვალცრემლიანი ანი კი იხვეწებოდა, ნუ გამაგდებთ, იტალია ძალიან მიყვარსო.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ გაუჩი და ანი შერიგდნენ. "პერუჯას" პრეზიდენტსა და ფეხბურთელს შორის შედგა სატელეფონო საუბარი, რომლის დროსაც ყველაფერი გაირკვა. გაუჩიმ აღიარა, რომ გრძნობებს აჰყვა და ანი უსამართლოდ დაადანაშაულა. შესაძლოა, გაუჩიზე იმანაც იმოქმედა, რომ მადრიდის "ატლეტიკოს" პრეზიდენტმა ხესუს ხილმა მაშინვე გამოთქვა ანის შეძენის სურვილი, როგორც კი გაიგო, რომ კორეელ ფეხბურთელს "პერუჯაში" კონტრაქტს აღარ უგრძელებდნენ. ასეა თუ ისე, ანი ისევ უმბრიულ კლუბში რჩება და მუნდიალის შემდეგ ინტერტოტოს თასზე და სერია ა-ში შეეცდება თავის გამოჩენას.

"ან ნესტა, ან არავინ!"

კატეგორიულად აცხადებს მილანის "ინტერის" არგენტინელი თავკაცი ჰექტორ რაულ კუპერი, რომელსაც იმდენად მოსწონს "ლაციოს" ექსკაპიტანი, რომ თავგამოდებით ცდილობს, დაარწმუნოს კლუბის პრეზიდენტი მასიმო მორატი, ებრძოლოს "იუვენტუსს" იტალიის საუკეთესო მცველის გადასაბირებლად.

"ნესტა საოცარი მცველია და "ინტერს" ძალიან სჭირდება. ან ნესტას შევიძენთ, ან - არავის და ახალი ცენტრალური მცველის გარეშე გავაგრძელებთ "სკუდეტოსთვის" ბრძოლას", - ამბობს კუპერი.

ვიკინგი "მილანში"?

მას შემდეგ, რაც "ლიდს იუნაიტედის" ახალგაზრდა მცველმა რიო ფერდინადმა საბოლოო უარი განაცხადა "მილანში" გადასვალზე, ბერლუსკონის კლუბი პრემიერლიგაში მოთამაშე სხვა ფეხბურთელით დაინტერესედა. საქმე ეხება "ასტონ ვილას" შვედ მცველ ოლაფ მელბერგს, რომელმაც მილანელებს მუნდიალზე კარგი თამაშით მოაწონა თავი.

მიუხედავად იმისა, რომ მერვედფინალიდან გამოვარდა, შვდეთის ნაკრებმა დასამახსოვრებლად ითამაშა მსოფლიო ჩემპიონატზე. მელბერგი ერთ-ერთი საუკეთესო იყო თავის გუნდში და შემთხვევითი არაა, რომ "მილანს" მისი შეძენის სურვილი გაუჩნდა.

საგულისხმოა ერთი უცნაური ფაქტი: მიუხედავად იმისა, რომ შვედი ფეხბურთელის სიმაღლე 186 სანტიმეტრია, მას არასოდეს უცდია გოლის თავით გატანა.

თურქი "კიევოში"?

თურქი ფორვარდი მანსიჟ ილჰანი არა მარტო სამშობლოს გადამრჩენელია, არამედ უკვე უცხოური კლუბების სასურველი კანდიდატიც გახდა.

სანამ სენეგალს ნახევარფინალში "ოქროს გოლს" გაუტანდა, 26 წლის ფორვარდი მსოფლიოში ნაკლებად იყო ნცობილი. ახლა კი მისი შეძენით ევროპის წამყვანი კლუბები დაინტერესდნენ. მათ შორისაა სერია ა-ს "კონკია" "კიევო", რომელიც სრულიად უცნობი ფეხბურთელებით ჯერ სერია ბ-დან უმაღლეს ლიგაში გადავიდა, შემდეგ კი სეზონი მეხუთე ადგილით დაასრულა.

ილჰანი ამჟამად თამაშობს "ბეშიქთაშში", რომლის ბიუჯეტიც, ალბათ, მნიშვნელოვნად გამდიდრდება, თუ იტალიელები ახალგაზრდა ფორვარდს შეიძენენ.

რონალდინიო არ იყიდება

ფრანგული "პარი სენ ჟერმენი" ჯერჯერობით ცივ უარს აცხადებს ახალგაზრდა ბრაზილიელი ფორვარდის რონალდინიო გაუჩოს გაყიდვაზე. რონალდინიოს შეძენა მუნდიალამდეც ბევრს უნდოდა, მაგრამ ჩემპიონატზე ნაჩვენები მშვენიერი თამაშის მერე ბრაზილიელის აქციებმა შესამჩნევად მოიმატა.

რონალდინიო აცხადებს, რომ იტალიურს სწავლობს და ძალიან უნდა, მილანის "ინტერში" გააგრძელოს კარიერა. ფრანგები კი ბრაზილიელის გაშვებას არ აპირებენ და გადაჭრით ამბობენ, რომ რონალდინიო არ იყიდება. ვნახოთ, როდემდე გაუძლებს არცთუ ისე მდიდარი "პარი სენ ჟერმენი" "ინტერის" პრეზიდენტის მასიმო მორატის მაცდუნებელ წინადადებებს.

ბრაზილიელებს კოლინა არ უნდათ?

მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ მუნდიალის ფინალს იტალიელი არბიტრი პიერ ლუიჯი კოლინა იმსაჯებდა, სპორტულ პრესაში ხმა დაირხა, რომ ბრაზილიის ნაკრები კოლინას კანდიდატურის წინააღმდეგია, რადგან იტალიელ მსაჯს, გერმანიის ნაკრების მსგავსად, კონტრაქტი აქვს გაფორმებული "ადიდასთან", ბარზილიელებს კი – "ნაიკთან".

ეს ჭორები ბრაზილიელებს უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ. ბრაზილიური დელეგაციის წარმომადგენელმა როდრიგო პავიამ განაცხადა, რომ ფეხბურთელები მთლიანად ნახევარფინალურ მატჩზე არიან გადართული და ფინალზე ჯერ არ ფიქრობენ. "კოლინას საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, ის ძალიან კარგი მსაჯია. გარდა ამისა, ჩვენ ჯერ ფინალზე ვერ ვილაპარაკებთ, რადგან წინ ნახევარფინალური მატჩია და სულაც არა გვაქვს გარანტია, რომ ფინალში გავალთ", - ამბობს პავია.

სკანდალური ტოფტინგი

დანიის ნაკრებისა და ინგლისური "ბოლტონის" ნახევარმცველი სტიგ ტოფტინგი, ასაკის მიუხედავად, მაინც სკანდალურ და მოუთოკავ პიროვნებად რჩება.

ამჯერად ტოფტინგმა კოპენჰაგენის ცენტრში მდებარე კაფე "კეჩუბში" ისე იჩხუბა, რომ ერთი საწყალი დანიელი თვალჩალურჯებული და თავგატეხილი წაიყვანეს საავადმყოფოში.

მოჩხუბარი ფეხბურთელი პოლიციამ დააკავა და ერთი ღამით კარცერში ჩასვა. მეორე დღეს ტოფტინგს პირობა დაადებინეს, რომ ცუდად აღარ მოიქცეოდა და გაუშვეს.

"პერუჯას" ინამოტო მოსწონს

უმბრიელებს, როგორც ჩანს, კორეელი ანი აღარ აკმაყოფილებთ და ახლა იაპონელის ყიდვას აპირებენ. იუნიჩი ინამოტო, რომელმაც მუნდიალზე ორი გოლი გაიტანა, შესაძლოა, მომავალი სეზონიდან იტალიაში გადავიდეს.

ფეხბურთელი იაპონურ კლუბ "გამბა ოსაკას" ეკუთვნის. გასულ სეზონში ლონდონის "არსენალში" ირიცხებოდა, მაგრამ არსენ ვენგერმა პრემიერლიგაში თამაში არ აღირსა. ლონდონელებმა განაცხადეს, რომ ინამოტო აღარ სჭირდებათ. ასე რომ, მას შეუძლია, სხვა კლუბში მოსინჯოს ძალები.

ინამოტოს გადაბირება სურს ჰოლანდიურ "ფეიენოორდსაც", მაგრამ იტალიელები უფრო აქტიურობენ და, მოსალოდნელია, რომ იაპონელი ნახევარმცველი ლონდონიდან "პერუჯაში" აღმოჩნდეს.

ბაჯო ტრაპატონიზეა დამოკიდებული

იტალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ უამრავ ფანს დასწყვიტა გული, როცა უარი თქვა ნაკრებში რობერტო ბაჯოს აყვანაზე. ამის მიუხედავად, ბაჯოს იმედი აქვს, რომ "ტრაპი" მას ევროპის ჩემპიონატზე მაინც წაიყვანს. სწორედ ამის გამო ფეხბურთელს ვერ გადაუწყვეტია, წავიდეს თუ არა იტალიიდან.

ბაჯოს გადაბირების სურვილით ყველაზე მეტად შეპყრობილია ლონდონის "ჩელსი", რომელსაც იტალიელი მთავარი მწვრთნელი და რამდენიმე იტალიელი ფეხბურთელი ჰყავს. ბაჯოთი არიან დაინტერესებული ასევე "ინტერი" და "ბოლონია". სავარაუდოდ, ბაჯო არ წავა ინგლისში, რადგან თუ ის იტალიაში არ ითამაშებს, ნაკრებში მოხვედრის შანსი, უბრალოდ, არ ექნება.

მზიური - ძველი და ახალი

ხვალ ახალგაზრდული ხელოვნების ფესტივალი გაიხსნება

ფესტივალი "მზიური". 2001

მადი სერებრიაკოვა

უკვე მესამე წელია, ზაფხულის დასაწყისში მზიურის პარკი 2-3 დღით ქალაქის ყველაზე დემოკრატიულ ადგილად იქცევა ხოლმე. ახალგაზრდული ხელოვნების ფესტივალი "მზიური" ყველა ასაკის, პროფესიისა თუ სოციალური მდგომარეობის თბილისელსა და ქალაქის სტუმარს მაგნიტივით იზიდავს. ხალხმრავლობა და აურზაური მზიურში დილიდან საღამომდე, კონცერტების, კინოჩვენებებისა თუ ლიტერატურული აქციების ფონზე მიმდინარეობს. ხვალ ფესტივალი კიდევ ერთხელ - უკვე მესამედ აიღებს სტარტს. ორგანიზატორთა ჯგუფი, ქართველი პროდიუსერის - ბენჯის ხელმძღვანელობით, მზიურის პარკის განაპირას მდებარე სამშენებლო ობიექტებს შორის მოკალათებული დაგვხვდა. თუმცა უზრუნველი ცხოვრებისთვის იქ ცოტას თუ ეცალა.

თბილისის რესპექტაბელურად განაშენიანების ფონზე, რომელიც მზიურსაც შეეხო და თანდათან შეავიწროვა პარკის ტერიტორია - ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტი განსაკუთრებით კომიკურად გამოიყურებოდა. თუმცა, თავად ფესტივალიც არ ეწერება მაინცდამაინც ქართული კულტურის "მოპირკეთების" სტრატეგიებში. "მზიური" - ნაკლებად ანგაჟირებულ, თავისუფალ ხელოვანთა თავშესაყარი - არაკომერციული ღონისძიებაა და მის ფარგლებში გამართულ ყველა ღონისძიებას უფასოდ ესწრება მსმენელი და მაყურებელი. ეს რაღაც თბილისური ვუდსტოკის მსგავსია - ცხადია, შესაბამის მასშტაბში.

შეიძლება ამის ბრალია, რომ არაკომერციული ღონისძიებების საორგანიზაციო მინიმალურ თანხებსაც ორგანიზატორები დიდი წვალების ფასად მოიპოვებენ. ნაჩუქარ ცხენს კბილს არ უსინჯავენო - და ზოგიერთის თუნდაც გულწრფელი დახმარება კომიკურ სიტუაციებამდეც მიდის. ასე მაგალითად, შარშანწინ, ამავე ჯგუფის მიერ ორგანიზებული ფესტივალის "მატარებელი" პლაკატები მათ ფესტივალის დამთავრებიდან ორი თვის თავზე (!) მიიღეს. წელს ახალგაზრდული ხელოვნების ფესტივალის დასპონსორება ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურმა, "ყაზბეგმა", "სანტემ", "მიფასიმ" და ნოდარ დუმბაძის სახელობის საერთაშორისო ფონდმა ითავეს. თუმცა ფესტივალის დაწყებიდან ორი დღით ადრეც გაურკვეველია, ვინ რა კონკრეტულ წვლილს შეიტანს ახალგაზრდული ხელოვნების განვითარებაში.

მიუხედავად ყველა სიძნელისა, ფესტივალს ჩაშლა მაინც აღარ ემუქრება: საორგანიზაციო შტაბის შესასვლელში უკვე დილიდან საღამომდე "აბირჟავებენ" საკონცერტოდ განწყობილი მუსიკოსები. კინოჩვენებებისთვის ემზადებიან ადგილობრივი თუ ლოს-ანჯელესელი რეჟისორები. "ქუჩის მხატვრების" აქციის მოსაწყობად კი არტ-"ტუსოვკაში" კარგად ცნობილი მასხარა (გიორგი მასხარაშვილი იქნებ "ძილის წინ"-იდან მაინც გეცნოთ) დარბის საღებავების მოსამარაგებლად.

შარშანდელი ფესტივალი კარგად მახსოვს - გავერთეთ. თუმცა, აქაოდა მიკროფონი ჩავიგდეთ ხელშიო - ალაგ-ალაგ ზედმეტსაც "ახურებდნენ" ზოგიერთები. წელს კონცერტის კულტურა უფრო დავხვეწეთო, - აღნიშნავს ბენჯი. ჯგუფები უფრო შეზღუდული რაოდენობით გამოვლენ და მათი რეპერტუარიც მეტად გაკონტროლდება. ბოლო დღეს კი გალა-კონცერტი გაიმართება, რომელშიც საუკეთესონი მიიღებენ მონაწილეობას. მონაწილეებს რაც შეეხება, განაწყენებული ალბათ არავინ დარჩება: თანამედროვე ნაკლებადკომერციულ მუსიკას თითქმის სრულად წარმოადგენენ ფოლკ-ტრადიციებში ჩაღრმავებული soft eject, ალტერნატიული ბაკურ ბურდული, მძიმეზე მძიმე "მძიმე ჯვარი", ქუთაისური პანკის ლიდერი "აუტსაიდერი" და სხვა მრავალი. ფესტივალის საიტზე ჩამოთვლილ ჯგუფებს შორის არ ჩანან 33ა, ზუმბა და "ინსაითი" - არადა, თავიდან ძირითადად სწორედ მათზე იდგა ფესტივალი. თუმცა გამომსვლელთა ზუსტი სია ჯერაც არ არის გადაწყვეტილი და ადგილობრივი შემსრულებლები კი არა, ფესტივალის მსვლელობისას ბაქოური ჯგუფების შემოერთებაცაა მოსალოდნელი. რაც მთავარია, ტრადიციულად "ცოცხალი" კონცერტის გახმოვანების ხარისხზე ამჯერადაც რუსი კოლეგები იზრუნებენ (წინა კონცერტიც საკმაოდ ხარისხიანი გამოდგა ხმის რუსი რეჟისორის დამსახურებით). ასე რომ, "გენა, რას, რას, რას...სრედნები..." წესით არ უნდა გაისმას ყოველი სიმღერის შემდეგ.

ამბობენ, უფრო ორგანიზებული იქნება ლიტერატურული ნაწილიო. "თავისუფალი პოეტების" გარდა აქ უკვე უშუალოდ საგამომცემლო სახლები ჩაერთვებიან და თავად მოაწყობენ საკუთარი წიგნებისა და ავტორების პრეზენტაციას. კინოს არეალიც გაფართოვდა - თბილისისა და რეგიონების გარდა (ბათუში, თელავი, ქუთაისი...), ფილმები შორეული ლოს-ანჯელესიდანაც გამოგვიგზავნეს ახალგაზრდა ქართველმა ემიგრანტებმა და ამერიკელმა სიძეებმა. დაწვრილებით ამ ყველაფერს ხვალიდან გავეცნობით. ხოლო, გული თუ არ გითმენს, საყოველთაო სეირნობა შეიძლება ამ საღამოსვე დაიწყო, იქნებ სადმე სამზადისში გართულ ქართველ "როკ-ვარსკვლავებსაც" გადაეყარო და ავტოგრაფი მოიპოვო - რა იცი, რაში გამოდაგეს.

სამყარო სარდაფში და ჩვენს ირგვლივ

გამოფენაში პროფესიონალებიც მონაწილეობენ

ზინა ბარნოვის ფოტო

თამარ სუხიშვილი

კლუბ "სარდაფში" გამართული ფოტოგამოფენა რამდენიმე თვალსაზრისით იყო საინტერესო. პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ ნამდვილად კარგი გამოფენა გამოვიდა. მეორე – ამ გამოფენამ დაგვანახა, რომ სამოქალაქო საზოგადოება განყენებულად არ არსებობს, რომ მესამე სექტორის პრობლემები ჩვენი ყოველდღიური პრობლემებიცაა. გამოფენამ ოცამდე ფოტოგრაფის ნამუშევრებს მოუყარა თავი (გამოფენის ორგანიზატორებმა არცკი იცოდნენ, ამდენი ფოტო სად დაეკიდათ). ფოტოგრაფებს საშუალება მიეცათ ერთმანეთს შეხვედროდნენ, აზრები გაეზიარებინათ. დამთვალიერებელს კი შესაძლებლობა ჰქონდა, შეედარებინა პროფესიონალთა და მოყვარულთა ფოტონამუშევრები.

ფოტოგამოფენა "სამყარო ჩვენს ირგვლივ" ფონდ "ჰორიზონტის" კამპანიის ფარგლებში მოეწყო. "გვინდოდა ხალხს გაეგო, რომ სამოქალაქო საზოგადოების არსებობა ჩვენში აბსტრაქტული ფრაზებითა და ლოზუნგებით არ შემოიფარგლება, სამოქალაქო ცხოვრება ჩვეულებრივი ადამიანური ცხოვრებაა. აქ წარმოდგენილი თითოეული სურათიც ასახავს ადამიანის სიხარულს, ტკივილს, პრობლემებს..." – გვეუბნება გამოფენის ორგანიზატორი, ქალბატონი მანანა დუმბაძე, რომელიც დარწმუნებულია, რომ ასეთი აქციები პროპაგანდაზე უფრო შედეგიანია; თუნდაც იმიტომ, რომ ამ სექტორის მიმართ ხალხის უნდობლობას გაფანტავს.

"სამყარო ჩვენს ირგვლივ" "ჰორიზონტის" მიერ მოწყობილი პირველი ფოტოგამოფენაა, თუმცა კულტურული ღონისძიებებით ფონდი უკვე მეორე წელია, რაც დაინტერესდა. ფონდის წარმომადგენლებმა ჯერ გადაწყვიტეს, არასამთავრობო სექტორში დასაქმებული ფოტომოყვარულების ნამუშევრები გამოეფინათ, მაგრამ ამის შესახებ გაზეთებში განცხადება რომ გააკეთეს, მსურველი სხვაც ბევრი აღმოჩნდა. ასე რომ, ფოტომოყვარულებს პროფესიონალებიც შეუერთდნენ და გამოფენის პროფესიონალიზმიც ერთი-ორად გაიზარდა.

მნახველი აუცილებლად მიაქცევს ყურადღებას იმას, რომ გამოფენაზე წარმოდგენილ სურათებზე სოციალურ თემატიკასთან ერთად ბუნების თემატიკაც ჭარბობს. უნდა ითქვას ისიც, რომ დასავლურ ფოტო თუ სარეკლამო ხელოვნებაში ბუნება აუცილებელი კომპონენტია და, თუ ბუნებასთან სიახლოვის, ბუნებასთან ერთიანობის ტრადიცია ჩვენს ყოველდღიურობაშიც დამკვიდრდება, ძალიან კარგია (მარტო ვაჟას მოთხრობებზე მითითება ბევრს ვერაფერს გვარგებს, ბუნებასთან ერთიანობის გარეშე ადამიანი მთლიანი ვერ იქნება).

24 ივნისს კლუბ "სარდაფში" ბევრი საინტერესო ფოტო გამოიფინა: დავით გუგუშვილის ავანგარდული ნატურმორტები - მაგალითად, სუფრა სამი ჰალსტუხით და სამი ვისკიანი ჭიქით, კახა ჯანიაშვილის მოხუცის პორტრეტი, ზინა ბარნოვის სამხედრო სვლის ამსახველი შავ-თეთრი ფოტო, სალომე ცხადაძის თოვლში დაფლული მანქანები... ყველას ჩამოთვლას ნამდვილად ვერ მოვახერხებთ.

პირადად ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდლება მოახდინა იასონ ბადრიძის ფოტომ: ყანჩას პირით თევზი უჭირავს და ემზადება მის შესაჭმელად (თუმცა ფრინველი შეიძლება სულაც არ არის ყანჩა და თევზიც თევზი კი არა, ბაყაყია – ესეც ბუნებისგან გაუცხოების ერთი ნიშანი). მტაცებელი და მსხვერპლი ("მაინც კი ლამაზი არის...") – ეს არის ბუნების კანონი და ამიტომ ბოროტებად არ აღიქმება. ასეთი სურათი მნახველს აგრძნობინებს, რომ ბუნების ეს მთლიანობა არ უნდა დაირღვეს...

ფოტოგამოფენის საფუძველზე უახლოეს ხანებში კატალოგი მომზადდება.

პანტომიმის თეატრში პრემიერამ წარმატებით ჩაიარა

მედია-ნიუსი. თბილისის პანტომიმის თეატრში სპექტაკლის - „კონტრასტები“ საპრემიერო ჩვენება გაიმართა. სპექტაკლი დაახლოებით ორი თვის წინათ რეჟისორმა გიორგი უსუფაშვილმა დადგა. სცენარის ავტორია ამირან შალიკაშვილი, რომელმაც სცენარში რამდენიმე ნოველა გააერთიანა. სპექტაკლში მონაწილეობენ პანტომიმის თეატრის მსახიობები: ბუბა ბასიშვილი, ეკა ბეროშვილი, გიორგი ოსეფაშვილი და სხვები.

სპექტაკლის პრემიერა, რომელიც ორი დღეა გრძელდება, წარმატებით მიმდინარეობს. თეატრის რეჟისორის, ამირან შალიკაშვილის თქმით, თეატრის სეზონი 19 ივლისამდე გაგრძელდება, 23 ივლისს კი პანტომიმის თეატრი ბორჯომში, მუსიკალურ ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრება. თეატრის დასი ბორჯომში ამირან შალიკაშვილის „კრიმანჭულს“ წარმოადგენს.

30 ივნისი (21.00) - ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი
„მაბთი-GSM“ წარმოგიდგენთ:
21.00 სთ - „მწვანე ოთახი“ (საქართველო)
21.40 სთ - ტანია მარია და „ვივა ბრაზილ კვარტეტი“ (ბრაზილია)

2 ივლისი (21.00) - ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი
„GMT-ტბეფი“ წარმოგიდგენთ:
ბობ მინცერი და თბილისის ბიგ-ბენდი (აშშ-საქართველო)
აშშ-ის საელჩოსა და გადამხდელთა კავშირის მხარდაჭერით

3 ივლისი (21.00) - ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი
„ლუკოილი“ წარმოგიდგენთ
ელ ჯერო და ბენდი (აშშ)

3 ივლისი (21.00) კლუბი „ჯოი“
„რუსთავსეგმენტი“ წარმოგიდგენთ
ქაბუკა ამირანაშვილის ბენდი (აშშ)
ბობ მინცერის კვარტეტი (აშშ)

4 ივლისი (21.00) კლუბი „ჯოი“
„ნესკაფე“ წარმოგიდგენთ
იბორ ბრილი და მარია ბარათაშვილი (რუსეთი, საქართველო)
22.00 დენის ოლლინგზის „ბედბოუნ ენდ კომპანი“ (დიდი ბრიტანეთი)

5 ივლისი (21.00) - კლუბი „ჯოი“
„კენტი“ წარმოგიდგენთ
ჯაზ-კვარტეტი (სომხეთი) ქაბუკა ამირანაშვილის ბენდი (საქართველო)
ალფრედ „ჰი ჰი“ ელისის ანსამბლი (აშშ)

თბილისის 30-6 საერთაშორისო
jazz
ჯაზ - ფესტივალის პროგრამა

კროსვორდები





თარაზულად: 1. მსოფლიო მოსახლეობის დაახლოებით მეხუთედი აქ ცხოვრობს; 4. არის სუკ-ის, არის სარეკლამო; 7. მის ფეხზე მთელი მომავალი წელია დამოკიდებული; 8. ბარიერი ვაჭარსა და მოვაჭრეს შორის; 9. მისუსტებული ქარი; 10. ტვინი მასაც აქვს; 12. თეთრი ხიდიდან თუ გადახტებით, იქ აღმოჩნდებით; 13. თან ნალებს ჭედავს, თან ფეხზე აკრავს; 14. დუეტს, რომ მესამე ხმაც დაემატება; 15. ღვინის საცავი; 17. მსახიობი დიდი ვერაფერი, პოლიტიკოსი კი მაგარი გამოვიდა; 19. უღონოს სინონიმი; 20. ეს სამთავიანი ძაღლი ჯოჯოხეთში ყველას უშვებდა, იქიდან არავის; 22. ნარკომანმაც იცის თავისი ...; 23. ამ ფრინველებს ახალი წელი საშინლად სძულთ.

შვეულად: 1. ისინი სვამენ ცივ ჩაის; 2. აქ ცხოველები უშიშრად გრძნობენ თავს; 3. თბილისის "დინამოელებსაც" მკურნალობდა და სუვენირებსაც აგროვებდა; 5. კახელების საყვარელი დაწნული ჭურჭელი; 6. კომუნისტური ტელევიზია მათ მოსაძებნად სპეციალურ გადაცემებს აწყობდა; 9. "აუტსაიდერი" ნოტი; 11. ეს ქალაქი წელიწადის დიდი ნაწილი ნისლით არის შენიღბული; 14. ის თუ არა აქვს, ჩაქუჩს ვერ იხმარ; 16. ეს სნეულება ვინმეს, რომ არ სჭირდეს, ის არის გასაკვირი; 17. სოციალისტების გარდა ვერავინ მიხვდა, რომ ის ჩვენი მეზობელია; 18. ყველაზე საღონური საკრავი; 20. ძროხას ჯიქანზე აქვს; 21. გუგულს სხვისი უყვარს.



სუპერმოდელი კოსმოსში

სინდი კროუფორდი და ლენს ბასი REUTERS

სინდი კროუფორდი კოსმოსით დაინტერესებულ მილიარდერებს უერთდება. რამდენიმე ხნის წინ მან ჟურნალისტებს განუცხადა: "დიდი სიამოვნებით წავიდოდი კოსმოსში, ერთ კვირაში უკან დაბრუნება რომ შეიძლებოდეს". საერთოდ კოსმოსის თემა კროუფორდისთვის მას შემდეგ გახდა აქტუალური, რაც გაფრენა ჯგუფ N sync-ის წევრმა ლენს ბასმა მოინდომა. მან ადგილი რუსულ ხომალდზე დაიბევა, საერთაშორისო კომოსური სადგურის ახალმა ხელმძღვანელმა კი იხუმრა, რომ ლანსის ნაცვლად ხომალდზე სინდი კროუფორდს უფრო დიდი სიამოვნებით იხილავდა. სუპერმოდელმაც გაფრენის სურვილი ამის შემდეგ გამოთქვა. თუმცა, გაფრენამდე, არ არის გამორიცხული, რომ კროუფორდმა ფასდაკლება მოითხოვოს, რადგან კოსმოსის დათვალიერება საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. ლენს ბასამდე კოსმოსში ამერიკელი მლიონერი დენის ტიტო გაფრინდა, ახლახან, აპრილში კი – მარკ შატლვორთიც.

შრიოდერმა რომაული არდადეგები გერმანულზე გაცვალა

სამხრეთ ევროპულ კურორტებზე დამსვენებლების სიმცირე შეინიშნება. ამის მიზეზი გერმანელი ტურისტების არჩევანია - მათ ეგზოტიკურ კურორტებზე დასვენებას, შინ დარჩენა და ჯანსაღ გერმანულ ფერმებში დროის გატარება ურჩევნიათ. მართლაც, მოგზაურობის მსურველი გერმანელების რიცხვმა ბოლო ხანს 40 პროცენტამდე დაიკლო. ამას ევროს შემოღებით და ტერორიზმის საფრთხით ხსნიან. ტურიზმის გერმანული ასოციაციის ხელმძღვანელის ქრისტიან ბოერგენის განმარტებით: **"გასულ წლებში იყო მხოლოდ ორი რამ, რისთვისაც გერმანელს ფული არ ენანებოდა – დასვენება და მანქანა. ახლა კი, ფულის დაზოგვა ჯერ მანქანებზე დაიწყეს და ბოლოს მალიორკაზეც თქვეს უარი"** (წინათ მალიორკა გერმანელების ყველაზე საყვარელი კურორტი იყო). ფერმებისკენ კი გერმანელები მოძალებული ენთუზიაზმით მას შემდეგ დაირაზმნენ, რაც კანცლერმა შრიოდერმაც განაცხადა, რომ საზაფხულო არდადეგებს იტალიის ნაცვლად ჰანოვერში, თავისი სახლის უკან მდებარე ბაღში გაატარებს.

გერხარდ შრიოდერი REUTERS

ამერიკელებს სიმპსონობას ბრედ პიტობა ურჩევნიათ

აქამდე ექსპერტები ამტკიცებდნენ, რომ ამერიკაში "სიმპსონების" ტიპის ოჯახები ჭარბობს. ანუ, ტრადიციული ოჯახები, სადაც საშუალოდ 2.4 ბავშვი იზრდება. თუმცა, ახალი კვლევის შედეგად გაირკვა, რომ სიმფსონები უფრო მოდურმა და ვარსკვლავურმა ტენდენციებმა დაჯაბნა. მაგალითად, ბოლო ხანს ჭარბობს **"ბრედი და ჯენიფერის"** სტილის ოჯახები (იგულისხმება, ბრედ პიტი და ჯენიფერ ანისტონი). ანუ წყვილები, რომლებიც ბავშვის გაჩენას არ ჩქარობენ და დროის უდიდეს ნაწილს კარგი კარიერის გაკეთებას უთმობენ. ამერიკაში ასევე მოდაშია **"მადონასა და გაი რიჩის"** ტიპის ოჯახებიც – სადაც წინა ქორწინებიდან შეძენილ ბავშვებს ზრდიან. მოიმატა **"ლიზ ჰარლების"**, იგივე მარტოხელა დედების რიცხვმაც. ეს ბრიტანელი სუპერმოდელი ხომ ახალშობილ დემიენს მარტო ზრდის. ამდენი ბრედისა და ჯენიფერის, მადონასა და გაის გვერდით ჰარმონიულად ცხოვრობენ "პეპლების ბრიგადების" წარმომადგენლებიც. ანუ, ისინი ვინც, 70-იანი წლების ამერიკული ტელე-სერიალის "პეპლების" მაგალითით, თინეიჯერული ასაკიდან გამოსვლის მიუხედავად, მშობლებთან ცხოვრობენ. არადა, რამდენიმე წლის წინ ეს სირცხვილიც იყო. ამერიკელი ბავშვები დიდებს სწორედ ცალკე ცხოვრების გამო შენატროდნენ. დღეს კი, გამოკითხვების შედეგებით ირკვევა, რომ ზრდასრული მამაკაცები სამჯერ უფრო მეტად ამჯობინებენ დედ-მამის სახლში ცხოვრებას.

სიმფსონების ძველ, ამერიკულ ტრადიციას არღვევენ ჰომოსექსუალისტებიც. ასეთ წყვილებს, ელტონ ჯონისა და დევიდ ფარნიშის მაგალითით, **"ელტონებს და დევიდებს"** უწოდებენ.

სიმპსონების ოჯახი REUTERS

შოუ ვაკეში

მაკა ასათიანმა რჩეულ დიზაინერებს ჩვენება მოუწყო

შოუ დაიწყო

გიორგი ნადირაძე და მაკა ასათიანი „ნატალის" მოდელებთან

შოუ გრძელდება

ვერა ნეფარიძე

მაკა ასათიანის ექსპერიმენტულ ჩვენებას ორშაბათს მთელი თბილისი თუ არა, მთელი ვაკე და ადგილობრივი შოუ-ბიზნესის სრული წარმომადგენლობა მაინც დაესწრო. ქართული მოდის ნორჩი და გამოცდილი პერსონები თანამშრომლობის ახალ ფორმაზე გადავიდნენ. ათზე მეტი დიზაინერის ახალი საზაფხულო კოლექციის სანახავად თუ შესაძენად, დღეიდან მაკა ასათიანის საფირმო მაღაზიას უნდა მიაკითხოთ. მაკა ასათიანის მაღაზიას რჩეული დიზაინერების კოლექცია შეემატა.

რამდენიმე ხნის წინათ პირველ "მესიჯს", რომ ათამდე ქართველ დიზაინერს, როგორც გამოცდილს, ასევე დილეტანტსა და დამწყებს, საკუთარი საზაფხულო კოლექციები "მაკა ასათიანის" მაღაზიისთვის უნდა შეექმნა, ქალაქში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. იმის მიუხედავად, რომ მსოფლიო მოდის პრაქტიკაში მსგავსი პრეცედენტები საკმაოდ ხშირი და მიღებულია, ქართული "შავი" და უწყინარი ჭორების მიხედვით, საზოგადოება მაინც ეჭვით შეხვდა მაკა ასათიანის ნოვაციას. შეტყობინება კი ასეთი იყო: თვის ბოლოსთვის იგეგმებოდა მასშტაბური ჩვენება, რისთვისაც საგანგებოდ მაკა ასათიანის შერჩეულ დიზაინერებს ახალი საზაფხულო კოლექციები უნდა შეექმნათ; იმის გარდა, რომ ყველა ეს ნამუშევარი შემდეგ მაკა ასათიანის მაღაზიაში გაიყიდებოდა, ჩვენებას სხვა დატვირთვაც ექნებოდა: დიზაინერებიდან ასათიანს უნდა შეერჩია ორი მათგანი, რომლებთანაც იგი მომდევნო პროექტებში გააგრძელებდა მუშაობას. ექსპერიმენტული ჩვენებისთვის კი ასათიანი კოლეგებს მასალითა და საჭირო ფინანსებით დაეხმარებოდა. მართალია, წინასწარ არანაირი შეკვეთა ან თემა არ არსებობდა, მაგრამ იყო პირობა, რასაც ეს ნამუშევრები უნდა გაეერთიანებინა. ჩვენება კომერციული უნდა გამოსულიყო, ანუ შერჩეულ დიზაინერებს ყოველდღიური კოსტიუმები, გასაყიდი პროდუქცია უნდა შეექმნათ.

სკეპტიკოსების არ ვიცი, მაგრამ თავად იტერესით განვეწყე დაგეგმილი ჩვენებისადმი. ჯერ ერთი, იმიტომ რომ ბევრიც არაფერი ხდება ჩვენს ქალაქში გასართობი და მიმზიდველი და ცხელ ზაფხულში თბილისელებს მოლხენის ერთდღიანი შანსი გაუჩნდებოდათ, თანაც რამდენიმე წლის წინათ, დიზაინერის საფირმო მაღაზიის (სადაც ჩვენება გაიმართა) წინ გამართული პირველი Fashion-show მაძლევდა ინტერესის საბაბს.

პომპეზურობის გარეშე მაკა ასათიანის ორგანიზებულ არც ორშაბათის ღონისძიებას ჩაუვლია. ჩვენების პირდაპირი ტრანსლაცია, ხუთი პირდაპირი ჩართვა სხვადასხვა ტელეარხზე, უბრალოდ, ნაცნობი სახეებისა თუ "ვარსკვლავების" რაოდენობა, საკმარისია ალბათ, რომ ხმაურიან ღონისძიებას, დიზაინერის მორიგი პროექტის გრანდიოზული პრეზენტაცია ვუწოდოთ, მითუმეტეს, რომ ჩვენებას მაკასთან ერთად ცნობილი ახალგაზრდა ხელოვანებიც ორგანიზატორობდნენ. შემოქმედებითი ჯგუფი იგივე იყო, რაც პანკისის ჩვენებაზე. სანახაობას ამჯერადაც განსაკუთრებულ ხიბლს მატებდა დათო დოიაშვილის რეჟისურა და ნიკა მემანიშვილის Fashion მუსიკა.

აღმოაჩინა თუ არა მაკა ასათიანმა რჩეულ დიზაინერებს შორის კონკურენტი, ჩვენთვის უცნობი დარჩა; ყოველ შემთხვევაში, ექსპერიმენტულ ჩვენებამდე რამდენიმე ხნით ადრე, წამყვანმა ქართველმა დიზაინერმა, უბრალოდ, ივარაუდა: "ჩემი აზრით, საქართველოში ჩემი კონკურენტი არავინაა; ვგულისხმობ, რომ ჩემს სტილში არავინ მუშაობს. ისე ვნახოთ, შესაძლოა, კონკურენტი ამ დიზაინერებშიც აღმოვაჩინო". ფაქტია, რომ ჩვენების დასრულების შემდეგ ასათიანი ძალიან კმაყოფილი იყო; კონკრეტული კოლექციისა და მათი ავტორის გამორჩევა კი გაუჭირდა. "ძალიან გამიჭირდება დიზაინერების შერჩევა; ჩემი აზრით, ყველა მონაწილე უმაღლეს დონეზე იყო; მათ ნამუშევრებში ჩანდა პროფესიონალიზმის, გემოვნებისა და ყველა იმ კრიტერიუმის დაცვა, რასაც Fashion ითხოვს". მაგრამ, არჩევანის გაკეთება დიზაინერს მაინც მოუწევს; ჩვენებაზე წარმოდგენილი ავტორებიდან მან ორი მათგანი მაინც უნდა გამოარჩიოს, რომელთაც დიზაინერი მის მომავალ, "ინგლისის პროექტში" დაასაქმებს.

ამ ექსპერიმენტით მაკა ასათიანს გიორგი ნადირაძის ქართულ მოდაში დაბრუნება აქვს გადაწყვეტილი. როგორც ცნობილია, გიორგი რამდენიმე წელიწადია, რაც თეატრში მუშაობს. "გიორგი შესანიშნავი დიზაინერია. არ დამავიწყდება მისი კოლექციის ჩვენება "ქარვასლაში", რომელმაც ჩემზე მაშინ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა", – ნადირაძის ნამუშევრებისადმი სიმპათიებს ვერ მალავს მაკა ასათიანი. საკმარისი იქნება თუ არა ერთი ჩვენება ნადირაძის თეატრიდან ქართული მოდის სამყაროში გადმობარგებისთვის, დრო გვაჩვენებს. თავად გიორგი კი, არ იზიარებს გავრცელებულ მოსაზრებას, რომ მისნაირი გამოცდილების დიზაინერს არ უნდა მიეღო ასათიანის ექსპერიმენტში მონაწილეობა. "ყოველთვის მარტო ვმუშაობდი და, გამოცდილების თვალსაზრისით, ჩემთვის საინტერესოა ამ ჩვენებაში მონაწილეობა. თანაც, იდეა საკმაოდ მისაღებია", – ამბობს იგი. ნადირაძე არ არის გამონაკლისი, მაკა ასათიანი ცდილობს თხუთმეტივე დიზაინერს შესაბამისი "პრომოუშენი" გაუკეთოს; თუნდაც, შარშან თბილისში გამართულ ჩვენებაზე ერთ-ერთ გამარჯვებულ და Русский силует-ზე გაგზავნილ მაკა კიკაჩეიშვილს, რომელზეც ასათიანი განსაკუთრებულ იმედებს ამყარებს.

კოლექციების სტილისტური თუ თემატური მრავალფეროვნების გარდა, ჩვენებაზე მრავალფეროვანი იყო თავად ავტორების პროფესიული შეხება დიზაინთან. თხუთმეტი ავტორიდან რამდენიმე საკმაოდ ცნობილი და გამოცდილი დიზაინერია, თუმცა არიან დილეტანტები და დამწყებებიც. ამ უკანასკნელთა კატეგორიაშია ორი შვილის დედა, ქეთი ყიფიანი. ქეთიმ ძველი მოდის ტენდენციებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება გამოხატა და ახალი კოლექცია 30-იანი წლების სტილში გააკეთა. ჩვენებაზე კოსტიუმები სააგენტო "ნატალის" მოდელებმა წარმოადგინეს. ეკა ჩანჩიბაძის მაკიაჟი (მასვე ეკუთვნოდა რამდენიმე ვარცხნილობა) კი, ზაიცევის სკოლადამთავრებულმა, დიზაინერმა ბესო რაზმაძემაც აჩვენა. რაც შეეხება დამსწრე საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანების საზოგადოებას, ალბათ, ვისაც ჯერ არ გაუღწევია ქალაქიდან, ყველა იყო: წურწუმია-"მამულიჩას" წყვილიც, სტეფანეც, დათო გომართელიც, გოგოლა კალანდაძეც, რომა რცხილაძე და მათ წრეებთან დამეგობრებული "პირველი სტერეოს" წამყვანებიც. რა თქმა უნდა, ეს არაა სრულყოფილი ჩამონათვალი, ბევრი მათგანი იქვე, "მაკა ასათიანის" ბარს აფარებდა თავს, ისევე, როგორც ამას მერაბ სეფაშვილი და "უცნობი" ახერხებდნენ. ასე რომ, სანახაობა ვაკეში ზოგიერთისთვის საათნახევარს, ბევრისთვის კი გაციელბით დიდხანს გაგრძელდა.

რა იქნება მაკა ასათიანის მორიგი სანახაობა-პროექტი, ჯერ-ჯერობით, არ დაგეგმილა. "ამ ჩვენების შემდეგ კომპანია და მაღაზია ჩვეულებრივად გააგრძელებს მუშაობას; შემდეგ, როდესაც ამის დრო მოვა, ახალ, ზამთრის კოლექციას წარვადგენ; მანამდე კი, იმედია ხალხი მოვა მაღაზიაში და გაეცნობა ახალი დიზაინერების ნამუშევრებს", - გვითხრა ასათიანმა. თუმცა, არ დაგვიწყებია უახლოეს მომავალში შეპირებული პანკისის ჩვენება თბილისის ცენტრში, რომელიმე შენობის სახურავზე.

თაკო ჩხეიძეს „დოი" წარადგენს



მოდელი ნინო ჭინჭარაული

ეკა ჩანჩიბაძე და ბესო რაზმაძე

მარიკა ამერველაშვილის ფოტოები

ლაშა ბულაძე

გიო, ზურა და იკა

(დრამა)

მამუკა ტყემელაშვილისა და ირაკლი ბილაშვილის კოლაჟი

სცენა I

გიო - იჩხირავს, ზურა - არ იჩხირავს.

გიო: ზურა, რატო არ იჩხირავ? გოიმი ხარ?

ზურა: არა, გიო... გოიმი რა შუაშია? უბრალოდ, არ მინდა და იმიტომ. (დადის აქეთ-იქით) გაფუჭდა თბილისი... ვაფშე მაგის დედაც! (ახსენდება დედა) რუსიკო რომ არა, დავიკიდებდი ყველაფერს და წავიდოდი იკასთან. იკა დუბლინშია... მაგრაა იქ... ნაშაც ჰყავს, იქაური, შვედია.

გიო: (ჭერში იყურება) ვსო ეტო ძერმო...

ზურა: გიყვარს ახმატოვა?

გიო: რაა?..

ზურა: აუ, რას გავხარ, ე?..

გიო: ვსო ეტო ძერმო...

ზურა: (უყურებს ქეთის ფოტოს) ... იკა დუბლინშია. ჩამოო, მითხრა. იქ ნაშაც ყავს. ძაან მაგრაა.

სცენა II

დუბლინი.

იკა კიბეზე ზის, კანკალებს. ხელში პარკი უჭირავს. ხელს პარკშივე ჩაჰყოფს. აფათურებს.

იკა: ქართული მიწა... ქართული მიწა... აუ, ამათი ნაბიჭვარი დედა! ამათი თე...

კიბეზე იკას ნაშა - ჯენიფერი გამოჩნდება.

ჯენიფერი: (ინგლისური აქცენტით. დამტვრეული რუსულით) შტო ტი სდეს დელაეშ? სნოვო იგრაეშ ს ეტიმ პარაშოკომ?

იკა: ეტა ნი პარაშოკ, ფოკინ ბიჩ!.. ეტა ზემლია მაია... გრუზია... გეორგია, შენი დედა რომ ვატირე მე, შენი!..

ჯენიფერი: შტო? კაკაია ზემლია? რუსსია?

იკა: კავკაზ... საქართველო... მთები, შენ ნაბოზვარო!

ჯენიფერი: ტაკოი სტრანი ნეტ, ინოკენტი! (გადის)

იკა: ინოკენტის მოგცემ, შე ბოზო!.. (ტირის) აუ რა მინდა აქ?.. რა? (პარკს იქით გადადებს. დუმს. ჯიბიდან პატარა წიგნს ამოიღებს. კითხულობს, თან ტირის) "იზ ით ე პენსილ? - იეს, ით იზ ე პენსილ... იზ ით ე ბუქ? - იეს ით იზ...

სცენა ნელ-ნელა ბნელდება.

სცენა III

თბილისი.

ზურა: (აეროპორტშია. უყურებს, თუ როგორ ფრინდებიან თვითმფრინავები. ბოდვასავით იმეორებს) ...იკა დუბლინშია... მაგრაა იქ... ჩამოო მითხრა... ამის დედა მო... (ახსენდება დედა) რუსიკო რომ არა... იკას იქ ნაშა ჰყავს... იქაურია... შვედი!.. იკამ ჩამოო, მითხრა... იქ ნაშაც ჰყავს... იქნებ გამაჟიმინოს?.. დუბლინშია და... მითხრა, ჩამოო...

ფარდა

TV პროგრამა 26 ივნისი

რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ფიფქია
08.00 კურიერი
08.55 სერიალი "სიყვარულის სახელით"
09.50 კომუნიკატორი
10.40 გრენდაიზერი
11.10 სერიალი "ოცნების კოშკები"
12.00, 15.00 კურიერი
12.15 მულტსერიალი
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ.ფილმი
17.05 ლუისი და კლარკი
18.00, 21.00, 02.00 კურიერი
18.20 გრენდაიზერი
18.45 სერიალი "ელენი და გიჭები"
19.15 მოგზაურობის ასი წელი
19.50 სერიალი "ოცნების კოშკები"
22.00 კომუნიკატორი
22.50 კურიერი
00.05 მხ.ფ. "ქერათმიანი ადვოკატი" მთ. როლებში: რიზ უიზერსპუნი, მეთიუ დევისი

პირველი არხი

7.30 "ალიონი"
09.45 მულტსერიალი "სიმბა ფეხბურთელი"
10.10 სერიალი "ქილის წინ"
10.30 "მსოფლიოს ველური გუნება"
11.25 "ჩვენი მისამართია"
12.00, 15.00, 20.00, 22.50 მოამგე
12.15 "ქიმერიონი"
13.00 "ნაშუადღევს"
14.05 სერიალი "ბოგონები ქარში"
14.35 ინტერმეცო
15.15 ფქვენთვის, თქვენზე და თქვენს შესახებ
15.30 50-50 16.20 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩი
18.30 "ვესტნიკი"
18.45 სერიალი "ბოგონები ქარში"
19.15 ვილეოპატრული
19.25 გივი ჩოხელი
19.40 გასტი-გუბუ
21.00 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩი (ვიდეოჩანაწერი)
23.35 ტელესერიალი "ქილის წინ"
23.55 დოკ. სერიალი "მეოცე საუკუნე"
00.15 მხ.ფ. "სიცოცხლე - სქესობრივი გზით გადამდები უკურნებელი სენი"

მეორე არხი

19.00 ფეხბურთი
19.15 სერიალი "მხოლოდ შენთვის"
22.00 "მოამგე" მეორე არხზე
22.10 მხ. ფილმი "გზა შინისაკენ"

ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 21.00, 00.00 "ვესტი"
10.15 მუსიკალური ტაიმ-აუტი
10.45 მსოფლიო სპორტი
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.25 სალონი
14.00 ეძიმი გვირჩევს
15.20 კომპიუტერის შემსწავლელი კურსები
18.30 რუსული ენის ტელეგაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის ტელეგაკვეთილი
19.30 საუბრები მწვანე გუნართან. ს. ცინცაძის საავტორო გადაცემა
21.30 თინეიჯერი
22.30 მსოფლიო სპორტი
23.30, 00.30 მხ.ფ. "ევოლუცია"

იბერია

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია
08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი
08.15, 20.15 აღსავალი
08.20, 10.05, 11.45, 20.20, 21.55, 00.10 მუსიკა
08.25 მხ.ფ. "ბილი ელიოტი"
10.15 ძველი კინო_მხ.ფ. "კუზიანი ნოტრდამიდან"
20.25 მხ.ფ. "შინაგანი პრობლემები"
22.05 მხ.ფ. "კაპიტან კორელის არჩევანი"

პირველი სტერეო

07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
08.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტორელა"
11.00 "მუსიკალური ათეული" განმეორებით
11.45 "კლიპები შეყვარებულთათვის" განმეორებით
13.15 მხ.ფილმი
15.00 მუსიკა
17.30 "სწ.მედია" მხ.ფ. "არეული მემკვიდრეები"
19.00 მუსიკა
20.00 ვიდეო-რადიო
22.00 მიქს-20
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "დანაშაულები და ქცევები". მთ. როლებში ვუდი ალენი, მია ფეროუ
01.30 "ღამურა" მხ.ფ. "მინდვრების მთიგავი" მთ.როლებში ჯეფ ფეიფი, პირს ბროსნანი
04.15 ნონ-სტოპი

კავკასია

12.00 მხ.ფ. "რვაფეხა"
14.10 მხ.ფ. "სახელმწიფოს მტერი"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
17.15 მხ.ფ. "ფანტომასი სკოტლანდ იარდის წინააღმდეგ"
19.20 სპექტრი
21.00 მუსიკა
21.50 მხ. ფილმი "არასოდეს თქვა: "არასოდეს"

მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები"
09.20 მულტფილმი "ალექსი" მე-15 სერია
09.45 მხ.სერიალი "ჰორასი და თინა" მე-15 სერია
10.15, 13.45, 18.45, 21.20, 00.20 მუსიკა
10.30 მხ.ფილმი "ვატერლოუს ხიდი"
12.20 დოკ. ფილმი "დანტე. ჯოჯოხეთი"
14.00 დისკავერი
14.45 "მთავარი თემა"
15.30 მხ. ფილმი "აჯმოსავლეთი - დასავლეთი"
17.45 მულტფილმი "ალექსი" მე-16 სერია
18.15 საბავშვო სერიალი "ჰორასი და თინა" მე-16 სერია
18.55 მხ. ფილმი "მატყუარა, მატყუარა"
20.20 დოკ.სერიალი "ჩემი ძვეყანა"_"სიონის სამრევლო სკოლა"
21.10 მსოფლიო ჩემპიონატის დღიური
21.30 "მთავარი თემა"
22.15 მხ.ფ. "ლომის წილი". მთ. როლებში ნიკოლაი კარაჩენცევი, ჩულპან ხამატოვი
00.40 მხ.ფ. "გამოლვიძება". მთ. როლებში რობერტ დე ნირო, რობინ უილიამსი

აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.40 "მსოფლიო თასი-2002"
09.50 სათავგადასავლო ფილმი "ვულკანი"
11.10 დოკუმენტური ფილმი
12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 სათავგადასავლო ფილმი "მიმინოს კვალი"
13.50 "რა არ ხდება"
14.00 კომედია "მკურნალი ადამი"
16.15 მულტფილმი
17.15 თრილერი "ვა:იშვილის პირადი მცველი"
19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
19.30 დოკუმენტური ფილმი
20.30 ქართული ფილმი "თვალი პატიოსანი"
22.50 " Пресс-папье"
23.00, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
23.10, 01.00 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.15 "მსოფლიო თასი-2002"
23.25 დოკუმენტური ფილმი
01.05 კრიმინალური კომედია "ლაქია"
03.30 მხატვრული ფილმი "ბოტი"

VII არხი

09.00 ანონსი
09.05 მოკლედ.... საინფორმაციო გამოშვება
09.15 მუსიკალური ტაიმაუტი
09.30 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.45 "აჩიკუდა"
10.10 "სახლიდან გაუსვლელად"
10.25 მოკლედ... სპორტი
10.30 "ფაქტი, აზრი, კომენტარი" (განმეორებით)
10.40 მუსიკალური გიორითმი
11.00 "პაემანი" (განმეორებით)
11.50 მულტსერიალი
12.10 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
12.15 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
12.45 დისნეი და მისი მეგობრები
13.05 "სახლიდან გაუსვლელად"
13.25 სპორტი
13.30 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
18.10 პრესა
18.25 სპორტული ინფორმაცია
18.35 "სახლიდან გაუსვლელად"
18.50 მუსიკალური ტაიმაუტი
18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
19.00 "აჩიკუდა"
19.30 მოკლედ... საინფორმაციო გამოშვება
19.40 მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვა .
20.25 მუსიკალური ტაიმაუტი
20.30 "ფაქტი, აზრი, კომენტარი"
20.40 "ლა-ლა-ლა"
21.20 მოკლედ... ასტროლოგიური პროგნოზი
21.25 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
21.50 მოკლედ... სპორტი
22.00 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
22.10 "კინოკლუბი" - მხ.ფილმი "კოსმოსში დაკარგულები"
00.10 პრესის მიმოხილვა
00.20 მუსიკალური ტაიმაუტი
00.30 მოკლედ.... საინფორმაციო გამოშვება
00.40 "სახლიდან გაუსვლელად"
00.55 მუსიკალური გიორითმი
01.20 მხ.ფ. ჟანრებში: - "სიყვარულის მისწრაფება"
02.45 პრესის მიმოხილვა

1 OPT

07.00 "Доброе утро".
07.40, 13.00, 16.00, 19.00 Новости.
10.15, 19.2 Сериал "семейные узы"
11.10 х.ф. "ЗОНА ТУРБУЛЕНТНОСТИ"
13.15 Мультазбука
13.30 Программа "100%"
13.50 х.ф. "ОБЪЯВЛЕННОЕ УБИЙСТВО" Часть 2-я
15.00 "Народ против". Телеигра.
16.20 Док. фильм "Дикие штучки"
16.55 х.ф."СТРАЖА АПОКАЛИПСИСА"
18.00 Большая стирка
20.15 х.ф. "МЕНЯЛЫ"
22.00 Время.
22.35 "Слабое звено"
23.25 "Форс-Мажор" с Николаем Фоменко.
00.00 Сериал "КИТАЙСКИЙ ГОРОДОВОЙ"
01.00 Ночное "Время"
01.30 Дневник Московского кинофестиваля
01.40 "16-й отдел".
02.35 "ФИРМЕННЫЙ РЕЦЕПТ".

РТР

06.50, 07.50, 08.50, 09.50, 19.20, 21.35, 00.20 Вести-Москва
07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.30, 21.00 Вести.
07.10 "Православный календарь".
07.15, 08.30 Семейные новости
07.25, 09.10 Дежурная часть
07.30, 19.10 Афиша
07.40, 23.45 Дорожный патруль
08.10 Экспертиза РТР
08.20 Национальный доход
08.25 Вести-спорт
08.40 "Пролог" часть 1-я.
09.15 Москва- Минск.
09.40 "Пролог" часть 2-я.
10.10 Моя семья.
11.00 Сериал "ВЕЧНЫЙ ЗОВ"
12.20 х.ф. "ПОЛИЦЕЙСКИЕ И ВОРЫ"
14.20 Мультфильм.
15.20 Сериал "дикий ангел"
18.50 Док. Фильм "Союз бывших"
19.50 Сериал "комиссар рекс"
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 "АГЕНТСТВО НЛС"
22.50 х.ф."ПУАРО АГАТЫ КРИСТИ, ПРИКЛЮЧЕНИЕ С ДЕШЕВОЙ КВАРТИРОЙ ".
00.00 Вести - Подробности
00.30 Клуб сенаторов.
01.15 х.ф. "ХОЛОДНОЕ ЛЕТО 53-ГО...".
03.25 - 03 - 57 Дневник чемпионата мира по футболу.

НТВ

07.05 Утро на НТВ 10.05 "ПОЛИЦЕЙСКИЕ. ПО СЛЕДАМ АВАНГАРДИСТА"
11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00, 01.00 Сегодня.
11.20 Погода на завтра
11.25 Криминальная Россия
12.00 Квартирный вопрос
12.30 Среда
13.20, 16.40, 19.40 Криминал
11.20 х.ф. "ШЕРЛОК ХОЛМС И ДОКТОР ВАТСОН"
15.05 Ток-шоу "Принцип "Домино"
16.20 х.ф. "ИНОСТРАНЦЫ"
17.30, 21.40 Сериал "СЛЕД ОБОРОТНЯ"
18.40 Сериал "ГРЯЗНАЯ РАБОТА"
20.30 х.ф. "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 5-я с.
23.35 Герой дня.
23.55 Сериал "СКОРАЯ ПОМОЩЬ-3"
01.20 х.ф. "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ"

TV პროგრამები მოგვაწოდა საინფორმაციო "ინფოზავრმა"

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული. ტელ: 32 23 71 იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში